

**გ. ჭყაველაშვილი**

**ქ. ქოხეარიშვილი**

**თ. კილაძე**

*t. qoqolaZe*

# **ეკონომიკური ანალიზი**



**“ტექნიკური უნივერსიტეტი”**

**2011**

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გ. თბილისის გვილი  
თ. ერეაპე  
ქ. კომერციის გვილი  
ზ. ერქოლეაპე

## ვერცხლის ანდოზი



თბილისი  
2012

დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია ექონომიკური ანალიზის საგანი, შინაარსი და სახეები, ასევე, მისი განვითარების ძირითადი ეტაპები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომითი, მატერიალური და საინფრასტიკო-ექონომიკური რესურსების ანალიზს.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ექონომიკის და მენეჯმენტის სპეციალობების სტუდებტებისათვის, რომლებიც გადიან საწავლო დისციპლინებს: “ექონომიკური ანალიზი”, “სამეცნიერო საქმიანობის ანალიზი”, “საფინანსო და სამეცნიერო საქმიანობის ანალიზი” და სხვ.

ნაშრომი ორ ნაწილადა გაყოფილი იმ მოსახრებით, რომ ადნოშნული საგანი როგორც წესი ორ სემესტრად ისწავლება ბაკალავრიატის საფეხურზე.

შედგენილია აეტორთა კოდექტივის მიერ: გ. ტყეშელაშვილი (თემები 1-3; 12-14; საერთო რედაქცია), თ. კილაძე (თემები 4-6), ქ. კიშარიშვილი (თემები 7-9), ტ. ქოჭლლაძე (თემები 10-11).

## რეცენზები:

გ. მაისურაძე  
გ. ამყოლაძე

## შესაგალი

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ანალიზის მეთოდების და ხერხების გამოყენება განსაკუთრებით აქტუალურია იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობისას ცდილობენ მცირე რესურსების მიჯნაზე მაქსიმალური მოგების მიღებას. ამიტომ, სამეურნეო სუბიექტების წინაშე დგას ალტერნატიული გადაწყვეტილებების ძიებისა და რეალიზაციის პრობლემა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ეხება თუ არა ეს პრობლემა ბაზარზე ახალი საქონლის გაშვებას, მათი წარმოების ხერხებს, შრომის საგნების და საშუალებების შეძენას და ა.შ. გადაწყვეტილებების მიღების დროს ხდება კონკურენტული, ალტერნატიული მოქმედებების შედარებითი შეფასება და ისეთი ვარიანტების შერჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად პასუხობს ორგანიზაციის მიზნებს. ეკონომიკური ანალიზის გარეშე, ამის გაკეთება შეუძლებელია.

ეკონომიკური ანალიზის, როგორც ორგანიზაციის მართვის უმნიშვნელოვანესი ფუნქციის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით მაღალია მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის სტადიაზე. ეკონომიკური ანალიზის ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით სამეურნეო სუბიექტები ახორციელებენ მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციის კონტროლსა და რეგულირებას. მიღებული შედეგების გეგმიურთან შედარების, განსხვავების გამოვლენის და გამომწვევი მიზეზების გაანალიზების შემდეგ, წარმოების ხელმძღვანელობას შეუძლია წარმოქმნილი განსხვავებების კორექცია და მიღებული შედეგების გეგმიურთან შესაბამისობაში მოვყანა. პოტენციური პრობლემების არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკური ანალიზის გზით მიღებული მონაცემები ასევე გამოიყენება ორგანიზაციის მიზნებისა და გრძელვადიანი გეგმების ხელახლი განხილვისათვის. ეკონომიკური ანალიზის შედეგები იძლევა მიზნების და ვალდებულებების შეცვლის შესაძლებლობას, რაც მომავალში თავიდან აგვაცილებს დანაკარგებს და შრომის ეფექტურობის შემცირებას.

წიგნი შედგენილია ავტორთა კოლექტივის მიერ: გ. ტყეშელაშვილი (თემები 1-3; 12-14; საერთო რედაქცია), თ. კილაძე (თემები 4-6), ქ. კიშარიშვილი (თემები 7-9), ტ. ქოქოლაძე (თემები 10-11)

მოცემული სახელმძღვანელოს მიზანია მკითხველებს გააცნოს გკონომიკური ანალიზის მეთოდი, თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები.

## ნაწილი I

### 1. მარცომიგური ანალიზი, მისი როლი მართვის სისტემაში

#### 1.1. ანალიზი და სინთეზი: არსი და ურთიერთკავშირი

ანალიზი (ბერძნ.-analysis) გულისხმობს შესასწავლი ობიექტის დანაწევრებას, დაშლას ნაწილებად, ელემენტებად, ამ ობიექტისთვის დამახასიათებელ შემადგენლებს (აზრობრივი ან რეალური). ასეთი დანაწევრება საშუალებას იძლევა „ჩავიხედოთ“ საკვლევი საგნის, მოვლენის, პროცესის მიგნით, გავარკვიოთ მისი შინაგანი არსი და შესასწავლი საგნის ან მოვლენის თითოეული ელემენტის როლი.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ გარემოში მიმდინარე მრავალრიცხოვანი მოვლენებისა და პროცესების გააზრება არ შეიძლება მხოლოდ ანალიზის საშუალებით. საკმაოდ ხშირია ადამიანის აზროვნებისთვის დამახასიათებელი სხვა საშუალებების გამოყენების მოთხოვნილება. ამ მხრივ ანალიზთან ყველაზე ახლოსაა სინთეზი. სინთეზი (ბერძნ. - synthesis) – შესასწავლი ობიექტის ადრე დანაწევრებული ელემენტების გაერთიანებაა ერთ მთლიანად.

ანალიზი და სინთეზი დიალექტიკურად ურთიერთსაპირისპირო ერთიანი ცნებებია. დიალექტიკური ტანდემი – ანალიზი-სინთეზი შეადგენს ნებისმიერი მეცნიერული კვლევის სინონიმს. კაცობრიობის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში, მეცნიერების ნებისმიერ დარგში, შეუძლებელია არ იყოს გამოყენებული ტანდემი ანალიზი-სინთეზი. თუმცა, ანალიზმა და სინთეზმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ეკონომიკაში, რაც, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ჩვენს პლანეტაზე ყველაფრის საფუძველს. ეკონომიკური პრობლემების უგულებელყოფა, ეკონომიკური ამოცანების (შიდა და გარე) გადაუჭრელობა იწვევს წარუმატებლობას ყველა სხვა სფეროში.

ანალიზი და სინთეზი, როგორც ადამიანის აზროვნების არსი, შინაარსი და ფორმა, კომპლექსურად შეისწავლება მრავალ განზომილებაში სხვადასხვა მეცნიერებების მიერ. თუმცა, ეკონომიკის, სამეურნეო საქმიანობის და მისი საბოლოო შედეგების ანალიზი წარმადგენს მხოლოდ ეკონომიკური ანალიზის სფეროს, როგორც ფართო, ისე ვიწრო პროფესიული თვალსაზრისით.

## 12. ეკონომიკური ანალიზის ცნება და მისი გამოყენების მიმართულებები

ეკონომიკური ანალიზი, როგორც ანალიზის ერთ-ერთი ნაირსახეობა, წარმოადგენს ანალიზური პროცესების სისტემატიზირებულ გაერთიანებას, რომლის მიზანია ობიექტის შესახებ ეკონომიკური ხასიათის დასკვნების, გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების მიღება.

ეკონომიკური ანალიზი გამოყენებითი მეცნიერებაა. ეფუძნება რა თეორიულ შემცნებას, უზრუნველყოფს ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის ეფექტურობას.

ამასთან, აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ ზოგადთეორიული ეკონომიკური ანალიზი, რომელიც შეისწავლის მკონმიტებულ მოვლენებსა და პროცესებს მაკროდონებზე (საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისა და ეროვნული ეკონომიკის და მისი ცალკეული დარგების სახელმწიფოებრივ დონეზე) და სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი მიკროდონებზე (ცალკეული საწარმოების და მათი შიდა სტურქტურული ქვედანაყოფების დონეზე).

საბაზრო ეკონომიკის ფორმირება პირველ რიგში განსაზღვრავს ეკონომიკური ანალიზის განვითარებას მაკროდონებზე, რადგან ზემოთ დასახელებული ქვედა რგოლები (საკუთრების ნებისმიერი ფორმის დროს) წარმოადგენებს საბაზრო ეკონომიკის საფუძველს. მაკროდონებზე განხორციელებულ ანალიზს ქმარება საწარმოების, მათი კოლეგიანური, მენეჯერების, კერძო მესაკუთრეების ყოველდღიური სამუშრნეო-ფინანსური საქმიანობის კონკრეტული ანალიზი: ბიზნესგვგმების დასაბუთებისა და შესრულების ანალიზი; მარკეტინგული ღონისძიებების შედარებითი ანალიზი, რომელიც გულისხმობს მოვლენების რეალური განვითარების შედარებას სავარაუდოსთან დროის გარკვეულ შუალედში; წარმოების და გასაღების შესაძლებლობების ანალიზი, შიდა და ზოგადი ეკონომიკური მდგრადარეობების განსაზღვრა, რომლებიც მოქმედებენ წარმოების და გასაღების პროცესზე; საქმიანი სცენარების და მათი რეალური განხორციელების ანალიზი; მოთხოვნისა და მიწოდების ონაფარდობის ანალიზი; ნედლეულის კონკრეტული მომწოდებლებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის ანალიზი; კონკრეტული მომხმარებლებისა და გამოშვებული პროდუქციის მათ მიერ შეფასების ანალიზი. ფირმის საკრედიტო პორტფელის შევსებადობის ანალიზი; ცოცხალი და განივთებული შრომის ანალიზი აუცილებელი დეტალიზაციით; საწარმოო გასაღების,

მარკეტინგული საქმიანობის საბოლოო ფინანსური შედეგების ანალიზი; კომერციული რისკების ანალიზი და მათზე მოქმედი პოლიტიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა ფაქტორების გათვალისწინება.

ზემოთ აღნიშნული არ გამორიცხავს, პირიქით, აუცილებლად მიიჩნევს, რომ ანალიზი მაკროდონებზე უნდა ჩატარდეს არა ისე, როგორც ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის და მისი მკეთრად გამოხატული ცენტრალიზმის დროს – „ზემოდან ქვემოთ“, არამედ, „ქვემოდან ზემოთ“.

### 1.3. ეკონომიკური ანალიზის როლი მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებასა და მიღებაში, მისი ადგილი მართვის პროცესში

ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს მართვის სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს. მას სრულიად განსაზღვრული ადგილი უჭირავს გამოსაკვლევი ობიექტის შესახებ ინფორმაციის შეკრება-დამუშავებასა და მართვის გადაწყვეტილების მიღებაში. ეკონომიკური ანალიზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მმართველობითი (მართვის) გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მიღების დროს, უზრუნველყოფს ინფორმაციის დრმა და მრავალმხრივ კვლევას, ამზადებს მართვის გადაწყვეტილებების გარიანტებს და ირჩევს მათგან ოპტიმალურს.


მართვის სისტემაში ანალიზის ადგილი გამარტივებული სახით მოცემულია ნახაზ 1-ზე.

ბაზრის განვითარების განუსაზღვრელობის და წინასწარ განვითარების შეუძლებლობის ტენდენციის არსებობის პირობებში, ანალიზის გამოყენება იძლევა მართვის შედარებით რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ ჰქმნის სამეურნეო სუბიექტების წარმატებული საქმიანობის წინაპირობას.

რესურსები

მართვის სისტემა  
(წარმოება და სხვა  
საქმიანობა)

პროდუქცია,  
მომსახურება და სხვა.



ნახ. 1. ეკონომიკური ანალიზის ადგილი მართვის სისტემაში.

#### **14. ეკონომიკური ანალიზის სხვა მეცნიერებებთან ურთიერთკავშირის ხასიათი**

ეკონომიკური ანალიზი ურთიერთკავშირშია როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკურ, ისე საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებთან. ეს კავშირები ცალ-ცალკე (განცალკევებითი) ანალიზით არა თუ სუსტდება, პირიქით, უფრო ფართოვდება (მრავალრიცხოვანი ხდება), რაც პირველ ყოვლისა განპირობებულია იმ ადგილით, რომელიც უჭირავს ანალიზს ეკონომიკური მეცნიერებების სისტემაში, მისი მეთოდოლოგიური ხასიათით და იმ როლით, რომელსაც იგი ასრულებს აღნიშნულ სისტემაში.

იმ მეცნიერებებიდან, რომლებთანაც დაკავშირებულია ეკონომიკური ანალიზი, პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ეკონომიკური თეორია. იგი შეისწავლის ეკონომიკურ კანონებს, მათი მოქმედების მექანიზმს, ქმნის ეკონომიკური დისციპლინების განვითარების თეორიულ საფუძვლებს. ანალიზური კვლევების დროს აუცილებელია ამ კანონების მოქმედების გათვალისწინება. თავის მხრივ, ეკონომიკური ანალიზი იწვევს ეკონომიკური თეორიის განვითარებას. ჩატარებული ანალიზური კვლევები იძლევა ამა თუ იმ ეკონომიკური კანონზომიერების შესახებ მონაცემთა შეგროვების საშუალებას, რომელთა შესწავლა

გვეხმარება ადრე უცნობი კანონების ფორმულირებასა და ქვეყნის ან მსოფლიო ეკონომიკის განვითარების გლობალურ პროცენტირებაში.

საბუღალტრო აღრიცხვასთან „ანალიზის“ კავშირს ასევე აქვს ორმაგი ხასიათი. **ერთის მხრივ**, საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები არის სამეცნიერო სუბიექტების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის მთავარ საინფორმაციო ბაზა. სამეცნიერო სუბიექტების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვის ლოგიკურ გაგრძელებას, რადგან საბუღალტრო აღრიცხვის კონტროლი სრულყოფილად ვერ განხორციელდება მისი მონაცემების ანალიზის გარეშე. **მეორე მხრივ**, ანალიზსა და საბუღალტრო აღრიცხვის შორის ასევე არსებობს უპერაციური. ანალიზი ხელს უწყობს აღრიცხვის სრულყოფას მისი ანალიზურობის ამაღლების გზით. ანალიზის მოთხოვნების გათვალისწინება ხდება საქმიანობის მაჩვენებლების სისტემის, სააგარიშო გეგმების, ანგარიშგების ფორმებისა და პირველადი დოკუმენტების შემუშავების, ასევე, საბუღალტრო აღრიცხვის ავტომატიზაციის დროს.

მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს ანალიზსა და სტატისტიკას შორის. სტატისტიკური, ასევე, საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები შეადგენს ეკონომიკური ანალიზის საინფორმაციო ბაზას. თავის მხრივ ანალიზური გამოთვლების ჩატარებას და ანალიზური ცხრილების აგებას ჭირდება სტატისტიკური მეთოდოლოგიის – დაჯგუფებების თვეორიის, შერჩევითი დაკვირვებების, საშუალო და ფარდობითი მაჩვენებლების, ინდექსების, ცხრილების, გრაფიკების და ა.შ. – გამოყენება.

ეკონომიკური ანალიზი მჭიდრო კავშირშია **აუდიტორიუმის**. მათთვის საერთოა საინფორმაციო ბაზა და გამოყენებული მეთოდების ნაწილი გარდა კონტროლისა, აუდიტის მიზანია ანალიზის ფუნქციის განხორციელებაც. დღეისათვის, ანალიზი წარმოადგენს აუდიტორული საქმიანობის ორგანულ ნაწილს. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც შეიმჩნევა ანალიზური პროცედურების გაფართოება და გაღრმავება, გარე აუდიტორების მიერ განხორციელებული სხვადასხვა აუდიტორული მომსახურების, ასევე, შიდა აუდიტის ჩატარების დროს.

არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი ანალიზსა და მარკეტინგს შორის. მარკეტინგული პროგრამების შედგენა და მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება შეუძლებელია

საწარმოს ეპონომიკაზე გარეშე და შიდა ფაქტორების ზემოქმედების შესწავლის, ბაზრების მდგრამარეობის, კონკრეტული სიტუაციის, საბაზრო ფასების და საკუთარი ფასების პოლიტიკის ფორმირების, საბოლოო ფინანსური შედეგების ანალიზის გარეშე. ამავე დროს, მარკეტინგული კვლევების მონაცემები ავსებს (აფართოვებს) ანალიზის საინფორმაციო ბაზას. მართვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების შემუშავების დროს ანალიზი იყენებს მარკეტინგული კვლევის შედეგებს.

არაეკინომიკურ მეცნიერებებს შორის საჭიროა გამოიყოს მათემატიკური და ტექნოლოგიური მეცნიერებები. რთული ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობამ მმღვრი სტიმული მისცა მათემატიკის განვითარებას, მათემატიკური პროგრამების შექმნას. თავის მხრივ, ანალიზურ კვლევებში მათემატიკური მეთოდების გამოყენებამ, მნიშვნელოვნად გაზიარდა მათი მნიშვნელობა. ანალიზი გახდა უფრო ღრმა და დასაბუთებული. ამ მეთოდების გამოყენების დროს ანალიზი შეიძლება ჩატარდეს უფრო ოპერატიულად, მეტი ინფორმაციის გამოყენებით და დიდი რაოდენობის ობიექტების პირობებში.

შეუძლებელია წარმოების ამა თუ იმ პროცესის გაანალიზება, თუ არ ვიცნობთ ტექნოლოგიის თავისებურებებს. მხოლოდ ამ დარგში გათვითცნობიერებულ ეკონომისტს შეუძლია ობიექტურად შეაფასოს წარმოების შედეგები და ჩამოაყალიბოს სასარგებლო რეკომენდაციები მათ გასაუმჯობესებლად. თავის მხრივ, უნდა ადინიშნოს, რომ წარმოების ტექნოლოგია მოითხოვს მუდმივ გაუმჯობესებას, მაღალ ეფექტურობას, სრულყოფას, რაც შეუძლებელია ანალიზური კვლევების ჩატარების გარეშე. ამის მაგალითია ფუნქციურ-დირექტულებითი ანალიზის მეთოდიკის გამოყენება.

„ანალიზის“ ურთიერთკავშირის განხილვა სხვა მეცნიერებებთან აჩვენებს, რომ „ანალიზი“ დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა მთელი რიგი სხვა მეცნიერებების ელემენტების ინტეგრაციის შედეგად, რაც წარმოადგენდა ობიექტურ აუცილებლობას, მისი მეტად რთული საგნის შესწავლის პროცესში. ამავე დროს, სხვა მეცნიერებებში ანალიზური მეთოდების გამოყენებამ ხელი შეუწყო მათ სარისხობრივ ზრდას და განვითარებას.

## **1.5. ეკონომიკური ანალიზის განვითარების ძირითადი ეტაპები და მათი დახასიათება**

ეკონომიკური ანალიზის ჩამოყალიბება და განვითარება განპირობებულია ცოდნის ნებისმიერი ახალი დარგის წარმოქმნისთვის დამასასიათებელი ზოგადი ობიექტური პირობებით და მოთხოვნებით.

ერთის მხრივ, ესაა პრაქტიკული მოთხოვნების დაქმაყოფილება. იგი განხორციელდა საწარმოო ძალების განვითარების, საწარმოო ურთიერთობების სრულყოფის და წარმოქმის მასშტაბების გაფართოების შედეგად.

მეორეს მხრივ, ეს დაკავშირებულია ზოგადად ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასთან.

ეკონომიკური ანალიზის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების და განვითარების ისტორია, შეიძლება დაიყოს შემდეგ პერიოდებად:

**პირველი პერიოდი – XX ს-ის დასაწყისამდე.** ეკონომიკური ანალიზის წარმოშობა უკავშირდება პრაქტიკულ მოთხოვნილებას. ეკონომიკური ანალიზის კველაზე ადრეული ფორმაა ფინანსური ანალიზი. მისი განვითარება ეფუძნებოდა ორმაგი ჩანაწერის ფორმირებას და საბუღალტრო ბალანსის შედგენას. ეკონომიკური ანალიზის პირველი სპეციალური წიგნები გამოჩნდა XX – საუკუნის დასაწყისში. მათში განხილული იყო ბალანსის ანალიზი და ატარებდენ წმინდა მეთოდოლოგიურ მიმართულებას.

**მეორე პერიოდი მოიცავდა 1920-იან წლებს.** ეს იყო პერიოდი, როდესაც დაიწყო ანგარიშგების ერთიანი ფორმების და მათი შედეგნის ინსტრუქციების შემუშავება. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მოკლე პერიოდში (1918-1921 წწ) გაფართოვდა ანალიზის არქალი, რაღაც სამეურნეო საქმიანობის უდანაკარგოდ წარმართვისათვის საჭირო გახდა გაწეული ხარჯების შესწავლა მათი აუცილებლობისა და რაციონალურობის თვალსაზრისით. თუმცა დამოუკიდებლობის ამ მცირე და რთულ პერიოდში ეკონომიკური ანალიზის განვითარებას ვერ მიექცა სათანადო ყურადღება, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო საერთო ეკონომიკური წარუმატებლობისა.

**მესამე მოიცავს 1921-1941 წლებს.** იგი ხასიათდება ანალიზური კვლევების მნიშვნელოვანი გაფართოება-გადრმავებით. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ეკონომიკური ანალიზის ჩამოყალიბება მეცნიერებად. შემუშავდა ფინანსური ანალიზის პროგრამა, რომელიც გულისხმობდა საწარმოთა საქმიანობის ცენტრალიზებულ მართვას,

**Ճյտեց პერიოდი -** 11 մեռյալու ռմուս և ռմուս Շյմֆլցոմի პյրունու - 1941-1953 թ. - դանցրյալո յշոնոմոյիս աղջանու պյրունու. ամ պյրունու Շյմյազազա ռպուցուալյուրո մյտունույուրո մուտույցի վլույրո անցարույցի անձանունու հաջարյածիս Շյսակեց, րասաց գաճամնչպաց մենշվելուն էլյոնդա. Վալյայլո սամոնուսիրույցիս մոյր Շյմյազազա վլույրո անձանունու ար ոյու Շյմոյցարցլյունո մեռլուն զոնասյուրո մդցումարյունու անձանունու. մատմու գանենույլունո ոյու մուրուտանու վորնցացիս, մաթյըրուալյուրո և մերումուտո րյեւրեցիս գամոյցնցիս և արունույլցուս տպութուրցլյունցիս և սարունեցիս մատու մոյմյացցիս սակուտեցի, յ.օ. զոնասյուր անձանունու յրտադ և բայրացու գաճուտարյաց և անյունու ըյեխույր-յանումոյյուրմա անձանունումաց. տյմցա, մեցաշաճ վլունա պյրունույցիս, ար եցանուն և սամյյարնյու սյստույցիցիս մարտցուս և սամյյարնյու սայմունունու յշայէթյունուն գանցունու մունուտ մունունու մունունու սամյյարնյու ըյեխույրցիս գամոյցլյենուս և մունունունու անձանունու սրյալյուոյցունու գամոյցնցի.

**Ճյեցոյ պյրունու մուուցաց 1953-1989 վլույցի.** յև պյրունու ոյու անձանունու տյուրույլունո սակուտեցիս սագյազլունու Շյմյազազցիս պյրունու. տանձատան գանենուրցույլունո յշոնոմոյյուրո անձանունու մյտունունուցուս և ամույցույցցունո մոմարտույլցիցիս Շյմնա, գաճուտարդա անձանունու վալյայլունո սակեցի: ռպյրածույլունո, սերաթյացույլունո, յշոնոմոյյուր-մատյամաթյուրու, վյնէլցույր-լուրցլյունցիտու և ա.թ. ամացու պյրունու անձանունու մյտունու որցանյուն մոնաթունունու ուղցիս յշայրնյունու պրայիցույլ մարտցամի, րոցուրց սաթարմու, ույյ նացունալյուրո յշոնոմոյիս լոնից նյ.

**თաճամյժարուց պյրունու.** յշոնոմոյյուրո անձանունու տյուրու լուցուսատցու վարմուացցինս սակմառ սագյազլունաճ և ամյազաց վլու տյուրույլունո մյցունուրցիս. րաւ Մյյեկեց մուսու პրայիցույլունո գամոյցնցիս պյրայիցուցիցիս - յշոնոմոյյուրո անձանունու այցունույց լուցուսատցու և այցունույց վարմուացցինս համյան ացցունու մարտցու սուսրյամամի, րասաւ եցլս Մյյեցունու հյեցն սաթուցագույցիմ մոմցունարյ գարճայինցի. սածանու յշոնոմոյիանու գաճասցունու գամովյալունո յշոնոմոյյուրո մյյեկանունու սրյալյուոյց, յուրաքանչիւնու սաթարմունու մորուս և սացյուտրցիս վորմյցիս արևեցուն և րյալյուրաճ եցլս յիշունու ամ մյցունուրցիտ և անինթյարյացիս և մուսու մենշվելունու նրդաս.

**Սագոնքրունու յուտեցցի:**

1. დაახასიათეთ დიალექტიკური ტანდემი „ანალიზი-სინთეზი“.
2. ჩამოთვალეთ ეკონომიკური ანალიზის წარმოშობის ობიექტები მოთხოვნები და პირობები.
3. ჩამოაყალიბეთ ეკონომიკური ანალიზის როლის განსაზღვრება სამეცნიერო სუბიექტების მართვის სისტემაში.
4. დაახასიათეთ ეკონომიკური ანალიზის ურთიერთკავშირები სხვა ეკონომიკურ მეცნიერებებთან.
5. რა კავშირშია ეკონომიკური ანალიზი ტექნიკურ მეცნიერებებთან?
6. დაახასიათეთ ეკონომიკური ანალიზის შექმნისა და განვითარების ეტაპები.
7. თანამედროვე პირობებში როგორია ეკონომიკური ანალიზის გამოყენების ძირითადი მიმართულებები?
8. როგორია ეკონომიკური ანალიზის განვითარების პერსპექტივები?

## **2. მკონიერების ანალიზის საგანი, ამოცანები, შინაარსი და სახელები**

### **2.1. ეკონომიკური ანალიზის საგნის განსაზღვრა**

უფრო მეცნიერებას აქვს თავისი კვლევის საგანი, რომელსაც იგი შეისწავლის შესაბამისი მიზნით და მისთვის დამახასიათებელი მეთოდებით. საგნის განსაზღვრებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ცოდნის ამა თუ იმ დარგის დამოუკიდებლობისა და განკერძოების დასაბუთებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი მეცნიერების საგნის განსაზღვრა, მეტად რთული ამოცანაა, ასევეა ეკონომიკური ანალიზის შემთხვევაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის განხილვა მიმდინარეობს რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, ეკონომიკური ანალიზის საგნის განსაზღვრებაზე მსჯელობა დღემდე არაა დასრულებული. სხვადასხვა ავტორები იძლევიან ეკონომიკური ანალიზის საგნის განსხვავებულ განსაზღვრებებს. თუმცა, აგტორთა უმრავლესობამ და სამეცნიერო პრაქტიკაში დაადასტურა, რომ სამეცნიერო საქმიანობა წარმოადგენს ანალიზის საგანს. ისინი იძლევიან ამ განსაზღვრების განსხვავებულ ფორმულირებებს (რათა დააზუსტონ მისი შინაარსი და საზღვრები).

თუ გავითვალისწინებთ საზოგადოებრივი ურთიერთობების საფუძვლიან ცვლილებებს, რაც გამოიწვია სამეცნიერო სუბიექტების საქმიანობის დაგეგმვისა და მართვის ცენტრალიზებული სისტემიდან, საბაზრო პირობებში მათ დამოუკიდებელ ფუნქციონირებაზე გადასვლამ, ასევე საბაზრო ურთიერთობების გავრცელებამ ობიექტებზე, რომლებიც ადრე მხოლოდ ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ, მიზანშეწონილია, ეკონომიკური ანალიზის საგნის, როგორც ეკონომიკის მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის, განსაზღვრება ჩამოვალიბოთ შემდეგი სახით: ეკონომიკური ანალიზის საგანია სამეწარმეო ერთეულების ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების მიღწევის საშუალებათა გამოვლენა, საბოლაო შედეგებში მასზე მოქმედი პარამეტრების შერჩევა, გავლენის დონის განსაზღვრა და ურთიერქმედების რაციონალური მიმართულების გამოყლენა.

საკუთრებიდან ნებისმიერი ფორმის დროს ეკონომიკური ანალიზის საგანს წარმოადგენს კონკრეტული სამეცნიერო სუბიექტების საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების მიღებაზე ან ხარჯებისა და შემოსავლების დაბალანსების უზრუნველყოფაზე. აღნიშნული საქმიანობა კომპლექსურად

შეისწავლება მისი ეფექტურობის ობიექტური შეფასებისა და გაზრდის შესაძლებლობის გამოვლენის, ასევე, სამეურნეო სუბიექტის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ინფორმაციის ყველა შიდა და გარე წყაროს, პირველ რიგში, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების მოზიდვა და განხოგადვება.

## 2.2. ეკონომიკური ანალიზის მიზნები

საბაზო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური საქმიანობა მრავალფეროვანია, იგი მოიცავს მარკეტინგის, პროექტირების, ათვისების, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის (სამუშაო, მომსახურება), საბოლოო ფინანსური შედეგების მიღების სტადიებს. ეკონომიკური საქმიანობის როლი და მრავალფეროვნება განსაზღვრავს ეკონომიკური ანალიზისა და მის წინაშე მდგარი ამოცანების სირთულეს. დღეისათვის ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელოვანი ამოცანებია:

- საწარმოთა ბიზნეს-გეგმების, ბიზნეს-პროექტებისა და ნორმატივების სამეცნიერო-ეკონომიკური დასაბუთების ამაღლება (მათი შემუშავების დროს);
- ბიზნეს-გეგმების, ბიზნეს-პროცესების შესრულებისა და ნორმატივების დაცვის (აღრიცხვის და ანგარიშგების ფაქტიური მონაცემების მიხედვით) ობიექტური და ყოველმხრივი გამოკვლევა;
- შრომის, მატერიალური და ფინანსური რესურსების (ცალკე და ერთობლივადაც) გამოყენების შედეგიანობის განსაზღვრა;
- კომერციული გაანგარიშების მოთხოვნების დასაბუთება, კონტროლის განხორციელება მათ შესრულებაზე და სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის ფინანსური შედეგების შეფასება;
- შიდა რეზერვების გამოვლენა და შეფასება (საწარმოო პროცესის ყველა სტადიაზე) და მათი მობილიზაციის გზების განსაზღვრა;
- მმართველობითი (მართვის) გადაწყვეტილებების ოპტიმალურობის შემოწმება.

## 2.3. ანალიზის შინაარსის ცნება და მისი განსაზღვრის პირობები

ეკონომიკური ანალიზის შინაარსი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის წინაშე მდგარ ამოცანებზე და უძირველეს ყოვლისა, მასში მოცემული უნდა იყოს გამოსაკვლევი ობიექტების ეკონომიკური მდგრმარეობის ობიექტური ანალიზი და გამოვლენილი უნდა იყოს მისი გასაუმჯობესებელი რეზერვები. ამ დროს ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ანალიზის შინაარსი და პროგრამა, ე.ი. ობიექტზე ანალიზის ჩატარების მთავარი დებულებები. ეკონომიკური ანალიზის შინაარსი, როგორც წესი, მოიცავს:

- კოსტების ჩამონათვალს, რომლებიც საჭიროებს გადაწყვეტას;
  - აუცილებელ ინფორმაციას;
  - მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებენ შესასწავლ მოვლენას, და მათ განმსაზღვრელ ფაქტორებს;
  - სპეციალურ მეთოდიკურ ხერხებს, რომლებიც გამოიყენება დასმული საკითხების კვლევების დროს.
- ანალიზის შინაარსის გაშლას ხელს უწყობს მისი დახასიათება შემდეგი ნიშნების მიხედვით:
- გამოკვლევის მიზანი;
  - კვლევის ასპექტები;
  - შესასწავლი საკითხების წრე, ობიექტები, მართვის განხილული დონეების რაოდენობა;
  - ანალიზის განმახორციელებელი სუბიექტები;
  - რეზერვების შესწავლის არეალი;
  - მისაღები გადაწყვეტილებების ხასიათი;
  - ჩატარების პერიოდულობა;
  - ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

**2.4. ეკონომიკური ანალიზის სახეების კლასიფიკაციის ნიშნები**  
ეკონომიკური ანალიზის სახეების კლასიფიკაციას მნიშვნელოვანი როლი აკისრია მისი ამოცანებისა და შინაარსის სწორად გაეხისხოვის. ეკონომიკურ ლიტერატურაში ანალიზი კლასიფირებულია შემდეგი ნიშნების მიხედვით:

#### **1. დროის ნიშანი:**

- წინახწარი ანალიზი-იგი უნდა ჩატარდეს სამეურნეო ოპერაციების განხორციელებამდე, რათა მოხდეს მართვის გადაწყვეტილებებისა და გეგმიური დავალებების დასაბუთება;
- რეტროსპექტური ანალიზი - ტარდება სამეურნეო ოპერაციების შესრულების შემდეგ და გამოიყენება გეგმის

შესრულების კონტროლისა და გამოუყენებელი რეზერვების გამოვლენის მიზნით. თავის მხრივ, რეზიროსპექტიულ ანალიზს ჰქონენ მპერატიულ ანალიზად (ტარდება სამეცნიერო ოპერაციის დასრულებისთანავე და თვალყურს ადევნებს სიტუაციის ცვლილებას დროის ნებისმიერ პერიოდში) და შედეგობრივ ანალიზად (ტარდება ანგარიშგების მონაცემების მიხედვით, საწარმოს ანალიზი ხდება კომპლექსურად).

## 2. სიგრცული ნიშანი:

- შედა სამეცნიერო – მოიცავს საწარმოს და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის ანალიზს;
- მეცნიერობათ შერისი – ტარდება რიგ საწარმოებში, რაც იძლევა მოწინავე გამოცდილებისა და არსებული რეზერვების გამოვლენის საშუალებას.

## 3. მართვის ობიექტები:

– ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი – მას ანხორციელებენ საწარმოს ტექნიკური სამსახურები, შეისწავლიან ტექნიკური პარამეტრების მოქმედებას საწარმოს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე;

– ფინანსურ-ეკონომიკური – მთავარი აქცენტი კეთდება საწარმოს ფინანსურ მდგრმარეობაზე;

– სოციალურ-ეკონომიკური – შეისწავლის სოციალური მაჩვნებლების ზემოქმედებას ეკონომიკურ პარამეტრებზე;

– კოლოგიური – იკვლევს კოლოგიური და ეკონომიკური მაჩვნებლების ურთიერთობის მედებას;

– აუდიტორული – შეისწავლის საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების დიაგნოსტიკას, ტარდება გარეშე აუდიტორების მიერ.

## 4. ობიექტის შესწავლის მეთოდიკა:

– შედარებითი – შემოიფარგლება განსხვავებული მაჩვენებლების ურთიერთ შედარებით;

– ფაქტორული – მისი მიზანია გამოავლინოს ფაქტორების ზეგავლენა შედეგებზე;

– დიაგნოსტიკური – მისი მიზანია დაადგინოს ნორმალურად მიმდინარე ეკონომიკური პროცესების დარღვევების ხასიათი, რაც დაძახასიათებელია მოცემული პროცესის ვოლების;

– სტრატეგიური ანალიზი – გამოიყენება სამეცნიერო საქმიანობის მოვლენებსა და პროცესებს შორის სტოქასტიკური დამოკიდებულების შესასწავლად;

– მარჯინალური – არის გაყიდვების მოცულობას, თვითდირებულებასა და მოგებას შორის მიზეზ-შედეგობრივი

ურთიერთკავშირის საფუძველზე მმართველობითი გადაწყვეტილებების შეფასების და დასაბუთების მეთოდი; -ფუნქციონალურ-ლირებულებითი - არის ნაწარმის ფუნქციების ანალიზის ბაზაზე რეზიუმების გამოვლენის მეთოდი.

## 5. მოსარგებლეთა სუბიექტები:

- შიდა ანალიზი - ხორციელდება უშადოდ საწარმოში, სამეურნეო საქმიანობის ოპერატორული მართვის მიზნით;
- გარე ანალიზი - ხორციელდება გარე ორგანოების მიერ ფინანსური და სტატისტიკური გაანგარიშების საფუძველზე.

## 6. პროგრამის შინაარსი:

- სრული ანალიზი - იგი მოიცავს საწარმოს საქმიანობის ყველა მხარეს;
- თემატური ანალიზი - მოიცავს რომელიმე ერთ მხარეს, როგორც წესი, უარყოფითი გადახრების დროს.

## 2.5. ეკონომიკური ანალიზის პრინციპები

სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის ანალიზის მიმართულებისა და მიზნების მიუხედავად, მის საფუძველს უნდა შეადგენდეს შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების არსის ადეკვატური პრინციპები. სამეურნეო საქმიანობის, როგორც ანალიზის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია შემდგენი ძირითადი პრინციპების გამოყოფა:

1. მეცნიერულობა, ანუ, შემცნების დიალექტიკური თეორიის დებულებებზე დაყრდნობა, ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა რეალიზაცია, შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების ეკონომიკური არსის გარკვევა, მათი სწორი შეფასება. მეცნიერულობის მნიშვნელოვანი ნაწილია მოწინავე გამოცდილების და ეკონომიკური კვლევების უახლესი მეთოდების გამოყენება, ანალიზის საიმედო და დასაბუთებული მეთოდებისა და პროცესების არჩევა.

2. სისტემურობა, რომელიც გულისხმობს შესასწავლი სამეურნეო სუბიექტის, როგორც უფრო მსხვილი სამეურნეო სისტემის (დარგის, რეგიონის, სახელმწიფო და მსოფლიო მეურნეობის) განხილვას; ასევე, როგორც რთული დინამიკური სისტემის განხილვას, რომელიც აერთიანებს წარმოების პროცესის რეალიზაციის ხელისშემწყობ სტრუქტურულ ქვედანაყოფს და მოიცავს წარმოების, როგორც

მიზანმიმართულად განვითარებადი სისტემის სხვადასხვა ფაქტორებს.

3. კომპლექსურობა. მოითხოვს მოვლენისა და პროცესის ყოველმხრივ შესწავლას, ანუ, ხსნის მათ ძირითად შინაარს და ფორმირების ფაქტორებს. უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსურობა მოითხოვს დასახული მიზნის ანალიზის განხორციელებისათვის აუცილებელი და საკმარისი ინფორმაციის დასაბუთებას და გამოყენებას.

4. რეგულარულობა. ანალიზის თითოეული ობიექტისთვის განისაზღვრება მისი ცვალებადობისა და „მოძრაობის“ ტემპების მიხედვით. ამ პრინციპის დაცვის აუცილებელი პირობაა ობიექტურად დასაბუთებული პერიოდული ანალიზი.

5. ობიექტურობა. გულისხმობს ანალიზის დასკვნების უზრუნველყოფილობას და დამაჯერებლობას. ეს შესაძლებელია შესასწავლი ობიექტის ცვლილებების მიზეზთა სრული გამოვლენის, საკვლევ ობიექტზე მათი გავლენის შეფასების და მათი ფუნქციონირების ძირითადი ფაქტორებისა და პირობების გარკვევის შემთხვევაში.

6. აქტიურობა (ქმედითობა). განპირობებულია როგორც მისი მიზანმიმართულობით, ისე, საკვლევ ობიექტზე ფაქტორთა მოქმედების ძალისა და ტენდენციების შეფასებით.

7. მემკვიდრეობითობა (მონაცემლები). ხორციელდება ანალიტიკური მუშაობის ერთიანი პრონციპების დაცვით, სხვადასხვა თემატური ანალიზების საფუძველზე მიღებული დასკვნების შედარებითა და მათი დაკავშირების შესაძლებლობით, ასევე, სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული ანალიზების შედარებით.

8. ექონომიკურობა. რომლის მისაღწევად ანალიზური სამუშაოს ჩასატარებლად საჭირო სახსრები უნდა შეესაბამებოდეს მის ეფექტს.

### საკონტროლო კითხვები:

- დაახასიათეთ ექონომიკური ანალიზის საგანი.
- როგორია ეკონომიკური ანალიზის ზოგადი ამოცანები?
- დაახასიათეთ ექონომიკური ანალიზის ძირითადი სახეები.

4. რა განსხვავებაა ანალიზის შინაარსსა და მის პროგრამას შორის?
5. ჩამოთვალეთ ეკონომიკური ანალიზის მთავარი პრინციპები.
6. რაში ძღვის მდგომარეობს ეკონომიკური ანალიზის სისტემურობის ცნება?
7. განმარტეთ ეკონომიკური ანალიზის კომპლექსურობის ცნება.

### 3. მპონომიკური ანალიზის მეთოდი და მისთვის

#### დამახასიათებელი თავისებურებები

მეცნიერებლ მეთოდში, ფართო გაგებით, იგულისხმება თავისი საგნის კალევის საშუალება. საკუთარი საგნის შესწავლის სხვადასხვა მეცნიერებისთვის დამახასიათებელი მიღობიერები ეფუძნება შემეცნების ზოგად დიალექტიკურ მეთოდს. ყველა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებები, თავისი საგნის შესწავლის დროს, იყენებენ კალევის დიალექტიკურ მეთოდს. ამავე დროს, თითოეული მათგანი ამჟავებს თავისი საგნის შესასწავლ განსაკუთრებულ მიღობას, რაც საშუალებას აძლევს მას მოახდინოს ამ მეთოდის ზოგადი დებულებების რეალიზაცია თავისი საგნის საკუთიფიკის შესაბამისად.

სხვადასხვა ობიექტების ეკონომიკური საქმიანობის შესწავლის დიალექტიკური მეთოდი გულისხმობს ყველა სამეცნიერო პროცესების განხილვას თავისი განვითარებისა და ურთიერთკავშირის პროცესში. ამ დროს გამოიყენება შემეცნების ზოგადი მეთოდები: ინდუქცია და დედუქცია. ინდუქცია უზრუნველყოფს ცალკეული ფაქტებიდან ზოგად დებულებებზე გადასვლის შესაბამის ბლობას. რეალურ შემეცნებაში იგი უწყვეტადაა დაკავშირებული დედუქციასთან, ანუ, შემეცნების პროცესთან – ზოგადიდან კერძოსკენ.

ეკონომიკური ანალიზის მეთოდში იგულისხმება სამეცნიერო სუბიექტების საქმიანობის შედეგების შესწავლის, მათზე ცალკეული ფაქტორების ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების გამოვლენისა და შეფასების, აღნიშნული საქმიანობის შედეგების შესახებ არსებული სრული ინფორმაციის სპეციალური მეთოდებით დამუშავების საფუძველზე მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების სახით ანალიზის მასალების განზოგადების სისტემური კომპლექსური მიღობა.

ეკონომიკური ანალიზის მეთოდს საკვლევი ობიექტის მიმართ აქვს რიგი დამახასიათებელი თავისებურებები, კერძოდ:

1. ხდება ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემის გამოკვლევა და მიღება საწარმოს სამეცნიერო საქმიანობის ცალკეული მხარეების რაოდენობითი შეფასება. თითოეულ ეკონომიკურ მოვლენას ან პროცესს ჩვეულებრივ ახასიათებენ ეკონომიკური მაჩვენებლების კომპლექსით. ანალიზის შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულად და ზუსტად ასახავენ მაჩვენებლები საკვლევ მოვლენებს.

2. მაჩვენებლების სისტემა შეისწავლება მათ ურთიერთგავშირში, ურთიერთდამოკიდებულებაში და ურთიერთ შეპირობებულობაში. ურთიერთგავშირის შესწავლა მოითხოვს მაჩვენებელთა დაქვემდებარებულობის გამოვლენას, ერთობლივი შედეგიანი მაჩვენებლისა და მასზე მოქმედი ფაქტორების გამოყოფას.

ადგილი აქვს ერთობლივ მაჩვენებელზე ფაქტორების მოქმედების რაოდენობრივ აღრიცხვას სპეციალური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით. ეს უზრუნველყოფს ანალიზის სიზუსტეს და დასკვნების საფუძვლიანობას.

### 3.2. სისტემურობა და კომპლექსურობა ეკონომიკურ ანალიზში

**სისტემური მიდგომა** – ესაა მიმართულება კვლევის მეთოდოლოგიაში. იგი ეფუძნება ობიექტების, როგორც როგორი სისტემების, შესწავლას, რომლებიც შედგებიან ცალკეული ელემენტებისაგან მრავალრიცხოვანი შიდა და გარე კავშირებით. სისტემური მიდგომა იძლევა ობიექტის ღრმად შესწავლის, მის შესახებ უფრო სრული წარმოდგენის მიღების, ამ ობიექტის ცალკეულ ნაწილებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენის საშუალებას.

სისტემური მიდგომის მთავარი ნიშანთვისებებია – სისტემის ელემენტებს შორის დინამიურობა, ურთიერთქმედება, ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგავშირი, კომპლექსურობა, მთლიანობა, თანადაქვემდებარება, წამყვანი რგოლის გამოყოფა. სისტემური მიდგომა ეკონომიკურ ანალიზში საშუალებას გვაძლევს შევიმუშაოთ სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის მეცნიერულად დასაბუთებული ვარიანტები, განვხაზდვროთ ამ ვარიანტების ეფექტურობა, რაც მოგვცემს შედარებით უფრო მიზანშეწონილი მართვის გადაწყვეტილებების შერჩევის საფუძველს.

ანალიზის მეთოდში სისტემური მიღებობა შეთავსებულია კომპლექსურთან. კვლევის კომპლექსურობა გულისხმობს საქმიანობის შედეგების და მათზე მოქმედი ფაქტორების განხილვას.

### **3.3. ეკონომიკური ანალიზის ცნება, მისი თავისებურებები და ურთიერთკავშირი მეთოდთან**

მეთოდიკა გულისხმობს რაიმე სამუშაოს შედარებით უფრო მიზანშეწონილად შესრულების წესებისა და საშუალებების ერთობლიობას. ეკონომიკურ ანალიზში მეთოდიკა წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკის კვლევის წესებისა და ანალიზური მეთოდების გაერთიანებას, რომლებიც გარკვეული წესით მქონებარებიან ანალიზის მიზნების შესრულებას. ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ ზოგადი და კერძო მეთოდიკები. ზოგადი მეთოდიკა წარმოადგენს კვლევის სისტემას, რომელიც ერთნაირად გამოიყენება ეკონომიკური ანალიზის სხვადასხვა ობიექტების შესწავლის დროს ნაციონალური ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში. კერძო მეთოდიკები ახდენენ ზოგადის კონკრეტიზირებას ეკონომიკის გარკვეული დარგების, წარმოების განსაზღვრული ტიპის ან კვლევის ობიექტის მიმართ.

ანალიზის ნებისმიერი მეთოდიკა შეიცავს ანალიზური კვლევის წარმოების მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს. ესნია:

- ანალიზის მიზნების ამოცანები და მათი ფორმულირება;
- ანალიზის ობიექტი;
- მაჩვენებელთა სისტემები, რომელთა საშუალებით უნდა მოხდეს ანალიზის თითოეული ობიექტის გამოკვლევა;
- რჩევები ანალიზური კვლევის ჩატარების მიმდევრობისა და პერიოდულობის შესახებ;
- შესასწავლი ობიექტების კვლევის მეთოდების აღწერა;
- მონაცემთა წყაროები, რის საფუძველზეც ხორციელდება ანალიზი;
- მითითებები ანალიზის ორგანიზაციის შესახებ (რომელი სამსახურები და კონკრეტული პირები ჩატარებენ კვლევის ცალკეულ ნაწილებს);
- ტექნიკური საშუალებები, რომელთა გამოყენებაც მიზანშეწონილია ინფორმაციის ანალიზური დამუშავებისთვის;
- დოკუმენტების დახასიათება. რომლებითაა უმჯობესია ანალიზის შედეგების გაფორმება;
- ანალიზის შედეგების მომხმარებლები.

მაგალითად, ეკონომიკური ანალიზის თეორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისით, სამეცნიერო საქმიანობის კომპლექსური ანალიზის ჩატარების დროს მიზანშეწონილად ითვლება ანალიზური მართვის შემდეგი თანმიმდევრობა და ძირითადი ეტაპები:

1. ზუსტდება ობიექტები, ანალიზის მიზანი და ამოცანები, დგება ანალიზური კვლევის გეგმა.

2. ხდება სინთეზური და ანალიზური მაჩვენებლების შემუშავება, რომელთა საშუალებით ხასიათდება ანალიზის ობიექტი.

3. ანალიზის ჩასატარებლად მზადდება აუცილებელი საინფორმაციო ბაზა (მოწმდება მისი სიზუსტე, მოპყავთ შესაბამისობაში).

4. ტარდება მმართველობის ფაქტიური შედეგების შედარება საანგარიშო წლის გეგმიურ მაჩვენებლებთან, გასული წლების ფაქტიურ მონაცემებთან, წამყვანი საწარმოების, მთელი დარგის მიღწევებთან.

5. სრულდება ფაქტორული ანალიზი: ხდება ფაქტორების გამოყოფა და განისაზღვრება მათი გავლენა შედეგებზე.

6. წარმოების ეფექტურობის გაზრდის მიზნით ხდება რეალურად არსებული გამოუყენებელი და პერსპექტიული რეზერვების გამოვლენა.

7. ხდება მმართველობის შედეგების შეფასება სხვადასხვა ფაქტორების მოქმედების და გამოვლენილი გამოუყენებელი რეზერვების გათვალისწინებით, მათი გამოყენების მიზნით ხდება ღონისძიებების შემუშავება.

### 3.4. მაჩვენებელთა სისტემა, როგორც ეკონომიკური ანალიზის მეთოდიების ელემენტი

ეკონომიკური მაჩვენებლები შეადგენს საწარმოს საქმიანობის შეფასების, დაგეგმვისა და მართვის მძლავრ

ინსტრუმენტს. ეკონომიკური ანალიზის მაჩვენებლად ითვლება განსაზღვრული ეკონომიკური მოვლენების და პროცესების რაოდენობრივი მაჩვენებლის უწყვეტი კავშირი მათ სარისხობრივ პარამეტრებთან. სწორედ ეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთაგან თითოეული გამოირჩევა განსაზღვრული ეკონომიკური აზრითა და სარისხობრივი თავისებურებებით, ასახავენ რა ობიექტის ეკონომიკური საქმიანობის ერთ რომელიმე მიმართულებას (მხარეს), საშუალებას გაძლიერების შევისწავლოთ, გავზომოთ და განვაზოგადოთ გასაანალიზებელი სამუშაო პროცესები.

ეკონომიკურ ანალიზი გამოყენებული მაჩვენებლების სისტემა საკმარის მრავალფეროვანია. კვლევის ასპექტის მიხედვით მაჩვენებლები იყოფა:


— განსხოვადების ხარისხის მიხედვით: განმაზოგადებლებად, რომლებიც მოლიანობაში ახასიათებენ სამეურნეო პროცესს, და კერძოდ, რომლებიც ახასიათებენ ამ პროცესის ცალკეულ მხარეებს;

— კავშირის ხასიათის მიხედვით: შედეგიანებად — შედის დამახასიათებელი მაჩვენებლები, და ფაქტორულები — ამ შედეგზე გავლენის მომხდენი ცალკეული ფაქტორების მაჩვენებლები;

— მაჩვენებლების ხასიათის მიხედვით: გეგმიური, ნორმატიული, სააღრიცხვო ანალიზური, შერჩევითი დაკირვებები.

ანალიზში გამოყენებული მაჩვენებლები (ყველა მათგანი) ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან და ურთიერთგანპირობებულია. ეს გამომდინარეობს ეკონომიკურ მოვლენებს შორის არსებული რეალური კავშირებიდან.

საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის კომპლექსური შესწავლა ითვალისწინებს მაჩვენებლების სისტემატიზაციას, რადგანაც მაჩვენებლების ერთობლიობა, როგორი ამომწურავიც არ უნდა იყოს იგი, მათი ურთიერთკავშირის და თანადაქვემდებარების გათვალისწინების გარეშე, ვერ შეგვიქმნის რეალურ წარმოდგენას სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობის შესახებ. აუცილებელია, რომ განსხვავებული სახის საქმიანობის შესახებ არსებული კონკრეტული მოხაცემები ორგანულად იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან ერთიან კომპლექსურ სისტემაში.



|

### ნახ. 2. კომპლექსური ანალიზის მაჩვენებლთა სისტემა

ყველა მაჩვენებლები (ანალიზის ობიექტის მიხედვით) უნდა დაჯგუფდეს ქვესისტემებად (ნახ. 2). ქვესისტემის შემქმნელი მაჩვენებლები შეიძლება დაიყოს შემავალად და გამომავალად, ზოგადებად და კერძოდ. შემავალი და გამომავალი მაჩვენებლების საშუალებით ხორციელდება ურთიერთკავშირი ქვესისტემებს შორის. ერთი ქვესისტემის გამომავალი მაჩვენებელი წარმოადგენს მომავალ მაჩვენებელს სხვა ქვესისტემებისთვის.

### 3.5. ანალიზის მეთოდური ხერხების და საშუალებების კლასიფიკაცია

ეკონომიკური ანალიზის მეთოდიების მნიშვნელოვანი კლემენტებია ანალიზის ხერხები და საშუალებები. ანალიზში გამოყენებული მრავალი ხერხები და მეთოდები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი ნიშნების მიხედვით:

- მეცნიერული მიღგომის;
- მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის ხასიათის;
- გამოყენებული ინსტრუმენტების სირთულის ხარისხის;
- ოპტიმიზაციის.

მეცნიერული მიღგომა იძლევა მეთოდების სამი ჯგუფის გამოყოფის საშუალებას: საერთო გონიომიკურის, სტატისტიკურის, მათემატიკურის.

**საერთო (ზოგად) გონიომიკურ მეთოდების მიეკუთვნება:** შედარების, გრაფიკული, ბალანსური კავშირის, ჯაჭვური შენაცვლების, არითმეტიკული სხვაობების, ლოგარითმული, ინსტრუმენტალური მეთოდები.

**სტატისტიკური მეთოდები** შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ტრადიციულ (საშუალო და ფარდობითი სიდიდეების, ინდექსების, დინამიკის მწკრივების დამუშავების) და მატემატიკურ – სტატისტიკურად (კორელაციური, რეგრესიული, დისპერსიული, კოვარიაციული, კლასტერული ანალიზები).

**მათემატიკური მეთოდები** ზოგადად წარმოდგენილია მეთოდების სამი ძირითადი ჯგუფის სახით: ეკონომიკური (მატრიცული მეთოდები, საწარმოო ფუნქციების თეორია, დარგთაშორისის ბალანსის თეორია); ეკონომიკური კიბერნეტიკის და ოპტიმალური პროგრამირების მეთოდები (წრფივი დაპროგრამება, დინამიკური დაპროგრამება, არაწრფივი დაპროგრამება); ოპერაციების კვლევის და გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები (თამაშთა თეორია, მასიური მომსახურების თეორია, გრაფების თეორია).

ეკონომიკური ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ფაქტორულ ანალიზს.

**ეკონომიკურ ფაქტორულ ანალიზი** იგულისხმება თანდათანობითი გადასვლა საწყისი ფაქტორული სისტემიდან საბოლოო ფაქტორულ სისტემაზე მიმართულებების სრული კომპლექტის, რაოდენობრივად გაზომვადი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ გაზომვის შედეგზე.

მაჩვენებლებს შორის არსებული ურთიერთკავშირის ხასიათის მიხედვით, ანსხვავებენ დეტერმინირებული და სტოქასტიკური ფაქტორული ანალიზის მეთოდებს.

**ფუნქციურ-დეტერმინირებული კავშირი** – ესაა ისეთი კავშირი, რომლის დროსაც ფაქტორული ნიშნის ყოველ მნიშვნელობას შეესაბამება რეზულტატული ნიშნის განსაზღვრული არაშემთხვევითი მნიშვნელობა.

**სტოქასტიკური (ალბათური) გავშირი** კი ისეთი კავშირია, რომლის დროსაც პრაქტიკული ნიშნის ყოველ მნიშვნელობას შეესაბამება რეზულტატური ნიშნის მრავალი მნიშვნელობა (ანუ, განსაზღვრული სტატისტიკური განაწილება).


კავშირის ტიპის შესაბამისად, ანალიზური მეთოდები და საშუალებები, იყოფა დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზის და სტოქასტიკური ფაქტორული ანალიზის მეთოდებად. ფაქტორულ და რეზულტატიურ მაჩვენებლებს შორის არსებული კავშირის მიხედვით ფაქტორული ანალიზის საშუალებების დაჯგუფება მოცემულია ნახ. 3-ზე.

სხვადასხვა დაჯგუფებებში საშუალებების (ხერხების) უბრალო ჩამოთვლა აწვენებს, რომ ყველა მათგანი მოითხოვს სხვადასხვა ხარისხის სირთულის მათემატიკური აპარატის გამოყენებას. გამოყენებული ინსტრუმენტების სირთულის მიხედვით ანალიზური მეთოდები იყოფა **ელემენტარული მათემატიკის** და **უმაღლესი მათემატიკის** საშუალებებად.

ყველა კონომიკურ-მათემატიკური მეთოდები (ამოცანები) ოპტიმალურობის ნიშნის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: ოპტიმიზაციურად და არაოპტიმიზაციურად.

ჩამოთვლილიდან ამა თუ იმ საშუალების ან ხერხის არჩევა განისაზღვრება ანალიზის მიზნით, ანალიზის დეტალიზაციის ხარისხის (სიღრმის) და შედეგების სიზუსტის მოთხოვნებით, მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის ხასიათით და ანალიზური ამოცანების ხასიათით.

ფაქტორული ანალიზის საშუალებები (ხერხები)



ნახ.3. ფაქტორები ანალიზის ხერხები

### საკონტროლო კითხვები:

- დაახასიათეთ ეკონომიკური ანალიზის მეთოდი.
- როგორია ეკონომიკური ანალიზის მეთოდის თავისებურებები?
- გაშიფრეთ ეკონომიკური ანალიზის სისტემურობის და კომპლექსურობის ცნება.

4. განმარტეთ ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკის ცნება.
5. ჩამოთვალეთ ანალიზური კვლევის ძირითადი ეტაპები სამეცნიერო საქმიანობის კომპლექსური ანალიზის შესრულების დროს.
6. დაახასიათეთ ეკონომიკურ ანალიზში გამოყენებული მაჩვენებლების სისტემა.
7. როგორია ზოგადად ანალიზში და კერძოდ კი, ფაქტორულ ანალიზში გამოყენებული ხერხების და საშუალებების დაჯგუფების ძირითადი ნიშნები.
8. რაზეა დამოკიდებული ანალიზის ამა თუ იმ წესების და ხერხების გამოყენება.

#### **4. დეტერმინირებული ზარტორული ანალიზის ზოგადი (ხერხები)**

ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ საკითხს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რა ხარისხით მოქმედებენ ცალკეული ფაქტორები მაჩვენებლების შედეგების ზრდაზე. ამის გასარკვევად დეტერმინირებულ

ანალიზში იყენებენ შემდეგ წესებს (საშუალებებს): ჯაჭვური შენაცვლების, აბსოლუტური განსხვავებების, შედარებითი (შეფარდებითი) განსხვავებების, ინდექსაციის, პროპორციული გაყოფის (დაყოფის) და ინტეგრალურ მეთოდებს.

პირველი ოთხი საშუალება ეფუძნება ელიმინირების მეთოდს. ელიმინირება ნიშანავს იმას, რომ თავიდან იყოს აცილებული, გამოირიცხოს ყველა იმ ფაქტორის მოქმედება, რომლებიც გავლენას ახდენენ მაჩვენებლის შედეგის სიდიდეზე, გარდა ერთისა. ეს მეთოდი გამომდინარეობს იქიდან, რომ ფაქტორები იცვლება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად: პირველად იცვლება ერთი ფაქტორი, ხოლო ყველა სხვა უცვლელი რჩება, შემდეგ იცვლება ორი ფაქტორი, შემდეგ სამი და ა.შ. ხოლო ყველა დანარჩენი რჩება უცვლელი. ეს საშუალებას იძლევა განისაზღვროს თითორული ფაქტორის მოქმედება ცალკე აღებული საკვლევი მაჩვენებლის სიდიდეზე.

#### 4.1. ჯაჭვური შენაცვლების წესი (ხერხი)

ჯაჭვური შენაცვლების წესი გამოიყენება ფაქტორების გავლენის გამოსააგარიშებლად ყველა ტიპის დეტერმინირებულ ფაქტორულ მოდელებში (აუდიტიურში, მულტიპლიკაციურში, ჯერადში და შერეულში (კომპლექსურში)). ეს წესი საშუალებას იძლევა განისაზღვროს ცალკეული ფაქტორების მოქმედება რეზულტატური მაჩვენებლის სიდიდის ცვლილებაზე, რეზულტატური მაჩვენებლის მოცულობაში თითორული ფაქტორული მაჩვენებლის ბაზისური სიდიდის თანდათანობითი შეცვლის გზით სააგარიშო პერიოდის ფაქტიური მაჩვენებლით. ამ მიზნით განსაზღვრავენ რეზულტატური მაჩვენებლის მთელ რიგ პირობით სიდიდეებს, რომლებიც ითვალისწინებენ ერთი, შემდეგ ორი, სამი და ა.შ. ფაქტორების ცვლილებას, როცა დანარჩენები უცვლელია. რეზულტატური მაჩვენებლის სიდიდის შედარება ამა თუ იმ ფაქტორის დონესთან ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ, იძლევა ყველა ფაქტორების მოქმედებისგან, ერთის გარდა, ელიმინირების საშუალებას და იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ როგორ მოქმედებს ეს უკანასკნელი რეზულტატური მაჩვენებლის ზრდაზე.

ამ საშუალების გამოყენების წესი განვიხილოთ შემდეგ მაგალითზე:

$$Y = \frac{A}{C+D} \quad Y_\delta = \frac{A_\delta}{C_\delta+D_\delta}$$

$$Y_{\beta 1} = \frac{A_\beta}{C_\beta+D_\beta} \quad ; \quad Y_{\beta 2} = \frac{A_\beta}{C_\beta+D_\beta}; \quad Y_{\beta 3} = \frac{A_\beta}{C_\beta+D_\beta}$$

$$\Delta Y_a = Y_{\beta 1} - Y_\beta; \quad \Delta Y_c = Y_{\beta 2} - Y_\beta; \quad \Delta Y_d = Y_{\beta 3} - Y_\beta;$$

$$\Delta Y_{\text{საერთო}} = Y_{\text{ფაქტ.}} - Y_{\text{გეგმ.}}$$

ან

$$\Delta Y_{\text{საერთო}} = \Delta Y_a + \Delta Y_c + \Delta Y_d$$

$$\Delta Y = Y_{\beta 1} - Y_\beta$$

სადაც:  $Y$ -რაიმე ეკონომიკური მახასიათებელია;  $A, C, D$  –მასზე მოქმედი ფაქტორები,  $A_\beta, C_\beta, D_\beta$ -ფაქტორთა გეგმიური მაჩვნებლები;  $A_\beta, B_\beta, D_\beta$  - მათივე ფაქტიური მნიშვნელობები;  $\Delta Y_a, \Delta Y_c, \Delta Y_d$  - ფაქტორთა პირობითი ცვლილება;  $\Delta Y_{\text{საერთო}} =$  ეკონომიკური მახასიათებლის საერთო ცვლილება.

ანალოგიურად გამოითვლიან ფაქტორთა გავლენას სხვა დეტერმინირებული მოდელების მიხედვით.

## 4.2. ფარდობითი სხვაობების წესი

შედარებითი განსხვავებების საშუალება, ისევე როგორც წინა, გამოიყენება ფაქტორების მოქმედების შესაფასებლად (გასაზომად) შედეგობრივი მაჩვნებლის ზრდაზე, მხოლოდ  $Y=(a-b).c$  ტიპის კომბინირებულ და მულტიპლიკაციურ მოდელებში. იგი ჯაჭვურ შეცვლებთან შედარებით გაცილებით

მარტივია, რაც განსაზღვრულ პირობებში ხდის მას ძალიან ეფექტურს. ის უპირველესად ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც საწყისი მონაცემები შეიცავს ფაქტორული მაჩვენებლების უკვე ადრე განსაზღვრულ შედარებით (შეფარდებით) გადახრებს გამოხატულს პროცენტებში, ან კოეფიციენტებში.

განვიხილოთ ამ მეთოდით ფაქტორების მოქმედების გამოვლის მეთოდი  $Y = A \cdot B \cdot C$  ტიპის მულტიპლიკაციური მოდელებისთვის. დასაწყისისთვის უნდა გამოითვალოს ფაქტორული მაჩვენებლების შედარებითი გადახრები:

$$\Delta A \% = \frac{A_g - A_\delta}{A_\delta} \times 100\%; \quad \Delta B \% = \frac{B_g - B_\delta}{B_{g\delta}} \times 100\%;$$

$$\Delta C \% = \frac{C_g - C_\delta}{C_\delta} \times 100\%$$

მაშინ, შედეგობრივი მაჩვენებლის გადახრა, რომელიც გამოწვეულია თითოეული ფაქტორით, განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\Delta Y_a = \frac{Y_\delta \Delta A \%}{100}; \quad \frac{(Y_\delta + \Delta Y_a) \times \Delta B \%}{\Delta Y_a - \frac{(Y_\delta + \Delta Y_a + \Delta Y_b) \times \Delta C \%}{100}}; \quad ;$$

ამ წესის თანახმად, პირველი ფაქტორის გავლენის გამოსაანგარიშებლად, აუცილებელია, რომ რეზულტატური (შედეგობრივი) მაჩვენებლის ბაზისური (გეგმიური) სიდიდე გავამრავლოთ პროცენტებში გამოსახული ფაქტორის შეფარდებით (შედარებით) ნაზრდზე და მიღებული შედეგი გავყო 100-ზე.

მეორე ფაქტორის გავლენის გამოსათვლელად საჭიროა, რომ რეზულტატური მაჩვენებლის გგმიურ სიდიდეს დაემატოს პირველი ფაქტორით გამოწვეული მისი ცვლილება, შემდეგ მიღებული ჯამი უნდა გამრავლდეს პროცენტებში გამოხატულ მეორე ფაქტორის ფარდობით ნაზრდზე და გაიყოს 100-ზე.

მესამე ფაქტორის გავლენა განისაზღვრება ანალოგიურად: რეზულტატური მაჩვენებლის გეგმიურ სიდიდეს უნდა დაემატოს პირველი და მეორე ფაქტორებით გამოწვეული მისი ნაზრდი და

მიღებული ჯამი უნდა გამრავლდეს მესამე ფაქტორის ფარდობით ნაზრდზე და ა.შ.

### 4.3. აბსოლუტური სხვაობის წესი

აბსოლუტური სხვაობების წესი წარმოადგენს ელიმინირების ერთ-ერთ მოდიფიკაციას. ისევე, როგორც ჯაჭვური ჩასმის (შეცვლის) წესს დროს, დეტერმინირებულ ანალიზში იგი გამოიყენება რეზულტატური მაჩვენებლის ნაზრდზე ფაქტორების მოქმედების გამოსათვლელად, მაგრამ მხოლოდ  $y = (a - b)c$  და  $y = a(b - c)$  ტიპის მუდტიპლიკაციურ და შერეულ მოდელებში. მართალია მისი გამოყენება შეზღუდულია, მაგრამ თავისი სიმარტივის გამო იგი ფართოდ გამოიყენება. ეს წესი მეტად ეფექტურად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საწყისი მონაცემები ფაქტორული მაჩვენებლების თანახმად უკვე შეიცავს აბსოლუტურ გადახრებს.

მისი გამოყენების დროს ფაქტორების გავლენის სიდიდე გამოითვლება გამოსაკვლევი ფაქტორის აბსოლუტური ნაზრდის გამრავლებით მის მარჯვნივ განლაგებული ფაქტორების ბაზურ (გეგმიურ) სიდიდეზე და ფაქტორების ფაქტიურ სიდიდეზე, რომლებიც მოდელში განლაგებულია მისგან მარცხნივ.

განვიხილოთ გამოსათვლელი ალგორითმი  $y = a \cdot b \cdot c \cdot d$  ტიპის მუდტიპლიკაციური ფაქტორული მოდელისათვის. მოცემულია, გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებლები თვითეული ფაქტორული მაჩვენებლის მიხედვით, ასევე, მათი აბსოლუტური გადახრები:

$$\Delta a = A_\delta - A_\emptyset; \quad \Delta b = B_\delta - B_\emptyset;$$

$$\Delta c = C_\delta - C_\emptyset; \quad \Delta d = D_\delta - D_\emptyset.$$

განვხაზდგროვთ რეზულტატური მაჩვენებლის სიდიდის ცვლილება თითოეული ფაქტორის გამოყენებით:

$$\Delta Y_a = \Delta a \cdot B_\emptyset \cdot C_\emptyset \cdot D_\emptyset;$$

$$\Delta Y_b = A_\emptyset \cdot \Delta b \cdot C_\emptyset \cdot D_\emptyset;$$

$$\Delta Y_c = A_\emptyset \cdot B_\emptyset \cdot \Delta c \cdot D_\emptyset;$$

$$\Delta Y_d = A_\emptyset \cdot B_\emptyset \cdot C_\emptyset \cdot \Delta d;$$

როგორც მოყვანილი სქემიდან ჩანს, გამოთვლა აგებულია ფაქტორული მაჩვენებლების გეგმიური მნიშვნელობების მათი

გადახრებით თანმიმდევრულ შეცვლაზე, ხოლო შემდეგ ამ მაჩვენებლების ფაქტიური დონით.

$$\Delta Y_{\text{საერთო}} = \Delta Y_a + \Delta Y_b + \Delta Y_c + \Delta Y_d.$$

#### 4. ინტეგრალური წესი

ელიმინირებას, როგორც დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზის წესს, აქვს მნიშვნელოვანი ნაკლი. მისი გამოყენების დროს თვლიან, რომ ფაქტორები იცვლება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. სინამდვილეში კი ისინი იცვლებიან ერთობლივად, ურთიერთგავშირში და იმ ურთიერთქმედებით მიიღება რეზულტატური მაჩვენებლის დამატებითი ნაზრდი, რომელიც ელიმინირების წესის გამოყენების დროს უერთდება ერთ-ერთ ფაქტორს, როგორც წესი, ბოლოს. ამის გამო, ფაქტორების გავლენის სიდიდე რეზულტატიური მაჩვენებლის ცვლილებაზე, იცვლება იმ ადგილის მიხედვით, რომელზეც დგას ესა თუ ის ფაქტორი დეტერმინირებულ მოდელში.

ამ ნაკლისგან თავის ასარიდებლად, დეტერმინირებულ ფაქტორულ ანალიზში გამოიყენება ინტეგრალური მეთოდი, რომელიც შედარებით ზუსტია ფაქტორების გავლენის შესაფასებლად (გასაზომად)  $Y = A / (\Sigma X_i)$  ტიპის მულტიპლიკაციურ, ჯერად და შერეულ მოდელებში. შერეული მოდელი წარმოადგენს ჯერადი და ადგიტიური მოდელების გაერთიანებას. ამ წესის გამოყენება ფაქტორების გავლენის გამოთვლის დროს, იძლევა უფრო ზუსტი შედეგების მიღების საშუალებას, ვიდრე ამას ადგილი აქვს ჯაჭვური შენაცვლების (ჩასმის), აბსოლუტური და ფარდობითი (შედარებითი) სხვაობების წესის გამოყენების დროს, ასევე, ფაქტორების გავლენის არაერთგაროვანი შეფასებისაგან თავის არიდების საშუალებას, იმიტომ, რომ მოცემულ შემთხვევაში შედეგები არაა დამოკიდებული ფაქტორების ადგილზე მოდელში, ხოლო რეზულტატური მაჩვენებლის დამატებითი ნაზრდი, რომელიც წარმოიქმნა ფაქტორების ურთიერთქმედებით, განლაგებულია მათ შორის რეზულტატიურ მაჩვენებელზე მათი იზოლირებული ზემოქმედების პროპორციულად.

ინტეგრალური მეთოდის დროს სარგებლობენ განსაზღვრული ფორმულებით. მოვიყვანოთ მათგან ძირითადები სხვადასხვა მოდელებისთვის:

1.  $Y = A \cdot B;$

$$\Delta Y_a = 1/2 \cdot \Delta A \cdot (B_0 + B_1); \quad \Delta Y_b = 1/2 \cdot \Delta A \cdot (A_0 + A_1);$$

2.  $Y = A \cdot B \cdot C;$

$$\Delta Y_a = 1/2 \cdot \Delta A \cdot (B_0 \cdot C_1 + B_1 \cdot C_0) + 1/3 \cdot \Delta A \cdot \Delta B \cdot \Delta C;$$

$$\Delta Y_b = 1/2 \cdot \Delta B \cdot (A_0 \cdot C_1 + A_1 \cdot C_0) + 1/3 \cdot \Delta A \cdot \Delta B \cdot \Delta C;$$

$$\Delta Y_c = 1/2 \cdot \Delta C \cdot (A_0 \cdot B_1 + A_1 \cdot B_0) + 1/3 \cdot \Delta A \cdot \Delta B \cdot \Delta C;$$

3.  $Y = \frac{A}{B};$

$$\Delta Y_a = \frac{\Delta A}{\Delta B} \ln \left| \frac{B_1}{B_0} \right|; \quad \Delta Y_b = \Delta Y_{\text{бюджет}} - \Delta Y_a$$

4.  $Y = \frac{A}{B}$

5.  $Y = \frac{A}{B + C}; \quad \Delta Y_a = \frac{\Delta Y}{\Delta B + \Delta C} \ln \left| \frac{B_1 + C_1}{B_0 + C_0} \right|;$

$$\Delta Y_a = \frac{\Delta Y_s - \Delta Y_a}{\Delta B + \Delta C} \times B \quad ; \quad \Delta Y_b = \frac{\Delta Y_s - \Delta Y_a}{\Delta B + \Delta C} \times \Delta C$$

## **საკონტროლო კითხვები:**

1. რას გულისხმობს „ელიმინირების“ ცნება?
2. რა მიზნით შეაქვთ რეზულტატული მაჩვენებლის პირობითი სიდიდეები ჯაჭვური ჩასმის წესში?
3. ჩამოაყალიბეთ მოქმედებების თანმიმდევრულობა ფარდობითი სხვაობის წესში.
4. რაში მდგომარეობს ელიმინირების, როგორც დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზის წესის, ნაკლოვანება?

## 5. საწარმოს შრომითი რესურსების ანალიზი

### 5.1. ანალიზის ამოცანები და ინფორმაციის წყაროები

შრომით რესურსს შეადგენს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც აქვს სათანადო ფიზიკური მონაცემები, ცოდნა და შრომითი ჩვევები სათანადო დარგში. საწარმოს შრომითი რესურსებით უზრუნველყოფაზე და მათი გამოყენების ეფექტურობაზეა დამოკიდებული ყველა სამუშაოს დროული შესრულება, მისი მოცულობა, მოწყობილობის, მანქანების, მექანიზმების ეფექტური გამოყენება და როგორც შედეგი – წარმოებული პროდუქციის მოცულობა, მისი ოვითლირებულება, მოგება და რიგი სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები.

ანალიზის ძირითადი ამოცანებია:

– საწარმოს და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების, მთლიანობაში, ასევე, კატეგორიების და პროფესიების მიხედვით უზრუნველყოფა შრომითი რესურსებით;

– კადრების დენადობის მაჩვენებლების განსაზღვრა და შესწავლა;

– სამუშაო დროის ფონდის ანალიზი;

– სამუშაო რესურსების გამოყენების ეფექტურობის ანალიზი;

– სახელფასო ფონდის ანალიზი;

შრომითი რესურსების რეზერვების გამოვლენა მათი უფრო სრულად და ეფექტურად გამოყენების მიზანით.

ანალიზის ინფორმაციის წყაროები: საწარმოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმა, შრომის შესახებ სტატისტიკური ანგარიშებია, „ანგარიშება შრომის შესახებ“, ანგარიშება „სამუშაო ძალისა და სამუშაო ადგილების მოძრაობის შესახებ“, „მართვის აპარატში თანამშრომელთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ ანგარიშება“, „სატაბელო აღრიცხვისა და კადრების განყოფილების მონაცემები.“

### 5.2. საწარმოს შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის ანალიზი

საწარმოს შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის განვითარება კატეგორიებისა და პროფესიების მიხედვით

მუშაკთა ფაქტიური რაოდენობის შედარებით გვემის მოთხოვნასთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შედარებით მნიშვნელოვანი პროექსიების კადრებით საწარმოს უზრუნველყოფის ანალიზს. ასევე, აუცილებელია შრომითი რესურსების ხარისხობრივი შემადგენლობის ანალიზი კვალიფიკაციების მიხედვით.

მუშაკთა კვალიფიკაციის დონე დიდადაა დამოკიდებული მათ ასაქზე, მუშაობის სტაჟზე, განათლებაზე და ა.შ. ამიტომ, ანალიზის დროს შეისწავლიან ცვლილებებს მუშაკთა ასაკის, მუშაობის სტაჟის და განათლების შესახებ.

ანალიზს ექვემდებარება მომუშავე მუშაკთა მონაცემები კატეგორიების მიხედვით:

მთელი პერსონალის.

მათ შორის:

1. სამრეწველო – საწარმოო პერსონალი (სსპ), მათგან;

1.1. მუშები (ძირითადი და დამხმარე);

1.2. ინფინერ-ტექნიკური პერსონალი (იტპ);

1.3. მოსამსახურები – მთლიანად.

მათ შორის:

1.3.1. ხელმძღვანელები;

1.3.2. სპეციალისტები;

1.3. უმცროსი მომსახურე პერსონალი და სხვა მუშაკები (დაცვა, ვახტიორები და სხვა);

2.არასამრეწველო პერსონალი.

**მუშების** კატეგორიას მიეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც უშუალოდ დასახმებული არიან მატერიალური ფასეულობების შექმნის სფეროში ძირითად საწარმოო რგოლებში (ძირითადი მუშები), ასევე ისინი, რომლებიც დაკავებული არიან დამხმარე და მომსახურე წარმოებაში, სარემონტო სამუშაოებით, ტექირთების გადატანით, მგზავრების გადაეფანით (დამხმარე მუშები).

**ხელმძღვანელ** მუშაკებს მიეკუთვნებიან ის პირები, რომლებსაც უკავიათ საწარმოების და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელის თანამდებობები. მათ მიეკუთვნებიან დირექტორები, ხელმძღვანელები, მმართველები. მოადგილები, თავმჯდომარეები, შეთაურები, კომისრები, ოსტატები, სპეციალისტები, ინსპექტორები.

**სპეციალისტებს** მიეკუთვნებიან საინჟინრო-ტექნიკური, გკომობიკური და სხვა საქმიანობებით დაკავებული მუშაკები: აგრონომები, ადმინისტრატორები, ბუღალტრები, გეოლოგები, დისპეციერები და ა.შ.

**მოსამსახურეთა** კატეგორიას მიეკუთვნებიან ის მუშაკები, რომლებიც ახორციელებენ დოკუმენტაციის მომზადებას და გაფორმებას, აღრიცხვას და კონტროლს, სამეურნეო მომსახურებას.

სამუშაო ძალის მოძრაობის დასახასიათებლად გამოითვლიან და აანალიზებენ შემდეგი მაჩვენებლების დონამიკას:

– **მუშათა მიღების ბრუნვის კოეფიციენტი** (K<sub>მო</sub>) განისაზღვრება საანგარიშო პერიოდში სამსახურში მთლიანად მიღებულ მუშაკთა საერთო რაოდენობის შეფარდებით, ამ პერიოდში მუშაკთა საშუალო სიის მიხედვით აღრიცხულ რაოდენობასთან;

– **კაღლების გადინების კოეფიციენტი** (K<sub>ად</sub>) განისაზღვრება, როგორც სამსახურიდან საკუთარი სურვილით, დისციპლინის დარღვევისა და გაცდენების (გარდა არმიაში გაწვეულებისა და პენსიაზე გასულებისა) გამო განთავისუფლებულ მუშაკთა რაოდენობის შეფარდება (მოცემული პერიოდისთვის) მუშაკთა სიის საშუალო რაოდენობასთან;

– **საწარმოს პერსონალის უცვლელობის კოეფიციენტი** (K<sub>უცლ</sub>) გამოითვლება, როგორც სიის შემადგენლობაში შემავალ მუშაკთა რაოდენობის შეფარდება მუშაკთა სიის საშუალო რაოდენობასთან მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში.

თუ საწარმო აფაროვებს თავის საქმიანობას, ადიდებს საწარმო სიმძლავრეებს, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, მაშინ აუცილებლად უნდა განისაზღვროს დამატებითი მოთხოვნები სამუშაო რესურსებზე კატეგორიებისა და პროფესიების მიხედვით და მათი მოზიდვის წყაროები.

დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის ხარჯზე პროდუქციის გამოშვების გაზრდის რეზერვი განისაზღვრება მათი ნაზრდის გამრავლებით ერთი მუშაკის ფაქტიურ საშუალო წლიურ გამომუშავებაზე:

$$R \uparrow PG = R \uparrow M \cdot Z \cdot B_{\varnothing}$$

სადაც  $R \uparrow PG$  – პროდუქციის გამოშვების ზრდის რეზერვი;

$R \uparrow M \cdot Z$  – სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდის რეზერვი;

$B_{\varnothing}$  – მუშის ფაქტიური საშუალო წლიური გამომუშავება.

### 53. სამუშაო დროის ფონდის ანალიზი

შრომითი რესურსების გამოყენების სისრულე, შეიძლება შეფასდეს საანალიზო პერიოდში ერთი მუშაკის მიერ ნამუშევარი დღეების და საათების რაოდენობით, ასევე, სამუშაო დროის ფონდის გამოყენების ხარისხის მიხედვით.

**სამუშაო დროის ფონდი** (სდფ) დამოკიდებულია მუშათა რაოდენობაზე (M<sub>რ</sub>), ერთი მუშის (მომუშავის) მიერ საშუალოდ წელიწადში ნამუშევარი დღეების რაოდენობაზე (D<sub>რ</sub>) და სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლიობაზე (D<sub>ხ</sub>):

$$F_{\text{დფ}} = M_{\text{რ}} \cdot D_{\text{რ}} \cdot D_{\text{ხ}}$$

თუ ფაქტიურად ერთმა მომუშავემ (მუშაქმა) იმუშავა იმაზე ნაკლები დღეები და საათები, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, მაშინ შეიძლება განისაზღვროს სამუშაო დროის ზეგეგმური დანაკარგები – მთლიანი დღის (D<sub>დ</sub>) და ცვლისშიდა (D<sub>ც</sub>):

$$D_{\text{დ}} = (D_{\text{გ}} - D_{\text{გ}}) \cdot M_{\text{დფ}} \cdot D_{\text{ხ}};$$

$$D_{\text{ც}} = (D_{\text{ცვლის}} \text{ ფაქტიური} - \Pi_{\text{ცვლის}} \text{ გეგმიური}) \cdot D_{\text{გ}} \cdot M_{\text{დფ}};$$

სადაც “ფ” – მიუთითებს ფაქტიურ მაჩვენებლებზე; გ – გეგმიურ მაჩვენებლებზე.

საწარმოში ხდება სამუშაო დროის ბალანსის შედგენა (ცხრილი 1):

სამუშაო დროის ბალანსის საფუძველზე ხდება დროის კალენდარული ფონდის სტრუქტურის ანალიზი, გამოიყოფა ნამუშევარი დროის და დროის დანაკარგების წილები. ნამუშევარი დროიდან გამოჰყოფენ სასარგებლო დროის ფონდის წილს. დროის კალენდარული ფონდის გამოყენება მოყვანილია მხოლოდ იმ მუშაქების შესახებ, რომლებიც ძირითადი საქმიანობის ადგილზე აღრიცხული არიან სიის საშუალო მაჩვენებელში (დროის გამოყენების შესახებ მონაცემები აღებულია ტაბელური აღრიცხვიდან, გამოუცხადებლობის მიზეზები დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით). შრომის კანონმდებლობის ონაბეჭდ სამუშაო დროის ხანგძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 41-საათს თვეში.

ცხრილი 1.

**სამუშაო დროის გამოყენების ბალანსის მაჩვენებლები**

სამუშაო დროის ბალანსის შემადგენლობა	დღეები, საათები
სამუშაო დროის გამოყენების კალენდარული ფონდი	365 დღე
არასამუშაო დღეების რაოდენობა, მათ შორის:	60 დღე
დღესასწაულების გამოსასვლელების	8 დღე
კალენდარული სამუშაო დღეების რაოდენობა	305 დღე
სამსახურში გამოუცხადებლობა მათ შორის:	30 დღე
მორიგი შეებულებები სასწავლო შეებულებები ავადმყოფობები სხვა დანარჩენი, კანონით დაშეებული გაცდენები ადმინისტრაციის ნებართვით	24 დღე 2 დღე 2 დღე 2 დღე
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	275 დღე—2200 სთ.
სამუშაო დღის ხანგრძლიობის შემცირებით გამოწვეული დროის დანაკარგები	52 სთ.
ცვლაში მომხდარი მოცდენების გამო	60 სთ.
დროის სასარგებლო ფონდი	2088 სთ. <sup>1</sup>

სამუშაო დროის ზეგავმიური დანაკარგების განსაზღვრის შემდეგ, აუცილებელია მათი წარმომშობი მიზეზების შესწავლა. ისინი შესაძლოა გამოწვეული იქნას გეგმით გაუთვალისწინებელი სხვადასხვა თბიექტური და სუბიექტური გარემოებებით: ადმინისტრაციის ნებართვით გაცემული დამატებითი შეებულებები, გაცდენები, სამუშაოს, ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის, სათბობის და ა.შ. უქონლობით გამოწვეული მოცდენები. ნებისმიერი სახის დანაკარგების განხილვა ხდება დაწვრილებით. განსაკუთრებით მაშინ, როცა დანაკარგები გამოწვეულია საწარმოს მიზეზით. შრომით კოლექტივზე დამოკიდებული სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება

<sup>1</sup> გამოთვლები მიახლოებითაა.

წარმოადგენს პროდუქციის წარმოების გაზრდის რეზერვს, რომელიც არ მოითხოვს დამატებით კაპიტალდაბანდების და იძლევა სწრაფ შედეგს.

სამუშაო დროის დანაკარგების შესწავლის შემდეგ, ასევე, ტექნოლოგიური პროცესებიდან გადახრასთან დაკავშირებით აუცილებელია განისაზღვროს არამწარმოებლური შრომის დანაკარგები, რომლებიც წარმოადგენს წუნდებული პროდუქციის დამზადებაზე და წუნის გამოსწორებაზე დახარჯული სამუშაო დროის დანაკარგების ჯამს.


აუცილებელია იმის ცოდნა, რომ სამუშაო დროს დანაკარგები, ყოველთვის არ იწვევენ პროდუქციის წარმოების მოცულობის შემცირებას, რადგან მათი კომპენსაცია (დროის დანაკარგების) შესაძლებელია განხორციელდეს მომუშავეთა შრომის ნაყოფიერების (ინტენსივობის) გაზრდის შედეგად. ამიტომ, შრომითი რესურსების გამოყენების ანალიზის დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლების შესწავლას.

#### 5.4. შრომის ნაყოფიერების ანალიზი

შრომის ნაყოფიერების დონის შესაფასებლად გამოიყენება განზოგადოებული, კერძო და დამხმარე მაჩვენებლების სისტემა.

განმაზოგადოებულ მაჩვენებლებს მიეცათვნება ერთი მუშის (მუშაკის) მიერ პროდუქციის საშუალო წლიური, საშუალოდღიური და საშუალოსათობრივი გამომუშავება, ასევე ღირებულებაში გამოხატული პროდუქციის საშუალოწლიური გამომუშავება ერთ მუშაკზე (მომუშავეზე). კერძო მაჩვენებლები—ესაა, განსაზღვრული (გარკვეული) სახის ერთეული პროდუქციის წარმოებაზე (დამზადებაზე) დახარჯული დრო, ან განსაზღვრული სახის პროდუქციის გამოშვება ნატურალური სახით ერთ კაც-დღეში ან კაც-საათში. დამხმარე მაჩვენებლები— ესაა, განსაზღვრული სახის სამუშაოს ერთეულის შესრულებაზე დახარჯული დრო, ან დროის ერთეულში შესრულებული სამუშაოების მოცულობა.

შრომის ნაყოფიერების შედარებით უფრო განმაზოგადებულ მაჩვენებელს წარმოადგენს ერთი მუშაკის



ნახ. 4. იმ ფაქტორების ურთიერთკავშირის სქემა, რომელიც განსაზღვრავს საწარმოს მუშაქების მიერ პროდუქციის საშუალო წლიურ გამომუშავებას

**მიერ პროდუქციის საშუალოწლიური გამომუშავება (Bსაშ.წლიური).** მისი სიდიდე დამოკიდებულია არამარტო მუშების (მუშაკების) გამომუშავებაზე (დამზადებული პროდუქციის რაოდენობაზე), არამედ, ასევე, მათ ხედრით წილზე სამრეწველო–საწარმო პერსონალის საერთო რაოდენობაში, ასევე, მათ მიერ ნამუშევარი

(გამომუშავებული) დღეების რაოდენობაზე და სამუშაო დღის რაოდენობაზე (ნახ. 4). ფაქტორულ მოდელს ექნება შემდეგი სახე:

**Б**ხაშ.წლიური =(M<sub>ყველ.წილი</sub>)<sup>1</sup> დმუშების წლიური · D<sub>ხანგძლივობა</sub> · Вსაშუალო საათობრივი

## 5.5. ხელფასის ფონდის ანალიზი

საწარმოში შრომითი რესურსების გამოყენების და შრომის ნაყოფიერების დონის ანალიზი, აუცილებლად უნდა ჩატარდეს მჭიდრო კავშირში შრომის ნაყოფიერებასთან (ნახ. 5). შრომის ნაყოფიერების ზრდის დროს იქმნება შრომის ანაზღაურების გაზრდის წინაპირობები. ამ დროს შრომის ანაზღაურების სახსრები უნდა იყოს გამოყენებული ისეთნაირად, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, წინ უსწრებდეს მისი ანაზღაურების ზრდის ტემპს. მხოლოდ ამ პირობებში იქმნება გაფართოებული კვლავწარმოების ტემპების ზრდის შესაძლებლობები.

მუშაკების შრომის ანაზღაურების დონის შეფასების მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს მათი საშუალო ხელფასი. საშუალო ხელფასი განისაზღვრება სიის მიხედვით აღრიცხული მუშაკთა შრომის ანაზღაურების ფონდის (შემთავსებლების შრომის ანაზღაურების ფონდის ჩათვლით) და მატერიალური წახალისების ფონდის ჯამისაგან.

ანსხვავებებს საშუალო წლიურ, საშუალო თვიურ, საშუალო დღიურ და უშუალო საათობრივ შრომის ანაზღაურებას (ხელფასს). მოვიყვანოთ მათი გამოთვლის წესი:

— საშუალო წლიური შრომის ანაზღაურება (ხელფასი) (S<sub>წლიური</sub>) განისაზღვრება საშუალო წლიური ხელფასის ფონდის შეფარდებით პერსონალის რაოდენობასთან წლიწადში;


— საშუალო თვიური ხელფასი (შრომის ანაზღაურება) (3Пм) განისაზღვრება, როგორც საშუალო წლიური ხელფასის შეფარდება თვეების რაოდენობაზე;

— საშუალო დღიური ხელფასი (S<sub>თვიური</sub>) განისაზღვრება, წლიური ხელფასის ფონდის შეფარდებით წლის განმავლობაში გამომუშავებული (ნამუშევარი) კაც-დღეების საერთო რაოდენობასთან;

— საშუალო საათობრივი ხელფასი (S<sub>საათობრივი</sub>) განისაზღვრება როგორც ხელფასის წლიური ფონდის

შეფარდება, წლის განმავლობაში გამომუშავებული (ნამუშევარი) კაც-საათების საერთო რაოდენობასთან;

სახელფასო ფონდის გამოყენების ანალიზის დროს, პირველ რიგში, უნდა გამოითვალოს მისი ფაქტიური სიდიდის აბსოლუტური და ფარდობითი გადახრა გეგმიურიდან.



ნახ. 5. სახელფასო ფონდის ცვლილების ფაქტორების ურთიერთებავშირის სქემა

**აბსოლუტური გადახრა (ΔS<sub>აბს.</sub>)** განისაზღვრება ხელფასზე ფაქტიურად დახარჯული სახსრები (S<sub>ფაქტ.</sub>). სახელფასო გეგმიურ

ფონდთან (Sგეგმ.ფონდი) მთელი საწარმოს, საწარმოს ქვედანაყოფებისა და მომუშავეთა კატეგორიების მიხედვით:

$$\Delta S_{აბ.} = S_{ფაქტ} - S_{გეგმ.ფონდი}$$

თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აბსოლუტური გადახრა, თავისთვალი, ვერ ახასიათებს ხელფასის ფონდის გამოყენებას, რადგანაც ეს მაჩვენებელი განისაზღვრება პროდუქციის წარმოების მიხედვით გეგმის შესრულების ხარისხის გათვალისწინების გარეშე.

**ფარდობითი გადახრა** გამოითვლება, როგორც სხვაობა ფაქტიურად დარიცებულ ხელფასის თანხასა და გეგმიურ ფონდს შორის, რომელიც კორექტირებულია პროდუქციის წარმოების მიხედვით გეგმის შესრულების კოეფიციენტით. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ კორექტირდება მხოლოდ ხელფასის ფონდის ცვალებადი ნაწილი, რომელიც იცვლება წარმოებული პროდუქციის მოცულობის პროპორციულად. ესაა, მოსამსახურეთა ხელფასი სანარდო შეფასებებით, მათი და მმართველობითი პერსონალის პრემიები (საწარმოო შედეგების გამო) და შეებულებების თანხები, რაც შეესაბამება ცვალებადი ხელფასის წილს. შრომის ანაზღაურების (ხელფასის) უცვლელი (მუდმივი) ნაწილი, არ იცვლება, წარმოების მოცულობის ზრდის ან ვარდნის დროს (მუშების ხელფასი სატარიფო განაკვეთების მიხედვით, მოსამსახურეთა ხელფასი განაკვეთის მიხედვით, ყველა სახის დამატებითი გადახდები, არასამრეწველო წარმოებების მუშაკების შრომის ანაზღაურება და მათი საშვებულებო თანხები):

$$\Delta S_{ფონდის ფარდ. გადახრა} = S_{ფაქტ} - S_{გეგმიური ფონდი} = \\ = S_{ფაქტ} - (S_{გეგმ. ცვლადი \cdot K_{პრ.გამ.გეგმ.შესრ.} + S_{გეგმ.მუდმივი}),$$

სადაც  $\Delta S_{ფონდის ფარდ. გადახრა} -$  სახელფასო ფონდის ფარდობითი გადახრაა;  $S_{ფაქტ} - ფაქტიური სახელფასო ფონდი;$   $S_{გეგმიური ფონდი} -$  სახელფასო გეგმიური ფონდი, რომელიც კორექტირებულია პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების კოეფიციენტის მიხედვით;  $S_{გეგმ.ცვლადი}$  და  $S_{გეგმ.მუდმივი} - გეგმიური სახელფასო ფონდის ცვალებადი და მუდმივი სიდიდეები;$   $K_{პრ.გამ.გეგმ.შესრ.} -$  პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების კოეფიციენტი.

### **საგონტროლო კითხვები:**

1. რა კატეგორიის სუბიექტები მიეკუთვნებიან მოსამსახურეთა რიცხვს?
2. როგორ განისაზღვრება სამუშაო ძალის ამორიცხვის (სამსახურიდან წასელის) ბრუნვის კოეფიციენტი?
3. როგორი ფაქტორები მოქმედებენ სამუშაო დროის ფონდზე?
4. რითი შეიძლება იყოს გამოწვეული სამუშაო დროის ზეგეგმიური დანაკარგები?
5. დაასახელეთ შრომის ნაყოფიერების განმაზოგადოებელი მაჩვენებლები.
6. ჩამოთვალეთ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პროდუქციის საშუალო-საათობრივ გამომუშავებაზე.
7. მოიყვანეთ საშუალოდღიური ხელფასის (შრომის ანაზღაურების) გამოსაანგარიშებელი ალგორითმი.

## 6.პირითადი საჭარმოო ფონდების შემაღლებლობის, მოძრაობისა და მშემტური გამოყველების პრემიი

### 6.1. ანალიზის ამოცანები და ინფორმაციის წყაროები

**ძირითადი საშუალებები** (ეკონომიკურ ლიტერატურაში და პრაქტიკაში მათ ხშირად უწოდებენ ძირითად საწარმოო ფონდებს (Femo. ფონდი). წარმოადგენენ ნებისმიერი წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. მათი მდგომარეობა და ეფექტური გამოყენება პირდაპირ მოქმედებს საწარმოთა სამცურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებზე.

საწარმოს ძირითადი ფონდებისა (კაპიტალის) და სიმძლავეების უფრო სრული და რაციონალური გამოყენება აუმჯობესებს მის ყველა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს: შრომისნაცოდების და ფონდურებების ზრდას, პროდუქციის გამოშვების გადიდებას, მისი ოკითობრებულების შემცირებას, კაპიტალური დაბანდებების ეკონომიას.

ძირითადი საწარმოო ფონდების მდგომარეობის და ეფექტური გამოყენების ანალიზის ამოცანებია:

– საწარმოს და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების უზრუნველყოფა ძირითადი კაპიტალით (ფონდებით) – მათზე მოთხოვნის ფონდების სიდიდის, შემადგენლობისა და ტექნიკური დონის შესაბამისად;

– მათი ზრდის, განახლების და ამორიცხვის გეგმის შესრულების გამორკვევა;

– ძირითადი საშუალებების, განსაკუთრებით კი მათი აქტიური ნაწილის (მანქანები, დანადგარები) ტექნიკური მდგრადი განვითარების შესწავლა;

– ძირითადი ფონდების (კაპიტალის) და ფაქტორების (რომლებმაც მოახდინეს მათზე მოქმედება) გამოყენების ხარისხის განსაზღვრა;

– მოწყობილობების დროის და სიმძლავრის მიხედვით ეფექტური გამოყენების გამორკვევა;

– ძირითადი ფონდების (კაპიტალის) გამოყენების გავლენის განსაზღვრა საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობასა და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე;

– ფონდების (კაპიტალის) გაცემის ზრდის, პროდუქციის მოცულობის და მოგების გადიდების რეზერვების გამოვლენა ძირითადი ფონდების (კაპიტალის) გამოყენების გაუმჯობესების ხარჯზე.

**ინფორმაციის წყაროები:** ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმა; ტექნიკური განვითარების გეგმა; „საწარმოს ბალანსი“; საწარმოს ბალანსის დანართი“; ძირითადი ფონდების აღრიცხვის საინვენტარიზაციო ბარათები; საწარმოში ჩატარებული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის, ასევე, მათი გამოყენების აღრიცხვის მონაცემები; სპეციალური გამოკლევების მონაცემები და ინფორმაციის სხვა წყაროები.

## **6.2. ძირითადი საწარმოო ფონდების შემადგენლობისა და მოძრაობის ანალიზი**

ეს ანალიზი, როგორც წესი, იწყება ძირითადი ფონდების, მათი დინამიკისა და სტრუქტურის კვლევით. საწარმოს ფონდები (კაპიტალი) იყოფა საწარმოო და არასაწარმოო ფონდებად (კაპიტალად). გარდა ამისა, გამოყოფენ ფონდების (კაპიტალის) აქტიურ (სამუშაო მანქანები და მოწყობილობები) და პასიურ ნაწილებს, აგრეთვე ცალკეულ ქვეჯგუფებს მათი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით (საწყობები, სამუშაო და ძალოვანი მოწყობილობები და ა.შ.). ასეთი დეტალიზაცია აუცილებელია სტრუქტურის ოპტიმიზაციის საფუძველზე იმ რეზერვების გამოსავლენად, რაც ხელს შეუწყობს მათ ეფექტურ გამოყენებას. დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითადი საწარმოო ფონდების (კაპიტალის) მოძრაობის და ტექნიკური მდგრძლებლის შესწავლას (ანალიზს), ამისათვის გამოითვლება შემდეგი მაჩვენებლები:

- **განახლების კოეფიციენტი (K<sub>განახლების</sub>)** განისაზღვრება წლის განმავლობაში შემოსული ძირითადი ფონდების (კაპიტალის) ჯამის გაყოფით წლის ბოლოსთვის არსებულ ძირითად ფონდებთან (კაპიტალთან);
- **ამორიცხვის კოეფიციენტი (K<sub>ამორიცხვის</sub>)** გამოითვლება ამორიცხვის ძირითადი ფონდების შეფარდებით წლის დასაწყისისთვის არსებულ ძირითად ფონდებთან;
- **ნამატის კოეფიციენტი (K<sub>ნამატის</sub>)** წარმოადგენს ნაზრდის (ძირითადი საწარმოო კაპიტალის (ფონდების)) ჯამის შეფარდებას ძირითადი საწარმოო ფონდის (კაპიტალის) ღირებულებასთან წლის დასაწყისისთვის;
- **ცენტოს კოეფიციენტი (K<sub>ცენტოს</sub>)** წარმოადგენს შესაბამისი პერიოდისთვის ძირითადი ფონდების (კაპიტალის) ცვეთის

დირებულების შეფარდებას მის ამავე პერიოდის საწყის დირებულებასთან;

– გარგისიანობის კოეფიციენტი (Kგარგისი) განისაზღვრება ნარჩენი დირებულების შეფარდებით საწყის დირებულებასთან შესაბამისი პერიოდისთვის;

– განახლების ონტენსიობის კოეფიციენტი (Kგანახლების ონტენსი) განისაზღვრება ძირითადი საწარმოო ფონდების (კაპიტალის) (Fძირ. ფონდ. (რომელიც ხელახლა იყო წლის განმავლობაში შემოტანილი) შეფარდებით წლის განმავლობაში ამორიცებული ძირითადი ფონდების დირებულებასთან.

ძირითადი საწარმოო ფონდების (Fძირ.ფონდ.) ხანდაზმულობის და მორალური ცვეთის დასახასიათებლად ხდება მათი საექსპლუატაციო პერიოდების მიხედვით დაყოფა (5 წლამდე; 5-10 წელი; 10-20 წელი; 20 წელზე მეტი). მოწყობილობის საშუალო ასაკი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\bar{X} = \sum_{i=1}^n X_i \cdot a_i$$

სადაც,  $\bar{X}$  – მოწყობილობის საშუალო ასაკი;  $a_i$  –  $i$ -ური თითოეული ინტეგრალური ჯგუფის მოწყობილობის ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში;  $X_i$  –  $i$ -ური ჯგუფის მოწყობილობის ინტეგრალის შუალედი

$$X_i = (X_{\text{უმაღ.}} + X_{\text{უმდ.}}) / 2$$

სადაც,  $X_{\text{უმაღ.}}$  და  $X_{\text{უმდ.}}$  ჯგუფის ინტერვალის შესაბამისად უმაღლეს და უმცირეს მნიშვნელობებს.

მოწყობილობის და სამარჯვების მდგომარეობის დასახასიათებლად მიმართავენ დაჯგუფებას ტექნიკური ვარგისიანობის მიხედვით: ვარგისი მოწყობილობა, მოწყობილობა, რომელიც საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას, გამოუსადეგარი მოწყობილობა, რომლებიც უნდა ჩამოიწეროს და ა.შ.

### 6.3. საწარმოს ძირითადი ფონდებით უზრუნველყოფის ანალიზი

ცალკეული სახის მანქანებით და მექანიზმებით უზრუნველყოფა დგინდება მათი ფაქტიური რაოდენობის შედარებით გეგმიურ მოთხოვნასთან (რაც აუცილებელია პროდუქციის გამოშეების გეგმის შესასრულებლად). ძირითადი საწარმოო ფონდებით საწარმოს უზრუნველყოფის დონის დამახასიათებელ განზოგადოებულ მაჩვენებლებს წარმოადგენს შრომის ფონდებით და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.

შრომის საერთო ფონდშეიარაღების (ფონდაღჭურვის, კაპიტალშეიარაღების) მაჩვენებელი გამოითვლება სამრეწველო-საწარმოო ფონდების (კაპიტალის) საშუალო წლიური ღირებულების შეფარდებით მუშების საშუალო სიით რაოდენობასთან კვლაბური დონე.

შრომის ტექნიკური შეიარაღების (აღჭურვის) დონე განისაზღვრება საწარმოო მოწყობილობების ღირებულების შეფარდებით მუშების საშუალო სიით რაოდენობასთან კვლაბური მრავალრიცხოვან (დიდ) ცვლაში. მისი ზრდის ტემპებს ადარებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებთან. სასურველია, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები წინ უსწრებდეს შრომის ტექნიკური შეიარაღების (აღჭურვის) ზრდის ტემპებს.

#### 6.4. ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობის ანალიზი

ძირითადი საშუალებების (ფონდების, კაპიტალის) ეფექტური გამოყენების განზოგადოებული დახასიათებისთვის იყენებენ ძირითადი საწარმოო ფონდების (F<sub>ძირით.</sub> ფონდ.) ფონდუკუბების (სასაქონლო პროდუქციის ღირებულების შეფარდება ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიურ ღირებულებასთან), ფონდტევადობის (ფონდუკუბების საპირისპირ მაჩვენებელი), რენტაბელობის (მოგების შეფარდება ძირითადი საშუალებების საშუალო წლიურ ღირებულებასთან) მაჩვენებლებს.

ანალიზის პროცესში შეისწავლება ჩამოთვლილი მაჩვენებლების დინამიკა, გეგმის შესრულება მათი დონეების მიხედვით და კეთდება ანალოგიურ საწარმოებს ან დარგებს შორის შედარებები - ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობის უფრო დრმა ანალიზის მიზნით, ფონდუკუბების მაჩვენებელს განსაზღვრავენ ყველა ძირითადი ფონდების,

საწარმოო დანიშნულების ფონდების, მათი აქტიური ნაწილის (მანქანებისა და მოწყობილობების) და ა. შ. მიხედვით.

ფონდუგების (კაპიტალუგებების) მაჩვენებლების გამოთვლის დროს, საწყისი მონაცემები მიჰყავთ შესადარებელ სახეზე. პროდუქციის მოცულობა უნდა შესწორდეს (კორექტირდეს) საბითუმო ფასების და სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, ხოლო ძირითადი საშუალებების ღირებულება – მათი გადაფასების მიხედვით.

ფონდუგების დონის ცვლილებაზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორები, რომლებიც შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი სახით (ნახ. 6).

ძირითადი საწარმოო ფონდების ფონდუგებაზე მოქმედი პირველი დონის ფაქტორებს აღგენს: ფონდების აქტიური ნაწილის ცვლილება მათ საერთო ჯამში; ფონდების აქტიური ნაწილის ფონდუგებების ცვლილება:


$$F_{\text{უგება}} = K_{\text{ხვ. აქტ.}} \cdot F_{\text{უფაბა აქტიური}}$$

**ფონდების აქტიური ნაწილის ფონდუგება** (ტექნოლოგიური მოწყობილობის) უშუალოდ დამოკიდებულია მის სტრუქტურაზე, მუშაობის დროსა და საშუალო საათობრივ გამომუშავებაზე. ანალიზისთვის შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ფაქტორული მოდელი:

$$F_{\text{უფაბა აქტიური}} = \frac{K_{\text{მოწყ.წარ.ცვლ.}} \cdot K_{\text{მოწყ.უმ.დრ.ცვლ.}} \cdot K_{\text{მოწყ.სტრ.ცვლ.}}}{F_{\text{ძირ.საწ.ფონდ.}}}$$

მოწყობილობის ფონდუგების ფაქტორული მოდელის გაფართოება შესაძლებელია, თუ მოწყობილობის ერთეულის მუშაობის დროს (ხანგრძლიობას) წარმოვადგენთ, როგორც გამომუშავებული დღეების რაოდენობის (S), ცვლის კოეფიციენტის (K<sub>S3</sub>) და ცვლის საშუალო ხანგრძლიობის (L<sub>S3</sub>) ნამრავლს.

$$F_{\text{უფა.აქტ.}} = \frac{F_{\text{მოწყ.აქტ.}} \cdot S \cdot K_{S3} \cdot L_{S3} \cdot K_{\text{მოწყ.სტრ.ცვლ.}}}{F_{\text{ძირ.საწ.ფონდ.}}}$$



ნახ. 6. ფონდურაუგების ფაქტორები მოდელის სქემა

## **საკონტროლო კითხვები:**

1. რა მიზნითაა დაქოფილი ძირითადი საწარმოო ფონდები (Fმირ.) აქტიურ და პასიურ ნაწილებად?
2. განსაზღვრეთ Fმირ.-ის განახლების კოეფიციენტი.
3. დაახასიათეთ ფონდშეიარაღების ცნება.
4. ჩამოაყალიბეთ ორი მაჩვენებლის – „ფონდუკუბების“ და „ფონდტევადობის“ ურთიერთკავშირი.
5. ჩამოთვალეთ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფონდების აქტიური ნაწილის ფონდუკუბებაზე (კაპიტალუკუბებაზე).

## **7. საჭარმოს მატერიალური რესურსების გამოყენების პრეცენტი**

### **7.1. ანალიზის ამოცანები და ინფორმაციის წყაროები**

პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების, მისი თვითოდირებულების შემცირების, მოგების და რენტაბელობის ზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საწარმოს სრული და დროული მომარაგება შესაბამისი ასორტიმენტის და ხარისხის ნედლეულითა და მასალებით. საწარმოს მოთხოვნილების ზრდა მატერიალურ რესურსებზე შეიძლება დაკმაყოფილდეს ექსტენსიური (დიდი რაოდენობის მასალების და ენერგიის დამზადებით ან შეძენით), ან ინტენსიური გზით – არსებული მარაგების უფრო ეკონომიური გამოყენებით პროდუქციის წარმოების პროცესში.

მატერიალური რესურსების გამოყენების და რესურსებით უზრუნველყოფის ანალიზის ამოცანებს შეადგენს:

- მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების რეალური გეგმების, მათი შესრულების ხარისხის და პროდუქციის წარმოების მოცულობაზე გავლენის შეფასება, მისი თვითოდირებულება და სხვა მაჩვენებლები;
- მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტურობის შეფასება;

– შიდასაწარმოო რესურსების გამოვლენა, მატერიალური რესურსების ეკონომია და მათი გამოყენების კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება.

მატერიალური რესურსების ანალიზისთვის ინფორმაციის წყაროებია:

- მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმა;
- განაცხადები და ხელშეკრულებები (განაცხადი-ხელშეკრულება) ნედლეულის და მასალების მიწოდებაზე;
- სტატისტიკური ანგარიშების ფორმები მატერიალური რესურსების არსებობასა და გამოყენებაზე და წარმოების ხარჯების შესახებ;
- მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების ოპერატორი მონაცემები;
- საბუღალტრო აღრიცხვის ანალიზის მონაცემები მატერიალური რესურსებით მომარაგების, მათი ხარჯების და ნაშთის შესახებ და ა.შ.

## **7.2.მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის გეგმის შესრულების ანალიზი**

საწარმოს მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის ანალიზის დროს პირველ რიგში ამოწმებენ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის ხარისხს. გეგმის შეაღების შემოწმებას იწყებენ იმ ნომრებისა და ნორმატივების შესწავლით, რომლებიც შეადგენს საწარმოს მატერიალური რესურსებით მომარაგების გამოვლის საფუძველს. შემდეგ მოწმდება მომარაგების გეგმის შესაბამისობა პროდუქციის წარმოების და აუცილებელი მარაგების შექმნის მოთხოვნებთან, მასალების ხარჯების პროგრესული ნორმების გათვალისწინებით.

საწარმოს უწევები მუშაობის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მისი სრული უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რომელიც შეიძლება იყოს შიდა და გარე-გარე წყაროებს მიეკუთვნება მატერიალური რესურსები, რომლებიც შემოდის მომწოდებლებიდან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად. შიდა წყაროებია – ნედლეულის ნარჩენების შემცირება, მეორადი ნედლეულის გამოყენება, მასალების და ნახევარფაბრიკატების საკუთრივ წარმოება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის საშუალებით მასალების გაონომია.

ანალიზის პროცესში აუცილებლად უნდა შემოწმდეს მატერიალურ რესურსებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება და მოწოდების ფაქტიური შესრულება.

ასევე მოწოდება მომწოდებლების მიერ გამოგზავნილი მასალების შესაბამისობა მათ სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებთან და ხელშეკრულების პირობებთან; მათი დარღვევის შემთხვევაში პრეტენზიები უნდა წარედგინოს მომწოდებლებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ მასალების მოწოდებას, რომლებიც გამოვყო საწარმოს სახელმწიფო დაკვეთით, ასევე, კომპერატიულ მოწოდებებს.

დიდი ყურადღება ენიჭება გეგმას მასალების მოწოდების გადების შესახებ (მის რიტმულობას). მოწოდების ვადების დარღვევა იწვევს პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის გეგმის არასრულ შესრულებას. მოწოდების რიტმულობის

შესაფასებლად იყენებენ რიტუალობის და ვარიაციის კოეფიციენტებს.

ასევე, დიდი ყურადღება ეთმობა ნედლეულისა და მასალების სასაწყობო მარაგებს. განასხვავებენ მიმდინარე, სეზონურ და სადაზღვეულ მარაგებს. მიმდინარე მარაგის (Rმიმდ.) სიდიდე დამოკიდებულია მოწოდების ინტერვალზე (Sინტერ. დღეებში) და i (იური) მასალის საშუალო დღე-დამურ დანახარჯზე (Eდღ):

$$R\text{მიმდ.} = S_{\text{ინტერ.}} \times E_{\text{დღ.}}$$

ანალიზის დროს მოწმდება მნიშვნელოვანი სახეების ნედლეულის და მასალების მარაგების აქტიური სიდიდის შესაბამისობა ნორმატიულთან. ამ მიზნით, მასალების ფაქტიური არსებობისა და მათი საშუალო დღე-დამური დანახარჯის შესახებ მონაცემების საფუძველზე, ანგარიშობების დღეების მიხედვით მასალებით ფაქტიურ უზრუნველყოფას და ადარებენ მას ნორმატიულს.


### 7.3. მატერიალური რესურსების გამოყენების ანალიზი

მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტურობის დასახასიათებლად, გამოიყენება განმაზოგადებელი და კერძო მაჩვენებლები.

განმაზოგადებელ მაჩვენებლებს მიეკუთვნებიან: მასალატევადობა, მასალაუკუბება (მასალამოგება, საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობა), წარმოების მოცულობის ზრდის ტემპების და მატერიალური დანახარჯების შესაბამისობის კოეფიციენტი, მატერიალური ხარჯების ხვედრითი წილი (წონა) პროდუქციის ოვითდირებულებაში, მასალების გამოყენების კოეფიციენტი (ნახ. 7).

მასალაუკუბება განისაზღვრება წარმოებული პროდუქციის დირექტულების გაყოფით მატერიალური დანახარჯების ჯამზე (თანხაზე). ეს მაჩვენებელი ახასიათებს მასალების ამოგებას, ე.ი. რამდენი პროდუქცია იწარმოა (დამზადდა) მოხმარებული

მატერიალური რესურსების თითოეული მანქოდან (ნედლეული, მასალები, სათბობი, ენერგია და ა.შ.).



ნახ. 7. საერთო მატერიალტებადობის (მასალატებადობის) განმსაზღვრელი ფაქტორების სქემა

**პროდუქციის მატერიალტევადობა** (მასალატევადობა) გამოითვლება მატერიალური დანახარჯების ჯამის შეფარდებით ნაწარმოები პროდუქციის ღირებულებასთან. ის გვიჩვენებს, თუ რა მატერიალური დანახარჯები უნდა განვახორციელოთ ან ფაქტიურად უკვე დაიხარჯა პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე.

**წარმოების მოცულობის ზრდის ტემპების და მატერიალური დანახარჯების თანაფარდობის კოეფიციენტი** გამოითვლება მთლიანი ან სასაქონლო პროდუქციის ინდექსის შეფარდებით მატერიალური დანახარჯების ინდექსთან. იგი შეფარდებითად ახასიათებს მატერიალუკუბების დინამიკას და ამასთან ერთად გვიჩვენებს მისი ზრდის ფაქტორებს.

<b>პროდუქციის თვითღირებულებაში</b>	<b>მატერიალური დანახარჯების ხვედრითი წონა</b>
გამოითვლება მატერიალური დანახარჯების ჯამის შეფარდებით წარმოებული პროდუქციის მთლიანი თვითღირებულებასთან. ამ მაჩვენებლის დინამიკა ახასიათებს პროდუქციის	მატერიალტევადობის (მასალატევადობის) ცვლილებას.

**მატერიალური დანახარჯების კოეფიციენტი** წარმოადგენს მატერიალური დანახარჯების ფაქტიური ჯამის შეფარდებას გეგმიურთან, რომელიც გადათვლილია (ხელახლა დათვლილი) გამოშვებული პროდუქციის ფაქტიურ მოცულობაზე. იგი აჩვენებს, თუ რამდენად ეკონომიურად იხარჯება მასალები წარმოების პროცესში, ხომ არა აქეს ადგილი მათ გადახარჯვას დადგენილ ნორმასთან შედარებით. თუ კოეფიციენტი მეტია 1-ზე, ეს ნიშნავს, რომ მოხდა მატერიალური რესურსების გადახარჯვა და პირიქით, თუ კოეფიციენტი ნაკლებია 1-ზე, მაშინ მატერიალური რესურსები გამოყენებულია უფრო ეკონომიურად.

<b>მატერიალტევადობის (მასალატევადობის)</b>	<b>კერძო</b>
<b>მაჩვენებლები</b> გამოიყენება მატერიალური რესურსების (ნედლულტევადი, მეტალტევადი, სათბობტევადი, ენერგოტევადი და სხვა) ცალკეული სახეების გამოყენების უფასებურობის დასახასიათებლად, ასევე, ცალკეული ნაკეთობების მატერიალტევადობის დონის დასახასიათებლად (პროდუქციის ერთეულზე დახარჯული მასალების ღირებულების შეფარდება მის საბითუმო ფასზე).	

**ხვედრითი მატერიალტევადობა** შეიძლება გამოითვალოს, როგორც ღირებულებითი, ასევე, ნატურალური ან პირობით-ნატურალური სახით (i -ური სახის პროდუქციის წარმოებაზე

დახარჯული მატერიალური რესურსების რაოდენობის შეფარდება ამ სახის გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასთან).

ანალიზის დროს მასალების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებლების ფაქტიურ დონეს ადარებენ გეგმიურს, შეისწავლიან მათ დინამიკას და ცვლილების მიზეზებს, ასევე, გავლენას პროდუქციის წარმოების მოცულობაზე.

მატერიალტევადობა (მასალატევადობა), ისევე, როგორც მატერიალუკუბებია, დამოკიდებულია მთლიანი პროდუქციის მოცულობასა და მის წარმოებაზე გამოყენებული მატერიალური ხარჯების ჯამზე. თავის მხრივ, მთლიანი (სასაქონლო) პროდუქციის მოცულობა ღირებულების მიხედვით, შეიძლება შეიცვალოს წარმოებული პროდუქციის რაოდენობის, მისი სტრუქტურის და გასაცემი ფასების ხარჯზე. მატერიალური დანახარჯების ჯამი ასევე დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის მოცულობასა, სტრუქტურასა, ერთეული პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული მასალებისა და მათ ღირებულებაზე. ამგარად, საერთო მასალატევადობა დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის სტრუქტურაზე, ერთეული პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული მასალების ნორმაზე, მატერიალური რესურსების ფასებსა და პროდუქციის გასაცემ ფასებზე.

### საგონტროლო კითხები:

1. ჩამოთვალეთ მატერიალური რესურსების გამოყენებისა და უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანები.
2. რას წარმოადგენს მატერიალური რესურსების დაფარვის შიდა წყაროები?
3. ჩამოაყალიბეთ „მატერიალტევადობის“ (მასალატევადობის) მაჩვენებლის ეკონომიკური არსი.
4. შეადგინეთ მატერიალური დანახარჯების კოეფიციენტის გამოსათვლელი ალგორითმი.

## 8. პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება – ესაა, საწარმოს მიერ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული მიმღინარე ხარჯები გამოხატული ფულადი ფორმით. თვითღირებულება წარმოადგენს წარმოების საქმიანობის საბოლოო შედეგის–მოგების ფორმირების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს.

თვითღირებულებაშია გამოხატული საწარმოს ყველა ხარჯები, რაც უკავშირდება პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას. ამ მაჩვენებლით გამოხატავენ მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების ხარისხს, ცალკეული მუშაკებისა და მთლიანობაში ხელმძღვანელობის მუშაობის ხარისხს.

პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის ძირითადი ამოცანებია:

– პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯების შესამცირებელი რეზერვების გამოვლენა;

– თვითღირებულების გეგმის შესრულების ობიექტური შეფასება და მისი ცვლილებები წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, ასევე, მოქმედი კანონმდებლობის, სახელშეკრულებო და ფინანსური დისციპლინის დაცვა;

– ხარჯებზე პასუხისმგებელი ცენტრების უზრუნველყოფა აუცილებელი ანალიზური ინფორმაციით პროდუქციის თვითღირებულების ფორმირების ოპერატორული მართვის მიზნით;

– ცალკეულ ნაკეთობასა და პროდუქციის სახეებზე გეგმიური დანახახარჯების, გეგმიური და ნორმატიული პალკულაციის შემუშავებისთვის ხელის შეწყობა.

ამ ამოცანების ხასიათი ადასტურებს პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას საწარმოს სამეცნიერო საქმიანობაში.

**ინფორმაციის მთავარი წყაროებია:** საანგარიშო მონაცემები; საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები: სინოეზური და ანალიზური ანგარიშები, რომლებიც ასახავენ მატერიალური, შრომის და ფულადი სახსრების დანახარჯებს, სათანადო უწყისები, უზრნალ-ორდერები და აუცილებელ შემთხვევაში პირველადი დოკუმენტები; გეგმიური მონაცემები (სახარჯთაღრიცხვო, ნორმატიული მონაცემები პროდუქციის და

ცალკეული ნაკეთობების (სამუშაოების, მომსახურებების) დამზადებასა და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ).

### **8.1. სასაქონლო პროდუქციის ერთ მანეთზე დანახარჯების ანალიზი**

პროდუქციის თვითღირებულების ყველაზე უფრო განზოგადობებულ მაჩვენებელს, რომელიც გამოხატავს მის პირდაპირ კავშირს მოგებასთან, წარმოადგენს ერთი ლარის (დოლარის ან სხვა ერთეულოვანი გალუბის) სასაქონლო პროდუქციაზე გაწეული ხარჯების დონეს (C<sub>b3</sub>). იგი გამოითვლება დანახარჯების საერთო ჯამის (C<sub>b4</sub> ერთოვერტი) გაყოფით სასაქონლო პროდუქციის მთლიან მოცულობაზე (P<sub>მთლ</sub>).

$$C_{b3} = \frac{C_{საერთო}}{P_{მთლ}} = \frac{\sum P_i \cdot C_i}{\sum P_i \cdot S_i}$$

სადაც,  $P_i$  – ნაკეთობის რაოდენობა ნატურალურ მაჩვენებლებში;  $C_i$  – ერთი ნაკეთობის თვითღირებულება (პროდუქციის ერთეულზე);  $S_i$  – ერთი ნაკეთობის ფასი.

ამ მაჩვენებელზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი, რომლებიც კავშირშია როგორც მრიცხველობა, ისე მნიშვნელობან. ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე გაწეული დონის ცვლაზე უშუალო მოქმედებას ახდენს ოთხი ფაქტორი, რომლებიც პირდაპირ ფუნქციონალურ კავშირში არიან მასთან, ან ამ შედეგიან მაჩვენებელთან პირველი რიგის კავშირში იმყოფებიან. ესენია:

- გამოშვებული პროდუქციის სტუქტურის ცვლილება;
- ცალკეული ნაკეთობების წარმოებაზე გაწეული ხარჯების დონის ცვლილება;
- ფასებისა და ტარიფების შეცვლა მოხმარებულ მატერიალურ რესურსებზე;

- ფასების ცვლილება სასაქონლო პროდუქციაზე.

პირველი ფაქტორი მოქმედებს ხარჯების საერთო ჯამზე პროდუქციის გაუპიროვნებელი ერთეულის საშუალო თვითღირებულების ცვლილების გზით, გამომდინარე კონკრეტული სახის პროდუქციის (ნაკეთობა, მომსახურება და სხვა, რომლებსაც აქვთ თავისი, სხვებისგან განსხვავებული

ინდივიდუალური თვითღირებულება) ხვედრითი წონის გაზრდიდან ან შემცირებიდან.

მეორე ფაქტორი უშეალოდ მოქმედებს 1 ლარი სასაქონლო პროდუქციის საწარმოო ხარჯის ცვლილებაზე (ცალკეული ნაკეთობების, სამუშაოების ან მომსახურებების საწარმოებლად გაწეული ხარჯების დონის ცვლილება). იგი მოიცავს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ყველა ხარჯებს ერთეული პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე და მოცემულია კალკულაციაში გასავლის მუხლის სახით.

დანარჩენი ორი ფაქტორი ასახავს ფასების (და ტარიფების) ცვლილებას მოხმარებულ მატერიალურ რესურსებზე და გამოშვებულ პროდუქციაზე.

## 8.2.პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი

საანგარიშო პერიოდში, წარმოების ხარჯების სტრუქტურის და მისი ცვლილებების ხარჯების ცალკეული ელემენტების მიხედვით შესწავლა, ასევე, ფაქტიურად გამოშვებული პროდუქციის ხარჯების მუხლების ანალიზი, წარმოადგენს თვითღირებულების ანალიზის შემდეგ ეტაპს და ხარჯების შემცირების და მოგების გაზრდის წყაროების მოძიების პროცესს.

წარმოების ხარჯების სტრუქტურის ანალიზი იწყება ხარჯების ცალკეული ელემენტების ხვედრითი წონის (პროცენტებში) და საანგარიშო პერიოდში (წლის, იშვიათად კი კვარტალის პერიოდში) მათი ცვლილების განსაზღვრით ხარჯების საერთო ჯამში.

ეკონომიკის მრავალი დარგისთვის ხარჯების საერთო ელემენტებია: მატერიალური (ნედლეული და ძირითადი მასალები; შესახები: მაკომპლექტებელი ნაკეთობები და ნახევარფასიანი გატებები; საწარმოო ხასიათის სამუშაოები და მომსახურებები; დამსმარე მასალები; შესასყიდი სათბობი და ელექტრო ენერგია); შრომის ანაზღაურების ხარჯები, ძირითადი საქმიანობით დაკავებულ მუშაკთა პრემიების ჩათვლით; ამორტიზაცია; ყველა სხვა ხარჯები, რომელთა ასახვა არ მოხდა წინა ელემენტებში.

ამ ელემენტების მიხედვით ხარჯების სტრუქტურის, ასევე, საანგარიშო პერიოდში მომხდარი ცვლილებების შესწავლა იძლევა ასეთი სტრუქტურის რაციონალურობის შეფასებისა და დასკვნის გაკეთების საშუალებას მისი ცვლილების აუცილებლობისა და შესაძლებლობის შესახებ მასალატევადობის ან შრომატევადობის შემცირების მიმართულებით. შესაბამისი დასკვნის დასასაბუთებლად შეიძლება გამოვიყენოთ განხილული ხარჯების ელემენტების ხევდრითი წონები სასაქონლო პროდუქციის ღირებულებაში, ე.ი. მათი წილი სასაქონლო პროდუქციის ჯამში. ფაქტიური ხარჯების გადახრები (განსხვავებები) ელემენტების მიხედვით (მოცემული აბსოლუტურ თანხებში), გამოხატავს მატერიალური, შრომის და ფინანსური რესურსების გამოყენების მხოლოდ საერთო შედეგებს და არა თვითდირებულების ცვლილებას, რადგანაც ისინი ასევე გამოწვეულია პროდუქციის წარმოების მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებითაც.

ამ ხარჯების შემცირებისთვის რეზერვების მოსაძიებლად ასევე აუცილებელია მათი ფუნქციონალური როლის შესწავლა საწარმოო პროცესში. ამ ნიშნის მიხედვით ისინი უნდა დავაჯიტუოთ წარმოებასთან, მის თრგანიზაციასთან, მომსახურებასთან, მართვასა და გასაღებასთან დაკავშირებულ ხარჯების კალკულაციურ მუხლებთან.

### **8.3. პროდუქციის ცალკეული სახეების (ნაკეთობები, სამუშაოები, მომსახურებები) თვითდირებულების ანალიზი**

მეურნეობის საბაზო ექონომიკის პირობებში მართვის დროს აქტუალური რჩება პროდუქციის თითოეული სახის ერთეულის ფაქტიური თვითდირებულების გაანგარიშება (გამოთვლა) და მისი ანალიზი, მათი რენტაბელობის რეალური შეფასებისა და ხარჯების შესამცირებლად დამატებითი რეზერვების მოძიება.

შედარების ბაზის სახით იღებენ ტექნიკურად დასაბუთებული ნორმატივების, საშუალოგეგმიური ნორმების, ხელშეკრულების და სხვა პირობების მიხედვით შედგენილ კალკულაციებს. ამასთან, გამოთვლები კეთდება ცალ-ცალკე ცვლადი და მუდმივი (უცვლელი) ხარჯებისთვის. მუდმივები (მათი მუხლობრივი კაგშირის (თუნდაც სუსტი) გათვალისწინებით პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციასთან) ემატება

ცვლადებს გარევეული ნიშნების მიხედვით ან მათი განაწილების ბაზებს პროდუქციის სახეების მიხედვით: პირდაპირ მატერიალ ხარჯებს, მუშაკების ხელფასებს, მოწყობილობის მუშაობის მანქანა-საათებს და სხვა.

თვითღირებულების შემცირების რეზერვები  
ითვალისწინებენ გონიომიას:

- **მატერიალური ხარჯების შემცირების შედეგად,** რომელიც უნდა განხორციელდეს ორგანიზაციულ-ტექნიკური დონისძიებების დანერგვის ხარჯზე, იგი განისაზღვრება, როგორც დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ მასალების ხარჯვის ხორმებს შორის სხვაობის ნამრავლი გამოსაშვებად გამზადებული ნაკეთობის დაგეგმილ რაოდენობასა და მასალის დაგეგმილ ფასზე;

- **რეალიზაციის, ლიკვიდაციის, ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ** გადაცემის შედეგად, რომელიც განისაზღვრება, როგორც რეალიზებული ძირითადი საშუალებების საწყისი დორებულების ნამრავლი ამორტიზაციის ხორმაზე;

- **საწარმოო მოწყობილობის უფრო ეფექტური გამოყენების გზით,** რომელიც განისაზღვრება, როგორც საანგარიშო და გეგმით გათვალისწინებულ პერიოდებში ყოველი 1 ათასი ლარის სასაქონლო პროდუქციის ამორტიზაციის ფასების სხვაობის ნამრავლი გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში სასაქონლო პროდუქციის მოცულობაზე.

ხდება გამოვლენილი თვითღირებულების შემამცირებელი რეზერვების დათვლა და განზოგადება.

### საგონგროლო კითხები:

1. ჩამოაყალიბეთ „თვითღირებულების“ ცნების ეკონომიკური არსი.
2. დაასახელეთ პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის ძირითადი ამოცანები.
3. ჩამოაყალიბეთ პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზის მთავარი მიმართულებები.
4. დაასახიათეთ ხარჯების საერთო ელემენტები.
5. ჩამოთვალეთ თვითღირებულების შემცირების რეზერვების ძიების მთავარი მიმართულებები.

**9. გაყიდვების მოცულობის, ფარმოების ხარჯების და  
რჩალიზაციიდან მიღებული მოგების (ზარალის)  
შრთისართგაშირის ანალიზი**

**9.1. წარმოების ხარჯების კლასიფიკაცია**

წარმოების ნებისმიერ პროცესს თან ახლავს სხვადასხვა სახისა და მნიშვნელობის ხარჯები. მოქმედი გეგმის მიხედვით არსებობს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დროს წარმოშობილი ხარჯების აღრიცხვის ორი ვარიანტი. პირველი ითვალისწინებს პროდუქციის თვითდირებულების გამოთვლას ხარჯების პირდაპირ და ირიბ ხარჯებად დაჯგუფების გზით. პირდაპირი ხარჯები უშუალოდ მოქმედებს თვითდირებულებაზე, ხოლო ირიბი ნაწილდება პროდუქციის სახეების მიხედვით საწარმოში არსებული მეთოდიების თანახმად. მეორე ვარიანტი ფართოდ გამოიყენება ექონომიკის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში და გულისხმობს ხარჯების განსხვავებული სახით დაჯგუფებას – ცვალებად (საწარმოო) და მუდმივებად. პირველი იცვლება წარმოების მოცულობის პროპორციულად, მეორენი რჩებიან სტაბილური წარმოების მოცულობის ცვლილებისას.

ცვლადი ხარჯებია:

- პირდაპირი მატერიალური ხარჯები;
  - სათბობი და ენერგია ტექნოლოგიური მიზნებისათვის;
  - საწარმოს პერსონალის ხელფასი შესაბამისი ანარიცხებით;
  - მოწყობილობის შენახვის, ექსპლუატაციის და რიგი სხვა საწარმოო ხარჯები.
- მუდმივ (უცვლელ) ხარჯებს მიუკუთვნება:
- ამორტიზაციის ანარიცხები;
  - ხელფასები, რომლებიც არ მიეკუთვნება უშუალოდ კონკრეტული პროდუქციის ხახების;
  - არენდის გადასახადი;
  - პროცენტები კრედიტებით სარგებლობისთვის და სხვა ხარჯები.

აუცილებელია აღინიშნოს ასეთი კლასიფიკაციის გარკვეული პირობითობა, რადგანაც ხარჯების ესა თუ ის მუხლი, სხვადასხვა პირობებში, შესაძლოა იყოს ან არ იყოს დამოკიდებული რეალიზაციის მოცულობაზე, ხოლო ზოგიერთი სახის ხარჯები შეიძლება ატარებდეს ნახევრადცვალებად (ნახევრადმუდმივ) ხასიათს.

## 9.2.გაყიდვების მოცულობის, წარმოების ხარჯების და რეალიზაციიდან მიღებული მოგების თანაფარდობის ანალიზის არსი და როლი მართვის გადაწყვეტილებების მიღებაში

საწარმოს ხარჯების წარმოების მოცულობაზე დამოკიდებულების პრინციპის მიხედვით კლასიფიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგია - მოგების პროგნოზირების შესაძლებლობა (გამომდინარე ხარჯების სავარაუდო მდგომარეობიდან), ასევე თითოეული კონკრეტული სიტუაციისთვის რეალიზაციის მოცულობის განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს უზარალო (ზარალის გარეშე) საქმიანობას.

რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების სიდიდეს, რომლის დროსაც საწარმოს საშუალება უქნება დაფაროს ყველა ხარჯები მოგების მიღების გარეშე, უწოდებენ წარმოების კრიტიკულ მოცულობას (უზარალობის წერტილს).

გაყიდვების კრიტიკული მოცულობის განსაზღვრისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს გამოსახულება:

$$R = C_{\text{მუდმივი}} + C_{\text{ცვალებადი}} + P_{\text{მოგება}}$$

სადაც,  $R$  – რეალიზაციის მოცულობა ღირებულებით გამოხატული (ამონაგები რეალიზაციიდან);  $C_{\text{მუდმივი}}$  – მუდმივი (უცვლელი) ხარჯები;  $C_{\text{ცვალებადი}}$  – ცვლადი ხარჯები;  $P_{\text{მოგება}}$  – მოგება.

იმის გამო, რომ განსაზღვრის მიხედვით, კრიტიკულად ითვლება ის მოცულობა, რომლის დროსაც ამონაგები უდრის (უტოლდება) მთლიან ხარჯებს (მოგების გარეშე), კრიტიკული მოცულობის განმსაზღვრელი ფორმულა ( $R_{\text{კრიტიკული}}$ ) მიიღებს შემდეგ სახეს:


$$R_{\text{კრიტიკული}} = C_{\text{მუდმივი}} + C_{\text{ცვალებადი}}$$

რადგანაც ცვლადი ხარჯები, მათი განსაზღვრების პრინციპის თანახმად, დამოკიდებულია რეალიზაციის მოცულობაზე, შეგვიძლია ჩავწეროთ, რომ  $C_{\text{მუდმივი}} = a \cdot R$  სადაც  $a$  – არის პროპორციულობის კოეფიციენტი.

მაშინ

$$R_{\text{კრიტიკული}} = \frac{C_{\text{მუდმივი}}}{1-a}$$

აღნიშნული პროცესის სურათი წარმოდგენილია ნახ. 8-ზე მოცემული გრაფიკის სახით.



ნახ. 8. უზარალო (ხარალისგარეშე) წარმოების გრაფიკი

ფინანსური შედეგების პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე დამოკიდებულების გრაფიკს შეიძლება მივცეთ შემდეგი სახის ეკონომიკური ინტერპრეტაცია. იქ, სადაც გადაიკვეთებიან ამონაგების და თვითდირებულების ხაზები (K

წერტილი), მიიღწევა უზარალობის მდგომარეობა, რადგანაც ამ წერტილში საერთო შემოსავალი საკმარისია მუდმივი (უცვლელი) და ცვალებადი (ცვლადი) ხარჯების დაფარვისთვის. ამ წერტილის ქვემოთ რეალიზაციის მოცულობის დროს, საწარმოს არ შეუძლია ყველა ხარჯის დაფარვა, ამიტომ, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგია ზარალი. პირიქით, კრიტიკულზე მეტი რეალიზაციის მოცულობის დროს, ფინანსური შედეგი დადგებითია, ე.ი. საწარმოს საქმიანობა მომგებიანია.

გრაფიკის გამოყენება იძლევა შებრუნებული ამოცანის გადაჭრის საშუალებას: გამომდინარე მოცემული მოგებიდან, განისაზღვრება მის მისაღებად აუცილებელი რეალიზაციის მოცულობა და მისი შესაბამისი შემოსავლების დონე.

### **9.3. წარმოების კრიტიკული მოცულობის ფაქტორული ანალიზი**

კრიტიკული მოცულობის სიდიდეზე მოქმედებენ: პროდუქციის ერთეულზე ცვლადი ხარჯების (დანახარჯების) ცვლილება, მუდმივი (უცვლელი) ხარჯების სიდიდე, ასევე ნაკეთობის გასაყიდი ფასის ცვლილება. ოუ რეალიზაციის მოცულობას წარმოვადგენთ, როგორც  $R \cdot P$ , სადაც  $R$  – რეალიზაციის მაჩვენებელია ნატურალურ მაჩვენებლებში;  $P$  – გასაყიდი ფასია, მაშინ მივიღებთ

$$R \cdot P = \frac{C_{\partial\mathcal{K}\text{და}\mathcal{Q}\sigma}}{1 - C_{\partial\mathcal{K}\text{და}\mathcal{Q}\text{ბად}}}$$

ან

$$R_{\text{კრიტიკული}} = \frac{C_{\partial\mathcal{K}\text{და}\mathcal{Q}\sigma}}{(1-a) \cdot P}$$

მუდმივი ხარჯების სიდიდის ცვლილების გავლენა კრიტიკულ მოცულობაზე შეიძლება განისაზღვროს ფორმულით:

$$\Delta R_{\text{კრ.ძალ}} = \frac{C_{\partial\mathcal{K}\text{და}\mathcal{Q}\sigma}^1}{(1-a) \cdot P} - \frac{C_{\partial\mathcal{K}\text{და}\mathcal{Q}\sigma}^0}{(1-a) \cdot P} = \frac{\Delta C_{\partial\mathcal{K}\text{და}\mathcal{Q}\sigma}}{(1-a) \cdot P}$$

სადაც,  $C_{\partial\mathcal{Q}\partial}^1$ ,  $C_{\partial\mathcal{Q}\partial}^0$  - მუდმივი ხარჯებია, შესაბამისად, სავარაუდო და მიმდინარე ( $\Delta C_{\partial\mathcal{Q}\partial} = C_{\partial\mathcal{Q}\partial}^1 - C_{\partial\mathcal{Q}\partial}^0$ )

როგორც ფორმულიდან ჩანს, უცვლელი (მუდმივი) ხარჯების ჯამის ნებისმიერი გადიდება, იწვევს წარმოების კრიტიკული მოცულობის ზრდას და პირიქით. ანუ, წნდება განსაზღვრული რაოდენობის ნაკეთობების დამატებით გაყიდვის აუცილებლობა, რათა რეალიზაციიდან მიღებულმა ამონაგებმა გადაფაროს ახალი გაზრდილი დანახარჯები.

წარმოების კრიტიკულ მოცულობაზე ცვლადი ხარჯების გავლენა შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

$$\Delta P_{\beta\mathcal{R}C_{\beta\beta}} = \frac{C_{\beta\beta}}{\frac{C_{\beta\beta}^1}{(1-\frac{C_{\beta\beta}^1}{P}) \cdot P}} - \frac{C_{\beta\beta}}{\frac{C_{\beta\beta}^0}{(1-\frac{C_{\beta\beta}^0}{P}) \cdot P}} = C_{\beta\beta} \left( \frac{1}{P-C_{\beta\beta}^1} - \frac{1}{P-C_{\beta\beta}^0} \right),$$

სადაც  $C_{\beta\beta}^1$ ,  $C_{\beta\beta}^0$  წარმოადგენენ სავარაუდო და მიმდინარე ცვალებად ხარჯებს პროდუქციის ერთეულზე;  $a = C_{\beta\beta}/P$  – ცვალებადი ხარჯების შეფარდებაა რეალიზაციის ფასთან.

სიმარტივისთვის განხილული იყო უზარალო ერთპროდუქტიანი (ერთნაწარმიანი) წარმოების მაგალითი, ე.ი. წარმოება, რომელიც უშვებს მხოლოდ ერთი სახის პროდუქციას. თუმცა, როგორც წესი, საწარმოთა უმრავლესობა ამზადებს მრავალნომენკლატურიან ნაწარმს. ამ პირობებში კრიტიკული მოცულობის განსაზღვრა პრინციპულად არ იცვლება და განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$R_{\beta\mathcal{R}} = \sum_{i=1}^n R_i \cdot (P_i - C_{\beta\beta i}) - C_{\partial\mathcal{Q}\partial}$$

სადაც  $R_i$  –  $i$ -ური სახის ნაკეთობების რეალიზაციის რაოდენობაა (ნატურალურ მარცნებლებში),  $i = 1 \dots n$  – გამოშვებული ნაკეთობის ნომენკლატურაა.

სხვადასხვა ფაქტორების, გაყიდვის კრიტიკულ მოცულობაზე მოქმედების ცვლილების განხილვისას, მხედველობაში იყო მიღებული უზარალო საქმიანობის პირობები (მიღწევები). უზარალო წარმოების ანალიზის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს მოგების ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა განხსაზღვროთ, თუ რეალიზაციის როგორი

მოცულობისთვისაა შესაძლებელი საწარმოსთვის აუცილებელი მოგების მიღება. ამ მიზნით გამოიყენება ფორმულები:

$$\Delta W = \Delta W^1 - \Delta W^0 = P^1 \cdot (P - C_{G3}) - C_{G3} - [P^0 \cdot (P - C_{G3}) - C_{\partial G3}] = \Delta P (P - C_{G3});$$

$$\Delta P = \frac{\Delta W}{P - C_{G3}}$$

სადაც,  $\Delta W^1, \Delta W^0$ - მოგების სიდიდე, შესაბამისად, სავარაუდო და ნამდვილი.

### საკონტროლო კითხვები:

- რა მიზნით ხდება ხარჯების გაყოფა ცვალებადებად და მუდმივებად?
- განსაზღვრეთ წარმოების კრიტიკული მოცულობის ცნება.
- როგორ იცვლება ცვალებადი ხარჯები რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების გაზრდის დროს?
- როგორ იცვლება მუდმივი ხარჯების წილი რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებში, რეალიზებულ პროდუქციაზე ფასების გაზრდის დროს და სხვა უცვლელი პირობებში?
- კრიტიკული მოცულობა რეალიზაციით გამოწვეული ზარალის პირობებში მეტია თუ ნაკლები რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებზე?

## ნაწილი II

### 10. ვინანსური შედეგების ანალიზი

#### 10.1. ფინანსური შედეგების მნიშვნელობა და ამოცანები

ორგანიზაციის (საწარმოს) საწარმოო, გასაღების, მომარაგების და ფინანსური საქმიანობის შედეგები დასრულებულ ფულად გამოხატულებას იღებენ ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა სისტემაში. ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელოვანი ფინანსური შედეგები განზოგადებულია წლიურ ბალანსში და კვარტალური ანგარიშების ანგარიშში – მოგებისა და ზარალის შესახებ.

ფინანსური შედეგების მაჩვენებლების სისტემა (გამოყენების ეფექტურობის მიხედვით) მოიცავს აბსოლუტურ (მოგება) და ფარდობით (რენტაბელობა) მაჩვენებლებს.

მოგება წარმოადგენს ორგანიზაციის სამურნეო საქმიანობის საბოლოო ფინანსურ შედეგს. იგი წარმოადგენს წმინდა შემოსავლის რეალიზებულ ნაწილს და შექმნილია ზედმეტი (დამატებითი) შრომით. მოგების მნიშვნელობა, ერთის მხრივ, განპირობებულია იმით, რომ იგი ძირითადად დამოკიდებულია ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხზე, ზრდის მისი მუშაკების ეკონომიკურ დაინტერესებას იმისათვის, რომ ეფექტურად გამოიყენონ რესურსები, რადგან მოგება წარმოადგენს წარმოების და სოციალური განვითარების მთავარ წყაროს, ხოლო მეორეს მხრივ, იგი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების მნიშვნელოვან წესრიც. ამრიგად, მოგების თანხის გაზრდაში დაინტერესებულია როგორც ორგანიზაცია, ისე სახელმწიფო. მოგების ზრდა (ნამატი) შეიძლება არა მხოლოდ საწარმოს კოლექტივის შრომითი წვლილის გაზრდის შედეგად, არამედ, სხვა ფაქტორებითაც. ამიტომ, აუცილებელია მოგების ფორმირების, განაწილების და გამოყენების სისტემატური ანალიზის ჩატარება.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოგების სიდიდის აბსოლუტური მნიშვნელობა (აბსოლუტური მოგება) არასაკმარისად ახასიათებს ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობას, რადგანაც სრული ზომით არ „ფლობს“ შედარების თვისებას. ამიტომ, აუცილებელია რენტაბელობის მაჩვენებლების გამოთვლა, რომლებიც წარმოადგენენ ორგანიზაციის ეფექტური

საქმიანობის ფინანსური შედეგების შეფარდებით (ფარდობით) მახასიათებლებს. ისინი ადგენტები (გვიჩვენებენ) შემოსავლიანობას (მომგებიანობას) სხვადასხვა პოზიციებიდან და მოგების მაჩვენებლებთან ერთობლივად (ერთად) გვაძლევენ ორგანიზაციის საკუთარი საშუალებების (თანხების) ფორმირებისა და მათი გამოყენების სრულ დახასიათებას.

ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზის ძირითადი ამოცანებია:

- ფინანსური შედეგების (მოგების და რენტაბელობის) აბსოლუტური და ფარდობითი (შეფარდებითი) მაჩვენებლების დინამიკის შეფასება;
- პროდუქციის რეალიზაციიდან (სამუშაოები, მომსახურებები) მიღებული მოგების ფაქტორული ანალიზი;
- სხვა რეალიზაციიდან, არასარეალიზაციო საქმიანობიდან მიღებული ფინანსური შედეგების ანალიზი;
- სუფთა მოგების გამოყენების ანალიზი და შეფასება;
- წარმოების მოცულობის, ხარჯებისს და ბრუნვის ოპტიმიზაციის საფუძველზე მოგებისა და რენტაბელობის ზრდის შესაძლო რეზერვების გამოვლენა და შეფასება;
- დონისძიებების შემუშავება გამოვლენილი რეზერვების გამოსაყენებლად.

## 10.2. ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური შედეგების დონეების, დინამიკის და სტრუქტურის ანალიზი

ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზი ითვალისწინებს:

- 1) თითოეული მაჩვენებლის ცვლილებების გამოკვლევას მიმდინარე პერიოდისთვის (პორიზონტალური ანალიზი);
  - 2) შესაბამისი მაჩვენებლების და მათი ცვლილებების სტრუქტურის გამოკვლევას (ვერტიკალური ანალიზი);
  - 3) მაჩვენებლების ცვლილების დინამიკის შესწავლას რიგი საანგარიშო პერიოდისთვის (ტრენდული ანალიზი).
- ანალიზის პროცესში გამოითვლება შემდეგი მაჩვენებლები:
- 1) აბსოლუტური გადახრა:  
$$\Delta P = P_1 - P_0$$

სადაც  $\Delta P$  – მოგების ცვლილება;  $P_1$  – მოგება საანგარიშო პერიოდში;  $P_0$  – საბაზისო პერიოდის მოგება.

2) ზრდის ტემპი:

$$T_p = \frac{P_1}{P_0} \cdot 100\%$$

3) რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებში ნომენკლატურის თითოეული სახეობის დონის განსაზღვრა შესაძლებელია ტოლობით (%):

$$\Delta P_i = \frac{P_i}{P_0} \cdot 100\%$$

მაჩვენებლები გამოითვლება საბაზისო და საანგარიშო პერიოდებში.

4) სტრუქტურის ცვლილება:

$$\Delta L = LP_1 - LP_0$$

სადაც  $LP_1$  – საანგარიშო პერიოდის დონე;  $LP_0$  – საბაზისო პერიოდის დონე.

ანალიზისთვის გამოიყენება მოგების შემდეგი მაჩვენებლები:

1. საბალანსო (მთლიანი) მოგება, რომელშიც შედის:
  - პროდუქციის რეალიზაციის, სამუშაოების შესრულების, მომსახურების გაწვევის შედეგად მიღებული შემოსავლები და ხარჯები;
  - საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობით მიღებული შემოსავლები და ხარჯები;
  - ორგანიზაციის არარეალიზაციური შემოსავლები და ხარჯები.
2. პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება წარმოადგენს მარტინარული მოგების და მუდმივი ხარჯების სიდიდეებს შორის სხვაობას საკვლევი პერიოდისთვის;
3. მარტინალური მოგება წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და გაყიდული პროდუქციის პირდაპირ საწარმოო ხარჯებს შორის;
4. დასაბეგრი მოგება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს სხვაობას საბალანსო მოგებასა და საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი მოგების თანხას (ფასიანი ქაღალდებისა და ერთობლივ საქმიანობაში წილობრივი მონაწილეობის მიხედვით), ასევე, მოგების გადახდაზე არსებული შედავათების თანხას შორის;

5. წმინდა (გაუნაწილებელი) მოგება – მოგების თანხა, რომელიც რჩება ორგანიზაციის განკარგულებაში ყველა გადასახლების, მოსაკრებლების, ეკონომიკური სანქციების გადახდის შემდგებ;
6. კაპიტალიზირებული (რეინვესტირებული) მოგება – წარმოადგენს გაუნაწილებელი (წმინდა) მოგების ნაწილს, რომელიც იდება დაგროვების ფონდში ორგანიზაციის აქტივების ზრდის დასაფინანსებლად;
7. მოხმარებული მოგება – მოგების თანხა, რომელიც მიმართულია ორგანიზაციის დამაარსებლების, პერსონალის დივიდენდების გადასახდელად (დასაფარად) ან სოციალური პროგრამების სარეალიზაციოდ.
- ფინანსური შედეგების დინამიკის შესწავლა მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით საშუალებას იძლევა შევაფასოთ:
- კონკურენტული პოზიციები (მაგ., გაყიდვებით მიღებული მოგების ზრდა, მიუთითებს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობასა და მისი პროდუქციის ზრდაზე);
  - ორგანიზაციების აქტივების მართვის სტრატეგია (მაგ., ერთსა და იმავე დროს გაყიდვებით მიღებული მოგების შემცირება და საოპერაციო შემოსავლების ზრდა, შეიძლება ნიშნავდეს ძირითადი სახის შეკვეცას ოპერაციების ზრდასთან ერთად, რაც დაკავშირებულია ქონების არენდაში გადაცემასთან);
  - სამუშაო-სამართლებრივი მუშაობის „ხარისხი“ ორგანიზაციაში (მაგ., არარეალიზებული შემოსავლების ზრდა მიუთითებს მაღალი დონის საპრეტენზიო მუშაობაზე, ან დებიტორული დავალიანების გადახდევინებაზე, რომელიც აღიარებული იყო უიმუდოდ).

### **10.3. რეალიზაციით მიღებული მოგების ფაქტორული ანალიზი**

პროდუქციის რეალიზაციით მიღებულ მოგებას უდიდესი ხვედრითი წონა აქვს საბალანსო მოგების სტრუქტურაში. იგი წარმოადგენს ორგანიზაციის საქმიანობის საბოლოო შედეგს, როგორც წარმოების, ისე ბრუნვის სფეროში. პროდუქციის რეალიზაციიდან (Pr) მიღებული მოგების ფორმალიზებული შედეგი, შეიძლება ჩავწეროთ ასეთი სახით:

$$P_r = W_r - S - S_k - S_m$$

სადაც  $P_r$  –პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები;  $S$  – თვითღირებულება;  $S_k$  –კომერციული ხარჯები;  $S_m$  –მართვასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგების სიდიდე ფორმირდება შემდგენი ფაქტორების გავლენით: რეალიზაციის მოცულობით და სტრუქტურით, მისი სრული თვითღირებულებით და საბითუმო (სანარდო) ფასებით. რეალიზაციის მოცულობის ცვლილებასა და მიღებული მოგების სიდიდეს შორის არსებობს პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება რენტაბელური პროდუქციის რეალიზაციის დროს და შესპროპორციული (შებრუნებული) დამოკიდებულება ზარალიანი პროდუქციის რეალიზაციის დროს.

I. „ამოგება რეალიზაციიდან“ ფაქტორის გავლენის ანგარიში.

ამ ფაქტორის გავლენის გამოთვლა უნდა დაიყოს ორ ნაწილად, რადგანაც ამონაგები წარმოადგენს რეალიზებული პროდუქციის რაოდენობისა და ფასის ნამრავლს, ამიტომ, ჯერ გამოვითვლით გავლენას გასაყიდი ფასისას მოგებაზე, რა ფასითაც ხდებოდა პროდუქციის ან საქონლის რეალიზაცია, ხოლო შემდეგ გამოვითვლით გავლენას გაყიდული პროდუქციის ფიზიკური ცვლილების მოგებაზე. მაშინ ფასის ინდექსი ( $I_b$ )

$$(I_b) = \frac{100\% \pm \Delta B\%}{100} \%,$$

სადაც  $\Delta B\%$  – ფასის ნაზრი (შემცირება) პროდუქციაზე საანალიზო პერიოდში გამოსხახული %-ში.

შესაბამისად, გაყიდვიდან ამონაგები საანგარიშო პერიოდში შესადარ ფასებში, გამოისახება:

$$B_p^1 = B_{p_1} / I_b,$$

სადაც  $B_p^1$  – ამონაგები გაყიდვებიდან შეტოლებულ ფასებში;  $B_{p_1}$  –საანგარიშო პერიოდში გაყიდული პროდუქციიდან ამონაგები;  $I_b$  –ფასის ინდექსი.

ამონაგებზე ფასების ცვლილების გავლენა, გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta B^b = B_{p_1} - B_p^1$$

გაყიდული პროდუქციის რაოდენობის ცვლილების გავლენა ამონაგებზე გამოითვლება ფორმულით:

$$\Delta B_{\text{რაოდ}} = \Delta B_{r_1} - \Delta B_{r_0}$$

### 1.1. ფაქტორ „ფასის“ გავლენა მოგებაზე.

იმის გასავალად, თუ რა გავლენას ახდენს ფასის ცვლილება გაყიდვით მიღებული მოგების თანხის ცვლილებაზე, ჩავატაროთ შემდეგი სახის გამოთვლა:

$$\Delta P_{\text{ფ}} = (\Delta B_{\text{ფ}} \cdot R_0) / 100$$

### 1.2. „გაყიდული პროდუქციის (საქონლის) რაოდენობის“ ფაქტორის გავლენის ანგარიში.

გაყიდული პროდუქციის რაოდენობის ცვლილების გავლენა გაყიდვიდან მიღებული მოგების თანხაზე შეიძლება გამოვიანგარიშოთ შემდეგნაირად:

$$\Delta P_{\text{რ}} = [(B_1 - B_0) - \Delta B_{\text{ფ}}] \cdot \frac{R_0}{100} = \Delta B_{\text{რ}} \cdot R_0 / 100,$$

სადაც  $\Delta P_{\text{ფ}} -$  გაყიდვიდან მიღებული მოგების თანხის ცვლილებაა, გამოწვეული ფასების შეცვლით.

$\Delta P_{\text{რ}} -$  გაყიდვებით მიღებული მოგების ცვლილება, რომელიც გამოიწვია „გაყიდული პროდუქციის რაოდენობის“ - ფაქტორმა;  $B_1, B_0$  - წარმოადგენს გაყიდვის ამონაგებს საანგარიშო (1) და ბაზისურ (0) პერიოდებში;

$$\cdot R_0^{\delta} - გაყიდვების რენტაბელობა ბაზისურ პერიოდში.$$

2. „გაყიდული პროდუქციის თვითდინებულების“ ფაქტორის გავლენა გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\Delta P_{\text{თვ}} = B_1 \cdot (C_1 - C_0) / 100,$$

სადაც  $C_1$  და  $C_0$  - წარმოადგენს თვითდინებულების დონეებს საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

აქ, ანალიზის დროს, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სარჯები მოგების მიმართ წარმოადგენს შებრუნებული მოქმედების ფაქტორებს.

3. „ერთეულის ხარჯების“ ფაქტორის გავლენის ანალიზი.

გამოთვლებისთვის გამოიყენება წინა ფორმულა:

$$\Delta P_{\text{კომ}} = B_1 \cdot (C_{\text{კომ1}} - C_{\text{კომ0}}) / 100,$$

სადაც  $C_{კომ1}$ -და  $C_{კომ0}$  - წარმოადგენს კომერციულ ხარჯებს საანგარიშო და ბაზისურ პერიოდებში.

4. „მართვის ხარჯების“ ფაქტორის გავლენის გამოთვლა.  
 $\Delta P_{მართ.} = B_1 \cdot (C_{მართ.1} - C_{მართ.0}) / 100,$

სადაც  $C_{მართ.1}$  და  $C_{მართ.0}$ ) – შესაბამისი მმართველობითი (მართვის) ხარჯებია საანგარიშო და ბაზისურ პერიოდებში.

#### 10.4. წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების ანალიზი

წმინდა (სუვთა) მოგება წარმოადგენს სხვაობას (საანგარიშო პერიოდისთვის) გადასახადით დაბეგრილ საბალანსო მოგებასა და გადასახადის სიდიდეს შორის (შეღავალების გათვალისწინებით).

წმინდა მოგება წარმოადგენს ორგანიზაციის ეკონომიკის განვითარების საფუძველს.


მოგების გამოყენების და განაწილების პრინციპები განისაზღვრება ორგანიზაციის მიერ დამოუკიდებლად და აისახება სააღრიცხვო პოლიტიკაში. ამ დროს ორგანიზაცია ხელმძღვანელობს მოგების მასშტაბებით, ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებით და კონკრეტული მიმართულების საქმიანობით, რომლის გათვალისწინების შედეგად, შეიძლება შეიცვალოს მოგების გამოყენების ცალკეული მიმართულებები კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად.

კანონმდებლობისა და დაწესებული დოკუმენტების მიხედვით ორგანიზაცია ანაწილებს და გამოიყენებს წმინდა მოგებას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით (ნახ. 1).

წლის განმავლობაში ორგანიზაცია ხარჯავს წინა წლების მოგებას და მიმართავს მას მიმდინარე საჭიროებებზე დანიშნულების შესაბამისად.

მოგების ნაწილი შესაძლოა დარჩეს განაწილების გარეშე – ჩნდება დამატებითი ფინანსური რეზერვი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს ფონდების შესავსებად და საწესდებო კაპიტალის გასადიდებლად.

## მოგება დაბეგვრის შემდეგ



ნახ. 1. წმინდა მოგების განაწილების სქემა

წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების ანალიზი უნდა ჩატარდეს შემდეგ წესის მიხედვით:

1. უნდა გავაანალიზოთ მოგებიდან თვითეული თანხების ჯამისა და ხედრითი წონის (წილის) ცვლილება გეგმიურთან და ბაზისურ პერიოდთან შედარებით;
2. უნდა მოვახდინოთ ფონდების შექმნის ფაქტორული ანალიზი;

3. უნდა მოვახდინოთ სპეციალური ფონდების მოძრაობის (მსვლელობის) ანალიზი;
4. უნდა შევაფასოთ დაგროვების და მოხმარების ფონდების გამოყენების ეფექტურობა ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურობის მაჩვენებლებთან მიმართებით.

## 10.5. რენტაბელობის ანალიზი

„შედეგიანობის“ ცნებაზე საუბრისას, მოგების ცნების გარდა, განიხილავენ რენტაბელობის საკითხსაც. ამ შემთხვევაში ჩანს, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს ორგანიზაცია თავის საშუალებებს მოგების მისაღებად.

რენტაბელობის მირითადი მაჩვენებლები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

**პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურებების)**  
შემოსავლიანობის მაჩვენებლები. გამოითვლება პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგებისა და წარმოებაზე დახარჯული ხარჯების საფუძველზე:

- გაყიდვების რენტაბელობა ( $R_s$ ) - უჩვენებს, თუ გაყიდვებიდან მიღებული რა სიდიდის მოგება მოდის რეალიზებულ ერთეულ პროდუქციაზე:

$$R_s = \frac{P_r}{W_r} \cdot 100\%$$

- მირითადი საქმიანობის რენტაბელობა  $R_d$  - უჩვენებს, თუ გაყიდვით მიღებული რა მოგება მოდის ხარჯების ერთეულზე:

$$R_d = \frac{P_r}{S_d} \cdot 100\%$$

სადაც  $S_d$  - წარმოადგენს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯებს.

ორგანიზაციის ქონების შემოსავლიანობის მაჩვენებლების ფორმირება ხდება რენტაბელობის დონის ანგარიშის საფუძველზე ქონების სიდიდის (მოცულობის) ცვლილების მიხედვით:

- მთელი კაპიტალის რენტაბელობა ან ეპონომიკური რენტაბელობა ( $R_k$ ) –აჩვენებს ორგანიზაციის მთელი ქონების გამოყენების ეფექტურობას:

$$R_k = \frac{P_w}{A} \cdot 100\%,$$

სადაც  $R_w$  – წმინდა მოგება;  $A$  – ორგანიზაციის ქონების (აქტივობის) საშუალო ღირებულება.

**ძირითადი სახსრების (საშუალებების)** და **სხვა არასაბრუნვავი აქტივების რენტაბელობა  $R_{aq}$**  – ძირითადი სახსრების და სხვა არასაბრუნვავი აქტივების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებელია:

$$R_{aq} = \frac{P_w}{F_{zs} + F_{aa}} \cdot 100\%,$$

სადაც  $F_{zs}$  – საწარმოს ძირითადი სახსრების (საშუალებების) საშუალო ღირებულება;  $F_{aa}$  – სხვა არასაბრუნვავი აქტივების ღირებულება.

**გამოყენებული კაპიტალის შემოსავლიანობის მაჩვენებლები.** გამოიანგარიშება ინვესტირებული კაპიტალის ბაზაზე:

– **საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა  $R_s$**  – აჩვენებს საკუთარი კაპიტალის გამოყენების ეფექტურობას:

$$R_s = \frac{P_w}{K_s} \cdot 100\%,$$

სადაც  $K_s$  – წარმოადგენს საკუთარი კაპიტალის საშუალო ღირებულებას,

– **პერმანენტული კაპიტალის რენტაბელობა  $R_p$**  – უჩვენებს ორგანიზაციის საქმიანობაში ხანგრძლივი დროით ჩადებული კაპიტალის გამოყენების ეფექტურობას:

$$R_p = P_w / (K_s + K_{sk}) \cdot 100\%,$$

სადაც  $K_{sk}$  – ხანგრძლივი სასესხო კაპიტალის საშუალო ღირებულებაა.

მოყვანილი მაჩვენებლები ახასიათებენ ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობას სხვადასხვა მიმართულებით: საქმიანობის შემოსავლიანობას, ხარჯების ანაზღაურებას და ა.შ., და წარმოადგენენ შედარებითი ანალიზის ფინანსური მდგრამარეობის აუცილებელ ელგმენტებს. ყველა მაჩვენებელი შესაძლებელია გამოითვალის საბალანსო მოგების, პროდუქციის

რეალიზაციით მიღებული მოგების და წმინდა მოგების საფუძველზე.

## 10.6. რენტაბელობის ფაქტორული ანალიზი

ვინაიდან რენტაბელობა წარმოადგენს ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირების მახსინათებელ განზოგადოებულ მაჩვენებელს, ამიტომ აუცილებელია მისი გავლენის განსაზღვრა ორგანიზაციის საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეარების დამახასიათებელ ფაქტორთა მაჩვენებელზე.

პრაქტიკულად გამოიკვეთა ანალიზის რამდენიმე მოდელი, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ რენტაბელობის განსხვავებულ მაჩვენებლებზე დაფუძნებული ანალიზი. აღნიშნული მიზნით ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება ფაქტორთა მოდელი, ე.წ. „დიუპონის ფორმულა“. მოდელის დანიშნულებაა:

— ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირების განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიკაცია, მისი გავლენისა და მნიშვნელობის ხარისხის შეფასება და ცვლილების ტენდენციები. მოდელის ასაგებად ეფექტურობის მრავალი მაჩვენებლებიდან შეირჩა ერთი, შედარებით უფრო მნიშვნელოვანი (ანალიზის თვალსაზრისით) მაჩვენებელი — საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა ( $R_s$ ). ამ მაჩვენებლის ფაქტორულ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$R_s = \frac{P}{B_g} \cdot \frac{B_g}{B_r} \cdot \frac{B_r}{F_s}$$

1                  11                  III  
ფაქტორი ფაქტორი ფაქტორი

წარმოდგენილი მოდელიდან ჩანს, რომ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა გაყიდვების რენტაბელობა ( $\frac{P}{B_g}$  პირველი ფაქტორი); რესურსების გაცემა ( $\frac{B_g}{B_r}$  მეორე ფაქტორი); მოცემულ საწარმოში ავანსირებული ფინანსური სახსრების წყაროების სტრუქტურა ( $\frac{B_r}{F_s}$  მესამე ფაქტორი). მიმდინარე მართვის თვალსაზრისით, მითითებული ფაქტორების მნიშვნელობა აიხსნება იმით, რომ ისინი გარკვეული აზრით ამდიდრებენ საწარმოს ფინანსურ-

სამეცნიერო საქმიანობის ყველა მხარეს, მის სტატიკას და დინამიკას. კერძოდ, საბუღალტო ანგარიშს: პირველი ფაქტორი იძლევა მოგებების და ზარალების შესახებ ანგარიშის განზოგადების საშუალებას. მეორე ფაქტორი ახასიათებს ბალანსის აქტივს, მესამე – ბალანსის პასივს.

ანალიზის ჩატარების დროს აუცილებელია შემდეგი თავისებურებების გათვალისწინება:

• ფაქტორული მაჩვენებელი – გაყიდვების რენტაბულობა წარმოადგენს თავისებურ „წუთიერ“ (მყისიერ) მაჩვენებელს, რომელზე დაყრდნობით არ შეიძლება დასკვნის გამოტანა გრძელვადიან პერსპექტივაში. საანგარიშო პერიოდისთვის იგი მთლიანად და სრულად განისაზღვრება საქმიანობის შედეგით. ამიტომ, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მოხდეს იმ გავლენის გათვალისწინება, რომელსაც ახდენს შედეგზე ორგანიზაციის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებები.

• მოდელი ისეთნაირადაა აგებული, რომ მოზიდული სახსრების სიდიდესა და კოეფიციენტის სიდიდეს შორის არსებობს პირდაპირპოპორციული დამოკიდებულება. ამიტომ, პოტენციური ინვესტორისთვის ორიგენტაცია მარტო ამ ბოლო ფაქტორზე მაქსიმალურად ზრდის დასაშვები რისკის დონეს. აუცილებელია მისი გავლენის შეფასება ორგანიზაციის ფინანსური დამოკიდებულების ხარისხის მაჩვენებელზე.

## 10.7. მოგებისა და რენტაბულობის ზრდის რეზერვები

მოგებისა და რენტაბულობის ფაქტორული ანალიზის შედეგები იძლევა მათი ზრდის რეზერვების გამოვლენის საშუალებას.

### მოგების ზრდის რეზერვებია:

1. პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის გაზრდა.

2. სარეალიზაციო ფასის გაზრდა.

3. პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

### წარმოების მოცულობის ზრდის რეზერვებია:

1. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გადიდება ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტების ხარჯზე:

1) პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდება, რომლის სიდიდეზე მოქმედება:

- შრომითი ოქსურსები: მუშავთა საშუალო (სიის მიხედვით) რაოდენობა, საშუალო შრომისნაყოფიერება;
  - მატერიალური ოქსურსები: მოხმარებული მატერიალური რესურსების რაოდენობა, მასალაუკუგებება;
  - შრომის საშუალებები: ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური დირქტულება, ფონდუკუგებება;
- 2) დაუსრულებელი წარმოების ნაშთების და შიდასამეურნეო ბრუნვის შემცირება;
2. არარეალიზებული პროდუქციის ნაშთების შეკვეცა საწყობში მზა პროდუქციის ნაშთების (ნარჩენების) შემცირების სარჯზე.
- თვითღირებულების შემცირების ოქსერვებია:**
1. პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდა ორგანიზაციის საწარმო სიმძლავრის უფრო სრული გამოყენების ხარჯზე;
  2. პროდუქციის გამოშვებაზე დახარჯული მთლიანი ფულადი სახსრების შემცირება ქვემოთ მოყვანილი პუნქტების ხარჯზე:
    - შრომითი ოქსერვების გამოყენების ეფექტურობის გადიდება; დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა; სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება;
    - მატერიალური ოქსურსების გადიდება: ნედლულისა და მასალების ზეგავმიური ნარჩენების შემცირება;
      - ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტურობის გადიდება: ძირითადი ფონდების ახალი ობიექტების შექმნა; მანქანებისა და მოწყობილობების სამუშაო დროის ფონდის გამოყენების გაუმჯობესება.
- ფასის ზრდის ოქსერვებია:**
1. გამოშვებული ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება.
  2. პროდუქციის გასაღების უფრო ეფექტური ბაზრების მოძებნა.
  3. მომხმარებლებისთვის (მყიდველებისთვის) პროდუქციის რეალიზაციის მოცულობებისა და ვადების ოპტიმიზაცია.
- რენტაბელობის ზრდის ოქსერვებია:**
1. პროდუქციის (სამუშაოები, მომსახურებები) რეალიზაციით მიღებული მოგების თანხების გაზრდა.
  2. პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

### **საკონტროლო ქითხვები:**

1. დაახასიათეთ ფირმისთვის ფინანსური შედეგების მნიშვნელობა და ამოცანები;
2. ფინანსური შედეგების მაჩვენებლები როგორ გამოითვლება აბსოლუტურად და ფარდობითად?
3. როგორ განისაზღვრება მოგებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის დონე?
4. რა არის წმინდა მოგება და როგორ გამოიყენება იგი?
5. განსაზღვრეთ რენტაბელობა საქმიანობის სახეების მიხედვით;
6. დაახასიათეთ რენტაბელობის ფაქტორული ანალიზის ხერხები;
7. ჩამოთვალეთ მოგების, წარმოების მოცულობის, ფასის, რენტაბელობის ზრდის და თვითდირებულების შემცირების რეზერვები.

## 11. ორგანიზაციის შონებრივი პოტენციალის ანალიზი

### 11.1. ქონებრივი პოტენციალის ცნება და შინაარსი

პოტენციალი (ლათინურიდან potentia - ძლია, წყაროები, შესაძლებლობები, საშუალებები, მარაგები, რომელთა მოქმედებაში მოყვანა და გამოყენება შეიძლება ნებისმიერ დროს რამე ამოცანის გადასაჭრელად, ან რამე მიზნის მისაღწევად.

**ქონებრივი პოტენციალი** პირველ რიგში ხასიათდება იმ აქტივების სიდიდით, შემადგენლობით და მდგრმარეობით, რომლებსაც ფლობს და განაგებს ორგანიზაცია თავისი მიზნების მისაღწევად. ქონებრივი პოტენციალის ანალიზის დროს განიხილავენ მის არა მხოლოდ საგნობრივ-ქონებრივ ან ფუნქციონალურ მახასიათებლებს, არამედ ფულად ფორმას, რომელიც წარმოდგენილია ორგანიზაციის საბუღალტრო ბალანსის აქტივის სახით.

აქტივების ფუნქციონირების ვადების ხანგრძლივობის მიხედვით ანსევავებენ გრძელვადიან (არასაბრუნავ) და მიმდინარე (საბრუნავ) აქტივებს.

არასაბრუნავი აქტივები – ესაა საწარმოს აქტივები, რომელთა სასარგებლო ექსპლუატაციის ვადა აღემატება 12-თვეს, ან უტოლდება საოპერაციო ციკლს, რომლის ხანგრძლივობა არ არის 12-თვეზე ნაკლები. მათ მიეკუთვნება:

1)არამატერიალური აქტივები – ესენია დაუცველი აქტივები, რომლებსაც არ გააჩნიათ მატერიალურ-საგნობრივი საფუძვლები: სასაქონლო ნიშნების, პატენტების და საავტორო უფლებების დირექტულება, ფირმის საორგანიზაციო ხარჯები, საქმიანი რეცუტაცია;

2) ძირითადი საშუალებები – მიწის ნაკვეთები, შენობები, ნაგებობები, გადამცემი მოწყობილობები, სამუშაო მანქანები და დანადგარები, გამოთვლითი ტექნიკა, ინსტრუმენტები, საწარმოო და სამეურნეო ინვენტარი და მათი შემადგენლობა, მუშა და პროდუქტიული საქონელი, მრავალწლიანი ნარგავები და სხვა;

3) დაუსრულებელი მშენებლობა – ხარჯები დაკავშირებული კაპიტალურ მშენებლობასთან;

4) შემოსავლიანი დაბანდებები მატერიალურ დირექტულებებში – ორგანიზაციის დაბანდებები ფინანსურ არენდაში, რომელიც წარმოადგენს წინასწარ ცნობილი მოიჯარისთვის მხოლოდ და მხოლოდ იჯარით (არენდით) გადასაცემ ძირითადი საშუალებების ახალ ობიექტებს

განვადებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეუალედური გადახრის პროცესის მიხედვით;

5) გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებები – ორგანიზაციის მიერ აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენასთან დაკავშირებული ინვესტიციები, მათი სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალში დაბანდების და ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში შემოსავლების მიღების მიზნით.

**საბრუნვი აქტივები** – იგულისხმება ფინანსური რესურსების დაბანდება იმ ობიექტებში, რომელთა გამოყენება უნდა მოხდეს ერთი საწარმოო ციკლის ფარგლებში ან შედარებით მოკლე დროში (არ უნდა აღემატებოდეს 12-თვეს). მათ მიეკუთვნება:

#### 1) მარაგები:

– მარაგები, რომლებიც გამოიყენება ნედლეულის, მასალების და ა.შ. სახით, პროდუქციის წარმოების დროს და გასაყიდადაა განკუთვნილი. ისინი მოიხმარება ერთი საწარმო ციკლის მანილზე, ამიტომ მათი დირექტულება მთლიანად გადადის პროდუქციის თვითდირებულებაში;

– გასაყიდად განკუთვნილი აქტივები;

– აქტივები, რომლებიც გამოიყენება საწარმოს მართვის საჭიროებებისთვის.

2) დებიტორული დავალიანება (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) – ესაა ორგანიზაციის წინაშე ფიზიკური და იურიდიული პირების დავალიანება. მაგ., მყიდვებების დავალიანება უკვე გადატვირთულ, მაგრამ ჯერ კიდევ გადაუხდელ საქონელზე, საავანსო გადარიცხვებზე;

3) მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები – ესენია დაბანდებები აქტივებში, თბლივაციებში, თამასუქებში, ჩეკებში, ერთობლივ საქმიანობაში, ასევე სხვა ორგანიზაციებისთვის გაცემული სესხები 12-თვეგრძე ვადით;

4) ფულადი სახსრები – ესაა ორგანიზაციის სალაროში არსებული ნადირი ფული ანგარიშსწორების და სხვა სახის ანგარიშებზე, ასევე, გადარიცხვები.

## 11.2. ორგანიზაციის ქონებრივი პოტენციალის სტრუქტურისა და შემადგენლობის დინამიკის ანალიზი

ორგანიზაციის ქონებრივი პოტენციალის ანალიზი იწყება ბალანსის აქტივის მონაცემებით, ორგანიზაციის ქონების საერთო შეფასებით. ერთის მხრივ, ბალანსის აქტივში აისახება საწარმოს პოტენციალი, რომელიც ასახავს ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის (საწარმო და კომერციული) განხორციელების შესაძლებლობას, ხოლო მეორეს მხრივ, – აქტივები, რომლებიც ქმნიან ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობის პირობებს.

ბალანსის ანალიზი გვეხმარება თვალი მივადევნოთ ქონების ცვლას, გამოვყოთ საბრუნავი და არასაბრუნავი აქტივები, შევისწავლოთ ქონების სტრუქტურის დინამიკა, ე.ი. თანაფარდობა ქონების ცალკეულ ჯგუფებსა და მუხლებს შორის (ამ ჯგუფების შიგნით).

ქონების შემადგენლობისა და სტრუქტურის დინამიკის ანალიზი შესაძლებელს ხდის დავადგინოთ ორგანიზაციის მთელი ქონებისა და მისი ცალკეული სახეების აბსოლუტური და შეფარდებითი ზრდის ან შემცირების სიდიდე. აქტივის ზრდა (შემცირება) გაზიგნებს ორგანიზაციის საქმიანობის გაფართოებას (შემცირებას).

ქონებრივი პოტენციალის ანალიზის დროს გამოიყენება როგორც განზოგადოებული მაჩვენებლები, ისე კერძო მაჩვენებლებიც, რომლებიც ეხება მის ცალკეულ შემადგენლებს. ყველაზე მეტად ინფორმაციულია შემდგენ მაჩვენებლები:

სამეურნეო სახსრების ჯამი, რომელიც არსებობს ორგანიზაციის ბალანსზე – ესაა მაჩვენებელი, რომელიც იძლევა ორგანიზაციის ქონების სიდიდის, როგორც ერთი მთელის განზოგადოებულ შეფასებას. მაჩვენებლის სიდიდის განსაზღვრის დროს ბალანსიდან უნდა ამოვიდოთ ის მუხლები, რომლებიც მაღლა სწევენ მის მაჩვენებელს. მოცემული ჯამი წარმოადგენს ორგანიზაციის აქტივების სააღრიცხვო შეფასებას და შესაძლოა არ დაემთხვეს მათ საბაზრო ფასს.

საანგარიშო პერიოდში, აქტივების ზრდის (აბსოლუტური მაჩვენებელი) ანალიზის ჩატარებისას, აუცილებელია ძირითადი სახსრების გადაფასების გაცვლის გათვალისწინება. ე.ი. როდესაც ძირითადი სახსრების დირებულების ზრდა არ უკავშირდება წარმოებითი საქმიანობის განვითარებას. ასევე, აუცილებელია იმის გარკვევა, რომ ხომ არ არის ბალანსის ვალუტის გაძვირების მიზეზი მზა პროდუქციის გაძვირება, ან ინფლაციით გამოწვეული ნედლეულის გაძვირება, ან იგი წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ – სამეურნეო საქმიანობის გაფართოების შედეგს.

საანგარიშო პერიოდში ბალანსის ვალუტის შემცირება ადასტურებს ორგანიზაციის მიერ თავისი სამეურნეო საქმიანობის შეკვეცას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მისი გადახდაუზნარობა. აღნიშნული ფაქტის დასადგენად აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზების დებალური ანალიზის ჩატარება. კერძოდ:

– მოცემული ორგანიზაციის პროდუქციაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირება;

– ბაზებზე აუცილებელი ნედლეულის, მასალების, ნახევარფასობრიგაზების შესვლის შეზღუდვა.

ორგანიზაციის წმინდა აქტივების დირებულება მიახლოებით შეიძლება განისაზღვროს, როგორც სხვაობა ორგანიზაციის საკუთარ კაპიტალსა და დაგროვილი ზარალების (ბალანსის მიხედვით) ჯამურ რაოდენობას შორის. აღნიშნული მაჩვენებელი განისაკუთრებით მნიშვნელოვანია სააქციო საზოგადოების საქმიანობაში, რადგანაც მის მნიშვნელობაზე შესაძლოა დამოკიდებული იყოს სახსრების წყაროების სიღიდვე, სტრუქტურა და აქციონერებისთვის დივიდენდების გაცემა.

საბრუნავი და არასაბრუნავი აქტივების თანაფარდობა გამოითვლება ბალანსის შესაბამისი ნაწილების შედეგების ერთმანეთზე გაყოფით. ეს მაჩვენებელი გამოხატავს გრძელვადიან აქტივებში დაბანდებული ერთეულების იმ რაოდენობას, რომელიც მოდის საბრუნავ სახსრებში დაბანდებულ ერთ ერთეულზე.

ე.ი. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით ნაკლებადაა მიმზიდველი მოცემული ორგანიზაცია საინვესტიციო თვალსაზრისით: მაღალია საწარმოო რისკები, რადგან გრძელვადიან აქტივებში ჩადებული დაბანდებები უნდა ანაზღაურდეს მომავალი შემოსავლების ხარჯზე.

მეორე მხრივ, ქონებაში საბრუნავი აქტივების წილის ზრდა შეიძლება ნიშავდეს:

– აქტივების უფრო მობილური სტრუქტურის ფორმირებას, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციის სახსრების ბრუნვის დაწერებას;

– მიმდინარე აქტივების ნაწილის გადატანას მზა პროდუქციის მომსმარებლების დასაკრედიტებლად, რაც ადასტურებს საბრუნავი სახსრების ამ ნაწილის ფაქტიურ იმობილიზაციას;

– ორგანიზაციის საწარმოო ბაზის გაუქმებას და ა.შ.

არასაბრუნავი აქტივების სტრუქტურის კოეფიციენტები. ამ შემთხვევაში ანალიზისთვის მნიშვნელობა აქვს არასაბრუნავი

აქტივების სტრუქტურას. მიზანშეწონილია მისი ანალიზი ჩატარდეს შემდეგი სახეების მიხედვით:

1. მატერიალური აქტივების. ორგანიზაციის ქონების შემადგენლობაში მათი არსებობა ინოვაციურად ახასიათებს საწარმოს მიერ არჩეულ სტრატეგიას, რადგანაც იგი აბანდებს სახსრებს პატენტებში, ლიცენზიებში და სხვა ინტელექტუალურ საკუთრებაში.

2. ძირითადი საშუალებების. ეს მაჩვენებელი მეტად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის საწარმოო სფეროს ქონებრივი პოტენციალის შესაფასებლად. ამ შემთხვევაში ძირითადი სახსრები წარმოადგენს წამყვან მატერიალურ ფაქტორს, რომელიც განაპირობებს მოგების გენერირების შესაძლებლობებს. აღნიშნული მაჩვენებლის გამოყენება ორგანიზაციის საქმიანობის შესაფასებლად საკმაოდ რთულია, რადგანაც სარეკომენდაციო მონაცემები უბრალოდ არ არსებობს იმ მიზეზის გამო, რომ მაჩვენებელების სიდიდე იცვლება ფართო დიაპაზონში, როგორც დარგების მიხედვით, ისე, დარგების შიგნითაც.

3. დაუსრულებელი მშენებლობების. გარკვეულ პირობებში დაუსრულებელი მშენებლობის წილის ზრდამ შეიძლება ნებატიურად იმოქმედოს ორგანიზაციის ფინანსურ-სამუშაო საქმიანობის შედეგებზე, რადგანაც „დაუსრულებელი მშენებლობის“ მუხლი არ არის გათვალისწინებული საწარმოო ბრუნვაში.

4. გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებების. მათი არსებობა უწვენებს ორგანიზაციის მიერ განხორციელებული დაბანდებების ინვესტიციურ მიმართულებას, რომელიც განსაზღვრულ პირობებში შეიძლება შეფასდეს საწარმოს საქმიანობის პოზიტიურ მომენტად.

**საბრუნავი აქტივების სტრუქტურის ქოეფიციენტი.** ამ შემთხვევაში ანალიზისთვის მნიშვნელობა აქვს, როგორც საბრუნავი აქტივების (მაგ., სრულიად და იოლად რეალიზებადი აქტივების შეფარდება) სტრუქტურას, ისე იმ სახის აქტივების წილს, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის. ესენია: საწარმოო მარაგები, დაუსრულებელი წარმოება, მზა პროდუქცია, დებიტორული დავალიანება, ფულადი სახსრები და მოკლევალიანი ფინანსური დაბანდებები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საწარმოო მარაგების ხვედრითი წონის შეცვლას. მისი გაზრდა მიუთითებს:

- ორგანიზაციის საწარმოო პოტენციალის ზრდაზე;

—მისწრაფებაზე, რომ საწარმოო მარაგებში  
განხორციელებული დაბანდებების ხარჯზე დაცული იყოს  
ორგანიზაციის ფულადი აქტივები ინფლაციით გამოწვეული  
გაუფასურებისგან;  
—არჩეული სამეცნიერო სტრატეგიის  
არარაციონალურობაზე.

### 11.3. ორგანიზაციის არამატერიალური აქტივების ანალიზი

არამატერიალური აქტივების ხვედრითი წონა ქვეყნის ორგანიზაციების ქონებაში დღიუსათვის არ არის დიდი განვითარებული საბაზო კონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით. ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა პრაქტიკულ საქმიანობაში წინ უნდა წამოსწორონ ეკონომიკური ინტერესი, რომელიც უკავშირდება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებით სარგებლობის განსაკუთრებული უფლებების (შემოსავლიანობის გაზრდის მიზნით) გამოყენებას. ამ ინტერესის რეალიზაცია მოითხოვს არამატერიალური აქტივების მართვის აღრიცხვა-ანალიზური უზრუნველყოფის წინსწრებით განვითარებას.

შეიძლება გამოვყოთ ორგანიზაციის არამატერიალური აქტივების ანალიზის შემდეგი ამოცანები:

- არამატერიალური აქტივების მოცულობისა და დინამიკის ანალიზი;
- არამატერიალური აქტივების სტრუქტურისა და მდგრმარეობის ანალიზი სახეობების, სასარგებლოდ გამოყენების ვადების და სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით;
- მათი შემოსავლიანობის ანალიზი;
- არამატერიალურ აქტივებში კაპიტალის დაბანდებების რისკის ხარისხის და ლიკვიდურობის ანალიზი.

საბუღალტრო ბალანსის მონაცემები და საბუღალტრო ბალანსის დანართი წარმოადგენს ანალიზის ჩატარების საინფორმაციო ბაზას.

არამატერიალური აქტივები არაერთგვაროვანია თავისი შემადგენლობის, წარმოების პროცესში გამოყენების ან ექსპლუატაციის ხასიათის, ფინანსურ მდგრმარეობაზე და სამეცნიერო საქმიანობის შედეგებზე გავლენის ხარისხის მიხედვით. ამიტომ, მათი შეფასებისას საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა, რისთვისაც ტარდება

არამატერიალური აქტივების კლასიფიკაცია და დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნების მიხედვით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არამატერიალური აქტივების სტრუქტურის ანალიზი და შეფასება შემდეგი საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით.

1) შემოსული (შეძენილი) წყაროების მიხედვით: შემოტანილი დამფუძნებლების მიერ; შეძენილი საფასურის ფასად ან გაცელილი სხვა ქონებაზე; უსასყიდლოდ მიღებული ფიზიკური და ოურიდიული პირების მიერ; სახელმწიფო ორგანოების სუფსიდიები;

2) სახეობების მიხედვით: უფლებები სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე; უფლებები ბუნებრივი და სხვა რესურსებითა და საკუთრებით სარგებლობაზე; საორგანიზაციო და სხვა ხარჯები;

3) სამართლებრივი დაცვის ხარისხის მიხედვით: გამოგონებაზე პატენტებით, დარეგისტრირებული ლიცენზიებით, მოწმობებით სასარგებლო მოღელზე, სამრეწველო ნიმუშებზე პატენტებით, სასაქონლო ნიშანზე მოწმობებით, საქონლის წარმომავლობის ადგილთა სახელწოდებებით სარგებლობის უფლების მოწმობებით, ეგმ-ის პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების ოფიციალური სარეგისტრაციო მოწმობებით, საავტორო უფლებებით;

4) პრესტიულობის ხარისხის მიხედვით: საერთაშორისო დონე, საერთო ეროვნული დონე, დარგობრივი ან რეგიონალური დონე;

5) არამატერიალურ აქტივებში კაპიტალის დაბანდების ლიკვიდურობისა და რისკის ხარისხის მიხედვით: მაღალი ლიკვიდურობის, შეზღუდული ლიკვიდურობის (საშუალო ჯგუფი), დაბალი ლიკვიდურობის;

6) წარმოებაში გამოყენების ხარისხის მიხედვით (წარმოების შემოსავლიანობის გაზრდის პოზიციიდან).

არამატერიალური აქტივების გამოყენებით მიღებული რაოდენობრივი ეფექტი გამოხატულია სამეურნეო საქმიანობის საერთო შედეგებში, კერძოდ:

- წარმოების ხარჯების შემცირებაში;
- პროდუქციის გასაღების მოცულობის ზრდაში;
- მოგების გაზრდაში;
- გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგომარეობის გადიდებაში.

არამატერიალური აქტივების დინამიკის მართვის ძირითადი პრინციპებია:

1) კაპიტალის უპენების ზრდის ტემპი (არამატერიალური აქტივების შემოსავლიანობის) წინ უნდა უსწრებდეს კაპიტალის ხარჯების ზრდის ტემპებს;

2) ამონაგების ან მოგების ზრდის ტემპი წინ უნდა უსწრებდეს არამატერიალური აქტივების ზრდის ტემპს.

არამატერიალური აქტივების შემოსავლიანობის ზრდის მთავარი ფაქტორებია: მათი ბრუნვის დაჩქარება და გაყიდვების რენტაბელობის გაზრდა.

არამატერიალური აქტივების შემოსავლიანობა გამოისახება ფორმულით:

$$R^{am} = \frac{P_s (P_{saan})}{A_{am}} \cdot 100,$$

სადაც  $P_s$  (ან  $P_{saan}$ ) – წმინდა მოგება (ან საბალანსო);  $A_{am}$  – ანალიზის პერიოდში არამატერიალური აქტივების საშუალო ღირებულება.

ფაქტორული მოდელირების გარდაქმნის მეთოდების საშუალებით შესაძლებელია საწყისი ფორმულის (არამატერიალური აქტივების შემოსავლიანობის ფორმულის) გარდაქმნა შემდეგი სახით:

$$R^{am} = \frac{P_s}{B} \cdot \frac{B}{A_{am}}$$

1 11  
სადაც პ. ფაქტორი ფაქტორი ამოხატავს გაყიდვების რენტაბელობას;

მეორე ფაქტორი – არამატერიალური აქტივების ბრუნვის რაოდენობას.

ამრიგად, არამატერიალური აქტივების შემოსავლიანობა შეიძლება გაიზარდოს მათი ბრუნვის სიჩქარის გაზრდის და გაყიდვების რენტაბელობის გაზრდის ხარჯზე.

## **11.4. გრძელვადიანი ინვესტიციების და ფინანსური დაბანდებების ანალიზი**

ორგანიზაციის გრძელვადიან ინვესტიციებს და ფინანსური დაბანდებების მიეკუთხნება:

• ორგანიზაციის გრძელვადიანი (ერთ წელზე მეტი ვადით) ინვესტიციები სხვა ორგანიზაციების მომგებიან აქტივებში (ფასიან ქაღალდებში);

• ინვესტიციები სხვა ორგანიზაციების საწესდებო (შენაგროვ) კაპიტალში, რომლებიც შექმნილია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე;

• ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში (ობლიგაციები და სხვა სახესხო ვალდებულებები) და ა.შ.;

• ორგანიზაციის მიერ სხვა საწარმოებისთვის მიცემული სესხები.

გრძელვადიანი ინვესტიციები და ფინანსური დაბანდებები ძირითადად ხორციელდება ორგანიზაციის საკუთარი სახსრებით. ამ მიზნით, ცალკეულ შემთხვევებში, ხდება ბანკების კრედიტების, სხვა ორგანიზაციებიდან სესხების მოზიდვა. წლიური საბუღალტრო აღრიცხვის ფორმებში განხილულია მსგავსი ფინანსური წყაროების მოძრაობა და მდგომარეობა. საკუთარი სახსრების წყაროებია, პირველ რიგში, – მოგება, რომელიც რჩება ორგანიზაციის განკარგულებაში (დაგროვების ფონდი) და ასევე, ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია.

მიზანშეწონილია, რომ გრძელვადიანი ინვესტიციების და ფინანსური დაბანდებების ანალიზი ჩატარდეს შემდეგი მიმართულებებით:

1) გრძელვადიანი ინვესტიციების და ფინანსური დაბანდებების მოცულობის და დინამიკის ანალიზი;

2) მათი სტრუქტურული დინამიკის ანალიზი;

3) გრძელვადიანი ინვესტიციების და ფინანსური დაბანდებების ეფექტურობის ანალიზი.

ინფორმაციის მიღების მიზნით გამოყენებული ცხრილი უნდა შეიცსოს დამატებითი საანგარიშო მაჩვენებლებით: თითოეული წყაროს ხვედრითი წონა მათ მთლიან თანხაში (ჯამში), ზრდის ან ნამატის ტემპები, აბსოლუტური და შეფარდებითი გადახრები.

## 115. ორგანიზაციის საბრუნავი აქტივების ანალიზი

საბრუნავ აქტივებს დიდი ხვედრითი წონა უჭირავთ ორგანიზაციის მთლიან ქონებრივ პოტენციალში.

მათ რაციონალურ განაწილებასა და ეფექტურ გამოყენებაზე დიდადად დამოკიდებული ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის შედეგი. ამიტომ, საბრუნავი აქტივების ანალიზის მთავარ ამოცანებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- საბრუნავი აქტივების შემადგენლობის და სტრუქტურის ანალიზი;

- საბრუნავი აქტივების დაჯგუფება ძირითადი ნიშნების მიხედვით;

- საბრუნავი აქტივების ცალკეული ჯგუფების, რომლებიც ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ორგანიზაციის გადახდაუნარიანობასა და ფინანსურ მდგრადობაზე, ანალიზი;

- საბრუნავი აქტივების გამოყენების ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი.

საბრუნავი თანხების ანალიზისთვის ძირითად საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს საბუღდალტრო ბალანსი, ანგარიშგება მოგებებისა და წაგებების შესახებ, პირველადი საბუღდალტრო აღრიცხვის მონაცემები, რომლებიც ახდენენ ბალანსის ცალკეული მუხლების გაშიფრას და დეტალიზაციას.

უპირველეს ყოვლისა ანალიზის დროს ხდება საბრუნავი აქტივების რაოდენობისა და სტრუქტურის ცვლილებების ზოგადი შეფასება მათი მნიშვნელოვანი ჯგუფების მიხედვით. სტაბილურ, კარგად აწყობილ პროდუქციის წარმოებას და რეალიზაციას, ახასიათებს, ასევე, საბრუნავი აქტივების სტაბილური სტრუქტურა. მისი არსებითი ცვლილებები არაა სასურველი, ხოლო თუ ცვლილებებს აქეს ადგილი, ეს ნიშნავს, რომ ხდება ჩადებული სახსრების გადანაწილება სხვადასხვა სახის საბრუნავ აქტივებს შორის. ასეთი მდგრმარეობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ინფლაციური პროცესები. ამიტომ ანალიზის დროს (პრაქტიკაში) აუცილებელია ამ ასპექტის გათვალისწინება.

საბრუნავი აქტივების სიდიდის ცვლილება აუცილებელია განვიხილოთ მათი გამოყენების ეფექტურობასთან შეიძლება კავშირში.

საბრუნავი აქტივების გამოყენების ეფექტურობა, უპირველეს ყოვლისა, ხასიათდება მათი ბრუნვადობით. საბრუნავი

სახსრების (საშუალებების) ბრუნვადობა – ესაა, სახსრებით წარმოების და ბრუნვის ცალკეული სტადიების გავლის ხანგრძლივობა. უველა საბრუნავი სახსრების საერთო ბრუნვადობა მიიღება საბრუნავი სახსრების ცალკეული ელექტრიზაციის ბრუნვადობების (კერძო ბრუნვადობა) შეჯამებით. როგორც საერთო ბრუნვადობა, ისე კერძო ბრუნვადობა ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

- 1) სახსრების ბრუნვადობის კოეფიციენტით (სიდიდე) – ახასიათებს პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგების მოცულობის სიდიდეს, საბრუნავი სახსრების 1 ლარზე (დოლარზე) გაანგარიშებით;
- 2) ერთი ბრუნის ხანგრძლივობა (დღებში) – წარმოადგენს საბრუნავი სახსრების საშუალო ნაშთის თანხის შეფარდებას ანალიზის ჩატარების პერიოდში ერთი დღის ამონაგების (ნავაჭრის) თანხასთან;
- 3) საბრუნავი სახსრების საშუალო ნაშთი – განისაზღვრება, როგორც დროის რიგის საშუალო ქრონოლოგიური სიდიდე, გამოითვლება დროის სხვადასხვა მომენტებში მაჩვენებლის მნიშვნელობების ერთობლიობით;
- 4) სახსრების ბრუნვაში გაშვების კოეფიციენტი – ახასიათებს საბრუნავი სახსრების ჯამს (მთლიან თანხას), რომლის ავანსირებაც განხორციელდა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული 1 ლარის ნავაჭრზე (ამონაგებზე). რაც უფრო მაღალია კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით ეფექტურად გამოიყება საბრუნავი აქტივები.

სახსრების ბრუნვადობის კოეფიციენტის და მათი ბრუნვაში გაშვების (ზატვირთვის) კოეფიციენტის ზრდა, მიუთითებს მათ ეფექტურ გამოყენებაზე. საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის აჩქარება, ამცირებს მათზე მოთხოვნას, საშუალებას აძლევს ორგანიზაციას გამოანთავისუფლოს საბრუნავი სახსრების ნაწილი, ან სახალხო მუურნეობის საჭიროების მიზნების მიზნების გამოიყება (აბსოლუტური გამონთავისუფლება), ან დამატებითი პროდუქციის გამოსაშვებად (შეფარდებითი გამონთავისუფლება).

ორგანიზაციის საბრუნავი სახსრების ბრუნვადობასა და სიდიდეზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებია:

- ორგანიზაციის საქმიანობის მასშტაბი (მცირე, საშუალო, მსხვილი ბიზნესი);

• ბიზნესის ან საქმიანობის ხასიათი, ე.ი. ორგანიზაციის დარგობრივი კუთვნილება (ვაჭრობა, მრეწველობა, მშენებლობა და ა.შ.);

• საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა (ტექნოლოგიური ოპერაციების რაოდენობა და ხანგრძლივობა პროდუქციის წარმოების, მომსახურების განხორციელების და სამუშაოების შესრულების დრო);

• მოხმარებული სახის რესურსების რაოდენობა და მრავალფეროვნება;

• პროდუქციის მომხმარებლების გეოგრაფია და მომწოდებლებისა და მომიჯნავეთა (მეზობლების) გეოგრაფია;

• საქონლის, სამუშაოების, მომსახურების ხვედრითი წილები ანგარიშსწორების სისტემები;

• კლიენტების გადახდაუნარიანობა;

• საბანკო მომსახურების ხარისხი;

• პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის ზრდის ტემპები;

• ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკა;

• მენეჯერების კვალიფიკაცია;

• ინფლაცია.

შემდეგ უნდა მოხდეს ბრუნავი აქტივების სტრუქტურის ცვლილების მიზანის და შედეგის ანალიზი ცალკეული ჯგუფების და ელემენტების მიხედვით. ასევე ხდება საბრუნავი აქტივების ჯგუფების ანალიზი, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს საბრუნავი აქტივების საერთო სიდიდის ცვლილებასა და მათი გამოყენების ეფექტურობაზე.

## 11.6. მარაგების და ხარჯების ანალიზი

მარაგების და ხარჯების სიდიდის და სტრუქტურის შესწავლის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მათი ისეთი ელემენტების ცვლილებების ტენდენციებს, როგორებიცაა: საწარმოო მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პრიდუქცია და საქონელი.

მარაგების და ხარჯების აბსოლუტური თანხის (ჯამის) და ხვედრითი წონის გადიდება შეიძლება მიუთითებდეს:

- ორგანიზაციის საწარმოო პოტენციალის მატებაზე;
- მისწრაფებაზე, რომ საწარმოო მარაგებში დაბანდებების გზით, დაცული იყოს ორგანიზაციის ფულადი აქტივები ინფლაციით გამოწვეული გაუფასურებისგან;
- შერჩეული სამეურნეო სტრატეგიის არარაციონალურობაზე, რომლის შედეგად, მიმდინარე აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი მობილიზებულია მარაგებში, რომელთა ლიკვიდურობაც შეიძლება იყოს მცირე.

მარაგებისა და ხარჯების მდგომარეობის ანალიზის დროს, აუცილებელია:

- ნედლეულის, მასალების, დაუსრულებელი წარმოების, მზა პროდუქციის ნორმალური გარდამავალი მარაგებით ორგანიზაციის უზრუნველყოფილობის დადგენა;
- მატერიალური რესურსების, დაუსრულებელი წარმოების, მზა პროდუქციისა და საქონლის ზედმეტი და არასაჭირო (ზედმეტი) მარაგების გამოვლენა.

მარაგების და ხარჯების მდგომარეობის ანალიზის დროს, არ შეიძლება მხოლოდ იმ მონაცემებით შემოფარგლა, რომლებიც ასახავენ ფაქტიური ნაშთების აბსოლუტურ გადახრებს ნორმიდან პერიოდის ბოლო მომენტისთვის და გასული პერიოდისთვის. მარაგებისა და ხარჯების ურთიერთკავშირის დინამიკის გასარკვევად წარმოების მოცულობის, ცალკეული სახის მატერიალური ღირებულებების მოხმარების ფასებისა და მასშტაბების ცვლილებასთან, მიზანშეწონილია განისაზღვროს მარაგის შეფარდებითი დონე დღიური ხარჯების მიხედვით.

დღეების მიხედვით მარაგი გამოითვლება როგორც შესაბამისი სახეობის მატერიალური საბრუნავი თანხების ნაშთის აბსოლუტური სიდიდის შეფარდება ერთდღიანი ბრუნვის ბალანსის სიდიდესთან (ხარჯების მიხედვით).

დღეების მიხედვით მარაგის შეფარდებითი დონის გამოსათვლელად ფაქტიურ მაჩვენებლად გამოიყენება: ნედლეულის ბრუნვა, მირითადი მასალების და შესასყიდი ნახევარფაბრიკატების, დაუსრულებელი წარმოების, მზა პროდუქციის მიხედვით.

დღეების მიხედვით საანალიზო პერიოდის ბოლოსთვის გამოთვლილ ფაქტიურ მარაგს მატერიალური საბრუნავი თანხების შესაბამისი სახეობის მიხედვით ადარქებნ მარაგის

ნორმატივს დღეების მიხედვით და გასული პერიოდის მონაცემებს. ასევე გამოავლენენ არსებულ გადახრებს და ადგენენ ამ გადახრების მიზეზებს.

მარაგების ანალიზის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათი სტრუქტურის შეფასება დაგროვების კოეფიციენტის გამოყენებით. ის განისაზღვრება საწარმოო მარაგების და დაუსრულებელი წარმოების ღირებულების შეფარდებით მზა პროდუქციისა და საქონლის ღირებულებულებასთან. ეს კოეფიციენტი ახასიათებს მარაგების მობილურობის დონეს და ოპტიმალური გარიანტის დროს მისი მნიშვნელობა ნაკლები უნდა იყოს 1-ზე. თუმცა, ასეთი თანაფარდობა სამართლიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოს პროდუქცია კონკურენტუნარიანია და სარგებლობს მოთხოვნით.

როდესაც დაგროვების კოეფიციენტის მნიშვნელობა ოპტიმალურზე მაღალია, მაშინ ეს ადასტურებს საწარმოს მარაგების არარაციონალურ სტრუქტურას, ზედმეტი და არასაჭირო საწარმოო მარაგების არსებობას, დაუსრულებელი წარმოების ნაშთების გაუმართლებელ ზრდას.

მარაგების ზრდის ძირითადი მიზეზებიდან შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

- საწარმოო მარაგების მიხედვით: პროდუქციის ცალკეული სახეების გამოშვების შემცირება და მასალების ფაქტიური ხარჯის განსხვავება ნორმატიულისგან, ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური ფასებულობების, მატერიალური რესურსებით არარიტმული მომარაგება და სხვა;
- დაუსრულებელი წარმოების მიხედვით: საწარმოო ხელშეკრულებების და შეკვეთების ანულირება, პროდუქციის თვითდირებულების გაძვირება, ნაკლოვანებები წარმოების დაგეგმვა – ორგანიზაციაში, შესყიდული ნახევარფაბრიკატების და მაკომბლექტებელი ნაკეთობების ხარვეზები და სხვა;
- მზა პროდუქციის მიხედვით: ცალკეული სახის ნაკეთობებზე მოთხოვნის შემცირება, პროდუქციის დაბალი ხარისხი, მზა პროდუქციის არარიტმული გამოშვება და გადატვირთვის (ტვირთის გადატანის) შეფერხება, სატრანსპორტო სიძნელები და სხვა.

## 11.7. დებიტორული დავალიანების ანალიზი

საბრუნავი აქტივების ანალიზის დროს დიდი უერადღება უნდა დაეთმოს დებიტორულ დავალიანებებს. კონკურენციის და პროდუქციის გასაღების სირთულეების არსებობის პირობებში ორგანიზაცია ჰყიდის მათ, რისთვისაც იყენებს შემდგომი გადახდის ფორმას. ამიტომ, დებიტორული დავალიანება წარმოადგენს საბრუნავი თანხების მნიშვნელოვან ნაწილს.

დებიტორული დავალიანების ანალიზის მიზანია უსაფუძვლო დავალიანების სიდიდისა და დინამიკის, მისი წარმოშობის მიზეზებისა და ზრდის გამოვლენა.

ანალიზი ტარდება საბუღალტრო ბალანსის და მისი დანართების მონაცემების მიხედვით.

დებიტორული დავალიანების მდგომარეობის აბნალიზს იწყებენ მისი მოცულობის დინამიკის მთლიანობაში და მუხლობრივ ჭრილში განხილვათ. ამ მიზნით გამოყენებულია შემდეგი მაჩვენებლები:

1. დებიტორული დავალიანების წილი საბრუნავი აქტივების საერთო მოცულობაში.
2. დებიტორული დავალიანების ზრდის ტემპები.
3. ხვედრითი წონა.

შეფასებითი ანალიზის შემდეგ გადადინ დებიტორული დავალიანების მდგომარეობის ხარისხს შეფასებაზე. ხარისხის ცნებაში მოიაზრება დავალიანების მიღების ალბათობა (სრული მოცულობით). ალბათობის მაჩვენებელს წარმოადგენს დავალიანების წარმოშობის გადა, ასევე, გადაგასული დავალიანების ხვედრითი წონა. მიზანშეწონილია შევადგინოთ ანალიზური ცხრილი, რომელიც რანჟირების მეთოდის გამოყენების საშუალებით გვიჩვენებდა დებიტორული დავალიანების დაბრუნების ხასიათს (ცხრილი 1).

კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ასევე, შემოვიდოთ ვადის გადაცილების დღეების სხვა ინტერვალებიც. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ასეთი ინფორმაციის არსებობა გვეხმარება გამოვავლინოთ, როგორც ანგარიშსწორების დისციპლინის ზოგადი ტენდენციები, ასევე ის კონკრეტული მყიდველები, რომლებიც შედარებით უფრო ხშირად ხვდებიან არასაიმედო გადამხდელების კატეგორიაში (რიცხვში). დავალიანების დაბრუნების განმაზოგადებელ მაჩვენებელს წარმოადგენს ბრუნვადობა. გამოიანგარიშება ფაქტიური ბრუნვადობა და ბრუნვადობა, რომელიც ნავარაუდევია ხელშეკრულების პირობებით.

**დებიტორული დავალიანების მდგომარეობის ანალიზი მისი  
წარმოქმნის ვადების მიხედვით**

დებიტორული დავალიანების მუხლი	ვადის ფარგლებში	დავალიანების გადახდის ვადის გადაცილება				
		30-მდე	31-60	61-90	91- 120	120-ზე ზევით

დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი გამოითვლება საანგარიშო პერიოდში პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგების შეფარდებით საშუალო დებიტორულ დავალიანებასთან:

$$K_{br} = B/D_d$$

საანგარიშო პერიოდის საშუალო დებიტორული  
დავალიანება

$$D_{ds} = (D_{dpd} + D_{dpb})/2,$$

სადაც  $D_{dpd}$  და  $D_{dpb}$  –დებიტორული დავალიანება, შესაბამისად, პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსთვის.

ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ წარმოიქმნება დავალიანება და რა ერიცხება საწარმოს გასაანალიზებელ პერიოდში.

დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა შეიძლება გამოითვლოს დღეებში. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს დავალიანების გადახდისთვის აუცილებელი დღეების საშუალო მნიშვნელობას; ასევე, ასასიათებს დებიტორული დავალიანების ერთი ბრუნვის ხანგრძლიობას. გამოითვლება, როგორც პერიოდში შემავალი დღეების რაოდენობის შეფარდება ბრუნვადობის კოეფიციენტთან.

დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის მაჩვენებლები უნდა შევადაროთ პერიოდების მიხედვით მაჩვენებლებს; დარგში საშუალოების მაჩვენებლებს; ხელშეკრულებების პირობებით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს. ფაქტიური ბრუნვადობის მაჩვენებლის შედარება ხელშეკრულების მიხედვით გამოითვლილ ბრუნვის მაჩვენებლთან საშუალებას იძლევა შევაფასოთ მყიდველების მხრიდან დავალიანების დროულად გადახდის

- ხარისხი. ფაქტიური მაჩვენებლის განსხვავება ხელშეკრულებით გათვალისწინებულთან შედარებით, შეიძლება გამოწვეული იყოს:
- ცუდი მუშაობით დაგალიანების გადახდის გამოთხვის საკითხში;
  - სიძნელეებით ამ თანხების მიღების პროცესში, მიუხედავად პასუხისმგებელი პირების კარგი მუშაობისა;
  - მყიდველების ფინანსური სიძნელეებით.
- არსებობს ზოგიერთი ზოგადი რეკომენდაციები, რომელებიც იძლევიან დებიტორული დაგალიანების მართვის საშუალებას:
- აუცილებელია მყიდველებთან ანგარიშსწორების მდგომარეობის მუდმივი კონტროლი, განსაკუთრებით კი გადავადებული დაგალიანებების შემთხვევებში.
  - შესაძლებლობის ფარგლებში ორიენტაცია უნდა განხორციელდეს მყიდველთა დიდ რაოდენობაზე, რათა შემცირდეს გადაუხდელობის რისკი ერთი ან რამდენიმე მყიდველის მხრიდან.
  - უნდა გაირკვეს დებიტორების დაკრედიტების ურთიერთსასარგებლო პირობები.
  - თვალყური უნდა ვადევნოთ დებიტორული და კრედიტორული დაგალიანების თანაფარდობას.

### **საკონტროლო კითხვები:**

1. რა არის ქონებრივი პოტენციალი? დაახასიათეთ საბრუნავი და არასაბრუნავი კაპიტალის შემადგენლობა;
2. ჩამოთვალეთ ბალანსის ვალუტის შემცირების მიზეზები;
3. ჩამოთვალეთ ორგანიზაციის არამატერიალური აქტივების ანალიზის ამოცანები;
4. რა მიეკუთვნება ორგანიზაციის გრძელვადიან ინვესტიციებს და ფინანსურ დაბანდებებს?

5. რა მაჩვენებლებით განისაზღვრება საბრუნავი აქტივების გამოყენების ეფექტურობა?;
6. რისი დადგენაა აუცილებელი მარაგებისა და ხარჯების მდგომარეობის ანალიზის დროს?;
7. რა მაჩვენებლებით შეიძლება განისაზღვროს დებიტორული დავალიანების მდგომარეობა?.

## 12. ორგანიზაციის ფინანშრო მდგრადობის პრალიზი

ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა მისი ფინანსური რესურსების (განაწილება და გამოყენება) ისეთი მდგომარეობაა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას მოგების და კაპიტალის ზრდის საფუძველზე გადახდა-კრედიტუნარიზაციის დასაშვები დონის რისკის შენარჩუნების პირობებში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციის ფინანსურ დამოუკიდებლობას გარე დაფინანსებიდან (გარე სასესხო წყაროებიდან). საქუთარი სახსრების წყაროების მარაგის არსებობა წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის მარაგს იმ პირობით, როცა მისი საქუთარი სახსრები აღემატება სასესხოს.

ე.ი. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ამოცანაა ორგანიზაციის დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასება დაფინანსების სასესხო წყაროებთან მიმართებაში. ამის გაკეთება აუცილებელია, რომ ვუპასუხოთ კითხვებს: რამდენად დამოუკიდებელია ორგანიზაცია ფინანსურად, იზრდება ოუ მცირდება ამ დამოუკიდებლობის ღონე (ხარისხი) და პასუხობს ოუ არა ორგანიზაციის აქტივების და პასივების მდგომარეობა მის ფინანსურ-სამეცნიერო საქმიანობის ამოცანებს.

ორგანიზაციის მდგრადობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი:

- ორგანიზაციის მდგომარეობა სასაქონლო ბაზარზე;
- იაფი და მოთხოვნადი პროდუქციის წარმოება და გამოშვება;
- გარეშე კრედიტორებზე და ინვესტორებზე დამოკიდებულების ხარისხი;
- გადახდაუნარო დებიტორების არსებობა;
- სამეცნიერო და ფინანსური ოპერაციების ეფექტურობა და ა.შ. ორგანიზაციის ფინანსური დამოუკიდებლობა ხასიათდება აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების სისტემით.

ფინანსური მდგომარეობის აბსოლუტური მაჩვენებლები გვიჩვენებენ, თუ როგორაა მარაგები და ხარჯები უზრუნველყოფილი ფორმირების წყაროებით.

მარაგების წყაროების და ხარჯების ფორმირების დასახასიათებლად იყენებენ რამდენიმე მაჩვენებელს. ისინი ასახავენ სხვადასხვა სახის წყაროებით სარგებლობის ხარისხს.

1. საქუთარი საბრუნავი სახსრების არსებობა. იგი გამოიყვლება, როგორც სხვაობა საკუთარი სახსრების წყაროების სიდიდისა და ძირითადი საშუალებების ჯამსა და ორგანიზაციის არასაბრუნავი აქტივების ღირებულებას შორის.

საქუთარი საბრუნავი სახსრები=კაპიტალს და რეზერვებს – არასაბრუნავი აქტივები

საქუთარი საბრუნავი სახსრები ახასიათებენ წმინდა საბრუნავ კაპიტალს. საქუთარი საბრუნავი სახსრების გაზრდა

წინა პერიოდთან შედარებით ადასტურებს ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურ განვითარებას.

**2.მარაგების და ხარჯების ფორმირების მიზნით საკუთარი და გრძელვადიანი სასესხო სახსრების არსებობა (ფუნქციონირებადი კაპიტალი) იანგარიშება საკუთარი საბრუნავი სახსრების და გრძელვადიანი კრედიტების და სესხების (გრძელვადიანი პასივები) შეჯამებით.**

**საკუთარი და გრძელვადიანი სასესხო  
სახსრები=(კაპიტალი და რეზერვები + გრძელვადიანი  
გალღებულებები) – არასაბრუნავი აქტივები, ზგ –  
ფუნქციონირებადი კაპიტალი**

**3.ხარჯებისა და მარაგების ფორმირებისთვის საჭირო თანხების ძირითადი წყაროების საერთო სიდიდე განისაზღვრება, როგორც საკუთარი საბრუნავი სახსრების, გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტების და სესხების ჯამი:**

**ხარჯებისა და მარაგების ძირითადი წყაროები=(კაპიტალი და რეზერვები + გრძელვადიანი გალღებულებები + მოკლევადიანი კრედიტები და სესხები) – არასაბრუნავი აქტივები.**

მარაგებისა და ხარჯების ფორმირებისთვის საჭირო სახსრების წყაროების არსებობის ამ სამ მაჩვენებელს – შეესაბამება უზრუნველყოფის სამი მაჩვენებელი:

1. საკუთარი საბრუნავი სახსრების ნამეტი (+) ან ნაკლებობა (-);

2. მარაგების ფორმირების სახსრების საკუთარი და გრძელვადიანი წყაროების ნამეტი (+) ან ნაკლებობა (-);

3. მარაგების და ხარჯების ფორმირების სახსრების ძირითადი წყაროების საერთო სიდიდის ნამეტი (+) ან ნაკლებობა (-);

ხარჯების და მარაგების სახსრების წყაროებით უზრუნველყოფის (მათი შექმნის მიზნით) სამი მაჩვენებელის გამოთვლა, საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ფინანსური სიტუაციის კლასიფიცირება მისი მდგომარეობის ხარისხის მიხედვით. შეიძლება გამოვყოთ 4 ტიპის ფინანსური სიტუაცია და ამ მიზნით ვისარგებლოთ ეკონომიკურ ლიტერატურაში რეკომენდებული სამკომპონენტიანი მაჩვენებლით:

$$S = \begin{cases} S_1 (\pm \text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}); \\ S_2 (\pm \text{საკუთარი და გრძელვადიანი სასესხო სახსრები}); \\ S_3 (\pm \text{ხარჯებისა და მარაგების ძირითადი წყაროები}). \end{cases}$$

სადაც ფუნქცია  $S$  განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\begin{cases} S(x) = & \begin{aligned} 1, & \text{თუ } X > 0; \\ 0, & \text{თუ } X \leq 0 \end{aligned} \end{cases}$$

ამ ფორმულებით თუ ვისარგებლებთ, შეიძლება გამოვყოთ სამი ტიპის ფინანსური სიტუაცია:

1. აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა  $S(1, 1, 1)$ , როდესაც ყველა მარაგი და ხარჯი იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრების ხარჯზე. ეს ტიპი გვხვდება იშვიათად და წარმოადგენს ფინანსური მდგრადობის უპიდურეს ტიპს:

$$\begin{cases} \pm X_1 > 0 \\ \pm X_2 > 0 \\ \pm X_3 > 0, \end{cases}$$

სადაც  $X_1$ -საკუთარი საბრუნავი სახსრებია;  $X_2$ - საკუთარი და გრძელვადიანი სასესხო სახსრებია;  $X_3$ -ხარჯებისა და მარაგების წყაროები.

2. ფინანსური მდგომარეობის ნორმალური მდგრადობა  $S(0, 1, 1)$ , იძლევა ორგანიზაციის გადახდაუნარიანობის გარანტის. სასიათდება ორგანიზაციის საქმიანობის მაღალი დონით და ფინანსური დისციპლინის დაურღვევლობით.

$$\begin{cases} \pm X_1 < 0 \\ \pm X_2 > 0 \\ \pm X_3 > 0 \end{cases}$$

3. არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა  $S(0, 0, 1)$ , რომელიც დაკავშირებულია გადახდაუნარიანობის დარღვევასთან. ამის მიუხედავად, შენარჩუნებულია წონასწორობის აღდგენის

შესაძლებლობა რეალური საკუთარი კაპიტალის შევსების და საკუთარი საბრუნავი თანხების გადიდების, ასევე, გრძელვადიანი კრედიტების და სასესხო საშუალებების დამატებითი მოზიდვის გზით.

$$\left\{ \begin{array}{l} \pm X_1 < 0 \\ \pm X_2 < 0 \\ \pm X_3 > 0 \end{array} \right.$$

ამ დროს ფინანსური არამდგრადობა ითვლება დასაშვებად, თუ დაცულია შემდეგი პირობები:

— საწარმოო მარაგებს + მზა პროდუქცია, ტოლია ან აღემატება მოკლევადიანი კრედიტების და სასესხო თანხების (საშუალებების) ჯამს, რომლებიც მონაწილეობენ მარაგების ფორმირებაში.

— დაუსრულებელ წარმოებას პლუს შემდეგი პერიოდების ხარჯები, ტოლია ან ნაკლები საკუთარი საბრუნავი კაპიტალის ჯამზე (თანხაზე).

4. კრიზისული ფინანსური მდგომარეობა S (0, 0, 0), რომლის დროსაც ორგანიზაცია იმყოფება გაკოტრების ზღვარზე, რაღაც, ორგანიზაციის ფულადი სახსრები, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანებები, ვეღარ ფარავენ ვერც კრედიტორულ დავალიანებებს და ვერც გადაგასულ სესხებს. მოცემულ სიტუაციაში საგადასახადო ბალანსის წონასწორობა მიიღწევა შრომის ანაზღაურების, ბანკის სესხების, მომწოდებლების, ბიუჯეტის და ა.შ. ვადაგასული გადახდების ხარჯზე.

$$\left\{ \begin{array}{l} \pm X_1 < 0 \\ \pm X_3 < 0 \end{array} \right.$$

რადგანაც, ფინანსური მდგრადობის დადებით ფაქტორს წარმოადგენს მარაგების ფორმირების წყაროების არსებობა, ხოლო უარყოფითი ფაქტორია — მარაგების სიდიდე, ამიტომ,

არამდგრადი და კრიზისული ფინანსური მდგომარეობიდან (3 და 4 სიტუაცია) გამოსვლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს: მარაგების ფორმირების წყაროების შევსება და მათი სტრუქტურის ოპტიმიზაცია, ასევე, მარაგების დონის დასაბუთებული შემცირება.

მარაგების ფორმირების წყაროების შევსების კველაზე ურისკო საშუალებად უნდა მიიჩნიოთ რეალური საკუთარი კაპიტალის გაზრდა გაუნაწილებელი მოგების დაგროვების, ან დაბეგვრის შემდეგ, მოგების დაგროვების ფონდებში განაწილების ხარჯზე, ამ ფონდების ნაწილის (რომელიც არა დაბანდებული არასაბრუნავ აქტივებში) ზრდის შენარჩუნებით. მარაგების დონის შემცირება ხდება მარაგების ნაშთების დაგეგმვის, ასევე, გამოუყენებელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რეალიზაციის შედეგად.

ფინანსური მდგრადობის შეფარდებითი მაჩვენებლები (ფინანსური კოეფიციენტები) გამოითვლება, როგორც ბალანსის აქტივისა და პასივის აბსოლუტური მაჩვენებლების შეფარდება. ისინი პირობითად შეიძლება გაფეოთ ორ ჯგუფად:

1. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ საკუთარი და ნასესხები სახსრების შეფარდებას.

**ავტონომის კოეფიციენტი (K<sub>a</sub>)** (ფინანსური დამოუკიდებლობის და საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი) – ახასიათებს დამოუკიდებლობას სასესხო სახსრებიდან. იგი უჩვენებს საკუთარი კაპიტალის წილს (K<sub>s</sub>) ორგანიზაციის მთლიან თანხებში (K<sub>b</sub>)

$$K_a = K_s / K_b$$

მინიმალური ზღვრული მნიშვნელობის 0.5 დონეზე. გადაჭარბება მიუთითებს ფინანსური დამოუკიდებლობის ზრდაზე, გარედან სახსრების მოზიდვის შესაძლებლობის გაფართოებაზე.

ამ მაჩვენებლის დამატებას წარმოადგენს სასესხო კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი (K<sub>k</sub>), რომელიც უჩვენებს, თუ როგორია მოზიდული სახსრების (K<sub>m</sub>) წილი, თანხების მთლიან რაოდენობაში. გამოითვლება სასესხო კაპიტალის სიდიდის შეფარდებით ორგანიზაციის კველა თანხების საერთო ჯამთან.

$$K_k = K_m / K_b$$

ეს კოეფიციენტები ჯამში  $K_a+K_t=1$

**სასესხო და საკუთარი კაპიტალის შეფარდების კოეფიციენტი** ( $K_{ss}$ ) აჩვენებს, თუ რამდენი სასესხო თანხები მოიზიდა ორგანიზაციამ საკუთარი თანხების აქტივებში დაბანდებულ თითეულ მანეთზე. გამოითვლება, როგორც მთლიანი სასესხო კაპიტალის ( $K_t$ ) შეფარდება თრგანიზაციის საკუთარი კაპიტალის ( $K_s$ ) სიდიდესთან.

$$K_{ss}=K_s/K_t$$

ნორმალურად ითვლება მნიშვნელობა  $K_{ss}<0.7$ . ამ ზღვრული სიდიდის გადამეტება ნიშნავს, ორგანიზაციის დამოკიდებულებას გარე ფინანსურ წყაროებზე, ფინანსური დამოუკიდებლობის დაბარგვას.

**გრძელვადიანი დაბანდებების სტრუქტურის კოეფიციენტი** ( $K_g$ ) უჩვენებს, თუ არასაბრუნავი აქტივების რა ნაწილი დაფინანსდა გრძელვადიანი სასესხო თანხების ხარჯზე. ამასთან, აუცილებლად ივარაუდება, რომ გრძელვადიანი პასივები, როგორც ფულადი წყაროები, გამოიყენება სრული მოცულობით საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების სამუშაოების დასაფინანსებლად. იგი გამოინგარიშება, როგორც გრძელვადიანი პასივების ( $K_{gp}$ ) შეფარდება არასაბრუნავი აქტივების ( $K_a$ ) სიდიდესთან:

$$K_g=K_{gp}/K_a$$

**საწარმო დანიშნულების ქონების კოეფიციენტი** ( $K_q$ ) აჩვენებს საწარმო დანიშნულების ქონების ( $K_{sd}$ ) წილს ორგანიზაციის ყველა საშუალებების საერთო ღირებულებაში ( $K_b$ ). გამოითვლება, როგორც ძირითადი სახსრების, კაპიტალდაბანდებების, მოწყობილობების, საწარმოო მარაგებისა და დაუსრულებელი წარმოების ჯამის შეფარდება ორგანიზაციის მთელი ქონების ღირებულებასთან:

$$K_q=K_{sd}/K_b$$

ნორმალურად ითვლება ამ მაჩვენებლის შემდეგი შეზღუდვა:  $K_q>0.5$

როდესაც მაჩვენებელი დაიწევს მოცემულ ზღვრულ მნიშვნელობაზე დაბლა, მაშინ საწარმოო დანიშნულების ქონების გაზრდისთვის მიზანშეწონილია გრძელვადიანი სასესხო სახსრების მოზიდვა.

აღნიშნული კოეფიციენტით სარგებლობენ შეზღუდულად. იგი რეალურად სიტუაციას ასახავს მხოლოდ სამეწარმეო ორგანიზაციებში, ამასთან, სხვადასხვა დარგებში იგი იქნება არსებითად განსხვავებული.

**ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი (K<sub>fm</sub>)** მიუთითებს, თუ აქტივების რა ნაწილი ფინანსდება მდგრადი წყაროებიდან. გარდა ამისა, კოეფიციენტი გამოხატავს ორგანიზაციის დამოუკიდებლობის (ან დამოკიდებულების) ხარისხს დაფარვის მოკლევადიანი სასესხო წყაროებიდან. გამოიანგარიშება, როგორც საკუთარი და გრძელვადიანი სასესხები წყაროების სახსრების (პერმანენტული კაპიტალი - K<sub>p</sub>) ჯამის შეფარდება, ორგანიზაციის მთლიანი ქონების დირებულებასთან (K<sub>b</sub>):

$$K_{fm} = K_p / K_b$$

ნორმალურ სიდიდედ ითვლება ამ მაჩვენებლის შემდეგი მნიშვნელობა (შეზღუდვა)  $K_{fm} \geq 0.6$ .

**2.მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ საბრუნავი სახსრების მდგომარეობას:**

**საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი (K<sub>ssu</sub>)** გვიჩვენებს, რომ ორგანიზაციას გააჩნია ფინანსური მდგომარეობისთვის საჭირო საკუთარი საბრუნავი სახსრები. ეს კოეფიციენტი გამოითვლება (განისაზღვრება) ორგანიზაციის საკუთარი საბრუნავი სახსრების (K<sub>ss</sub>) სიდიდის შეფარდებით მისი საბრუნავი აქტივების საერთო სიდიდესთან (K<sub>sa</sub>):

$$K_{ssu} = K_s / K_{sa} = (K_k - K_{ars}) / K_{sa}$$

მოცემული კოეფიციენტის მინიმალური ზღვრული მნიშვნელობა შეადგენს – 0.1. რაც უფრო მაღალია მაჩვენებელი (0.5), მით უკეთესია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა, მით მეტი შესაძლებლობა გააჩნია მას აწარმოოს დამოუკიდებელი ფინანსური პოლიტიკა.

**საკუთარი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი (K<sub>man</sub>)** უჩვენებს, თუ საკუთარი კაპიტალის რა ნაწილი გამოიყენება მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად, ე.ი. ჩადებულია საბრუნავ სახსრებში, და რა ნაწილია კაპიტალიზირებული. განისაზღვრება საკუთარი საბრუნავი სახსრების (K<sub>ss</sub>) შეფარდებით საკუთარი კაპიტალის (K<sub>sk</sub>) საერთო სიდიდესთან:

$$K_{man} = K_{ss} / K_{sk}$$

ფინანსური თვალსაზრისით,  $K_{\text{man}}$ -ის ზრდა და მისი მაღალი დონე, ყოველთვის დადებითად ახასიათებს ორგანიზაციის საქმიანობას: ამ დროს უხვადაა სატურარი სახსრები, მათი დიდი ნაწილი დაბანდებულია არა ძირითად სახსრებში (საშუალებებში) და სხვა არასაბრუნავ აქტივებში, არამედ, საბრუნავ აქტივებში.

მანევრირების კოეფიციენტის თპტიმალურ სიდიდედ შეიძლება ჩაითვალოს

$$K_{\text{man}} > 0.5 \text{ მნიშვნელობა.}$$

ეს ნიშნავს, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა და მისმა მესაკუთრებმა უნდა დაიცვან საკუთარი სახსრების მობილური და იმობილური ხასიათის აქტივებში დაბანდების პარიტეტული პრინციპი, რაც უზრუნველყოფს ბალანსის საკმარის ლიკვიდობას. ოუმცა, საჭიროა შესასწავლი ორგანიზაციის საქმიანობის ხასიათის გათვალისწინება. მაგალითად, ფონდტევად წარმოქმდება ამ კოეფიციენტის ნორმალური დონე იქნება უფრო ნაკლები, ვიდრე მასალატევადებში, რადგან საკუთარი სახსრების დიდი ნაწილი წარმოადგენს ძირითადი საწარმოო ფონდებისა და სხვა არასაბრუნავი აქტივების დაფარვის წყაროს.

მანევრირების კოეფიციენტი უნდა იზრდებოდეს, თანაც, საკუთარი წყაროების ზრდის ტემპი უნდა უსწრებდეს ძირითადი სახსრების და არასაბრუნავი აქტივების ზრდის ტემპებს. ამ მიზნით აუცილებელია მათი შედარება.

**მატერიალური მარაგების უზრუნველყოფის კოეფიციენტი ( $K_{\text{mmu}}$ )** საკუთარი საბრუნავი სახსრებით – გვიჩვენებს, თუ რა ხარისხითაა მატერიალური მარაგები დაფარული საკუთარი სახსრებით და არ საჭიროებენ ხესხების მოზიდვას. გამოითვლება, როგორც საკუთარი საბრუნავი სახსრების ( $K_{\text{ss}}$ ) სიდიდის შეფარდება მარაგებისა და ხარჯების საერთო სიდიდესთან ( $K_{\text{mx}}$ ):

$$K_{\text{mmu}} = K_{\text{ss}} / K_{\text{mx}} = (K_s - K_{\text{ars}}) / K_{\text{mx}}$$

ნორმალურია შემდეგი მნიშვნელობები  $K_{\text{mmu}} < 0.6...0.8$ .

ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი უნდა ჩატარდეს კოეფიციენტების გამოთვლით და მიღებული მნიშვნელობების შედარებით დადგენილ ბაზისურ მნიშვნელობებთან. ასევე, უნდა მოხდეს მათი ცვლის დინამიკის შესწავლა დროის განსაზღვრულ პერიოდში.

ბაზისური სიდიდეები შეიძლება იყოს:

- გასული პერიოდის მაჩვენებლების მნიშვნელობები;

- მაჩვენებლების საშუალო დარგობრივი მნიშვნელობები;
- კონკურენტების მაჩვენებლების მნიშვნელობები;
- შედარებითი (ფარდობითი) მაჩვენებლების თეორიულად დასაბუთებული, ან საექსპერტო გამოკითხვით დადგენილი, ან კრიტიკული მნიშვნელობები.

### **საკონტროლო კითხვები:**

1. რა არის ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ამოცანა?;
2. რა მაჩვენებლებს იყენებენ მარაგების წყაროების და სახსრების ფორმირების დასახასიათებლად?;
3. ჩამოთვალეთ ორგანიზაციის ფინანსური სიტუაციები;
4. რა მაჩვენებლები ახასიათებენ საკუთარი და ნასესხები სახსრების ოანაფარდობას?;
5. რა მაჩვენებლები ახასიათებენ საბრუნავი სახსრების მდგომარეობას?

## **13. ორგანიზაციის ლიკვიდურობის და გადახდის შენარჩინობის პრესკრიპტი**

### **13.1. ბალანსის ლიკვიდურობის შეფასება და ანალიზი**

ბალანსის ლიკვიდურობის შეფასებისა და ანალიზის მოთხოვნილება ჩნდება მაშინ, როდესაც გაძლიერებულია ფინანსური შეზღუდვები და აუცილებელია ორგანიზაციის კრედიტურის შეფასება. ანუ, თუ რამდენად შესწევს ორგანიზაციას იმის უნარი, რომ დროულად და სრულად გაანალიზოს ყველა თავისი ვალდებულებები.

ბალანსის ლიკვიდურობის ანალიზის მიზანია ორგანიზაციის კრედიტურის შეფასება, ანუ, თუ რამდენად შესწევს ორგანიზაციას იმის უნარი, რომ დროულად და სრულად გაანალიზოს ყველა თავისი ვალდებულებები.

ბალანსის ლიკვიდურობა განისაზღვრება, როგორც ორგანიზაციის ვალდებულებების მისი აქტივებით დაფარვის ხარისხი, რომელთა ნადა ფულად გარდაქმნის ვადა ეთანადება (შეესაბამება) საგადასახალო ვალდებულებების დაფარვის ვადებს.

ბალანსის ლიკვიდურობა იმით განსხვავდება აქტივების ლიკვიდურობისგან, რომ იგი განისაზღვრება, როგორც იმ დროის შებრუნებული სიდიდე, რაც აუცილებელია მათ გარდასაქმნელად ფულად საშუალებებად (რაც უფრო ნაკლები დრო სჭირდება იმას, რომ მოცემული სახის აქტივებმა მიიღოს ფულის სახე, მით მაღალია მისი ლიკვიდურობა).

ბალანსის ლიკვიდურობის ანალიზის დროს უნდა მოხდეს აქტივების მიხედვით სახსრების (დაჯგუფებული უნდა იყოს მათი ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით, და განლაგებული უნდა იყოს ლიკვიდურობის შემცირების მიხედვით) შედარება, პასივების მიხედვით ვალდებულებებთან (დაჯგუფებული უნდა იყოს მათი დაფარვის ვადების მიხედვით და განლაგებული უნდა იყოს ვადების ზრდის მიხედვით).

ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით ორგანიზაციის აქტივები უნდა დაჯგუფდეს შემდეგნაირად.

**1.ყველაზე უფრო ლიკვიდური აქტივები (A1)** – მათ მიეკუთვნება საწარმოს ფულადი სახსრების ყველა მუხლები და მოკლევადიანი ფინანსური დაბახდებები (ფასიანი ქაღალდები).

**2.სწრაფად რეალიზებული აქტივები (A2)** – დებიტორული დავალიანება, რომლის მიხედვით გადახდები უნდა მოხდეს საანგარიშო თარიღიდან (ვადიდან) 12-თვის მანძილზე.

**3.ნელდ რეალიზებადი აქტივები (A3)** – ბალანსის აქტივის ის მუხლი, რომელშიც შედის მარაგები, დამატებითი ღირებულების

გადასახადი, დებიტორული დავალიანება (რომელთა მიხედვით გადახდა ნავარაუდევია საანგარიშო თარიღიდან 12 თვის შემდეგ) და სხვა საბრუნავი აქტივები.

**4.ძნელად რეალიზებადი აქტივები (A4)** – ბალანსის აქტივის არასაბრუნავი აქტივები.

ბალანსის პასივები დაჯგუფებულია მათი გადახდის სისწრაფის მიხედვით.

**1.ყველაზე სასწრაფო გალდებულებები (P1)** – მათ მიეკუთვნება კრედიტორული დავალიანება.

**2.მოკლევადიანი პასივები (P2)** – ესენია მოკლევადიანი სასესხო სახსრები, დავალიანება შემოსავლების მიმღები პირების მიმართ, სხვა სახის მოკლევადიანი პასივები.

**3.გრძელვადიანი პასივები (P3)** – ესენია ბალანსის მუხლები, რომლებსაც მიეკუთვნება გრძელვადიანი კრედიტები და სასესხო სახსრები, ასევე, მომავალი პერიოდების შემოსავლები, მომავალი ხარჯების და გადასახადების რეზერვები.

**4.მუდმივი ან მდგრადი პასივები** – ესენია ბალანსის „კაპიტალი და რეზერვები“.

ბალანსის ლიკვიდურობის განსაზღვრისთვის უნდა შევადაროთ ერთმანეთს აქტივების და პასივების მიხედვით მოყვანილი ჯგუფების შედეგები. ბალანსი ითვლება აბსოლუტურად ლიკვიდურად, თუ ერთდროულად სრულდება შემდეგი პირობები:

A1≥P1; A2≥P2; A3≥P3; A4≤P4

მეოთხე უტოლობა ატარებს „დამაბალანსებელ“ ხასიათს და იმავდროულად შეიცავს დრმა ეკონომიკურ შინაარსს: მისი შესრულება ადასტურებს ფინანსური მდგრადობის მინიმალური პირობების დაცვას – ორგანიზაციას გააჩნია საკუთარი საბრუნავი სახსრები.

როცა ერთ ან რამოდენიმე უტოლობას აქვს ოპტიმალურ ვარიანტში დაფიქსირებული ნიშნის საპირისპირო ნიშანი, მაშინ ბალანსის ლიკვიდურობა მეტი ან ნაკლები ხარისხით განსხვავდება აბსოლუტურიდან. ამასთან, სახსრების ნაკლებობა აქტივების ერთ რომელიმე ჯგუფში, კომპენსირდება მათი ნამეტით (სიჭარბით) მეორე ჯგუფში, თუმცა, ამ დროს კომპენსაციას ადგილი აქვს მხოლოდ დირებულების სიდიდის მიხედვით, რადგანაც რეალურ საგადასახადო სიტუაციაში ნაკლებად ლიკვიდური აქტივები ვერ ჩაენაცვლება მეტად ლიკვიდურებს.

## 13.2. გადახდაუნარიანობის ანალიზი და შეფასება

გადახდაუნარიანობის (გადახდისუნარიანობის) ანალიზი და შეფასება ხდება გადახდისუნარიანობის კოეფიციენტების საშუალებით, რომლებიც არიან ფარდობითი სიდიდეები და ასახავენ ორგანიზაციის შესაძლებლობას (უნარს) დაფაროს მოკლევადიანი დავალიანება საბრუნავი აქტივების ამა თუ იმ ელექტრობის ხარჯზე.

**გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები:**

1. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი (ფულადი სახსრების ნორმა) ( $K_{al}$ ) აჩვენებს, თუ მიმდინარე (მოკლევადიანი) ვალდებულებების რა ნაწილი შეიძლება დაიფაროს ცენტრული დაგვიდური საბრუნავი აქტივებით. იგი განისაზღვრება ფულადი სახსრების ( $M$ ) და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებების ( $F_m$ ) შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან ( $V_m$ ):

$$K_{al} = (M + F_m) / V_m$$

მიღებულია ჩაითვალოს, რომ აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტის ნორმალური დონე უნდა იყოს 0.1...0.7 (დამოკიდებულია ორგანიზაციის დარგობრივ კუთვნილებაზე). მისი დაბალი მნიშვნელობა მიუთითებს ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის შემცირებაზე.

2. „პრიტკული შეფასების“ კოეფიციენტი ( $K_k$ ) უწვენებს, თუ ორგანიზაციის მიმდინარე (მოკლევადიანი) ვალდებულებების რა ნაწილი შეიძლება საწრაფოდ დაიფაროს ცულადი სახსრების, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების დირებულებების, ასევე, ანგარიშსწორებიდან შემოსული შემოსავლების ხარჯზე. სხვანაირად, ასახავს ორგანიზაციის საგადასახადო შესაძლებლობებს დებიტორებთან დროულად წარმოებული ანგარიშსწორების პირობებში. იგი განისაზღვრება ფულადი სახსრების ( $M$ ), მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებების ( $F_m$ ) და დებიტორებთან ანგარიშსწორების ( $D_a$ ) მობილური სახსრების ჯამის შეფარდებით, მიმდინარე ვალდებულებებთან:

$$K_k = (M + F_m + D_a) / V_m$$

დასაშვები მნიშვნელობა შეადგენს 0.7...0.8; სასურველია ამ კოეფიციენტის მნიშვნელობის გაზრდა 1-დე. მისი დაბალი მნიშვნელობა მიუთითებს დებიტორებთან მუდმივი მუშაობის აუცილებლობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს საბრუნავი

სახსრების ყველაზე უფრო ლიკვიდური ნაწილის ფულადი სახით მიმღებების (ბრუნვის) შესაძლებლობა ანგარიშეორების განსახორციელებლად.

**3.მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (K<sub>ml</sub>)** გამოხატავს ორგანიზაციის საბრუნავი სახსრების საკმარისობას, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ორგანიზაციის მოკლევადიანი გალდებულებების დასაფარად. ახასიათებს სიმტკიცის მარაგს, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როცა ლიკვიდური ქონების დირებულება ადემატება ვალდებულებებით ნაკისრს. განისაზღვრება მიმდინარე ან საბრუნავი აქტივების (A<sub>m</sub>) შეფარდებით მიმდინარე ან მოკლევადიან ვალდებულებებთან

$$K_{ml} = A_m / V_m$$

აუცილებელი მნიშვნელობა შეადგენს 1.5; ოპტიმალური 2.0...3.5. ქვედა საზღვარი მიუთითებს იმაზე, რომ საბრუნავი სახსრები საკმარისია იმისათვის, რომ ორგანიზაციამ შეძლოს თავისი მოკლევადიანი გალდებულებების დაფარვა. არასასურველია, როდესაც საბრუნავი აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს, რადგანაც ეს მიუთითებს საკუთარი სახსრების არარაციონალურ დაბანდებასა და მათ არაეფექტურ გამოყენებაზე.

ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის დონის სწორი შეფასებისთვის, აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- ორგანიზაციის საქმიანობის ხასიათი (მაგ., სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციებს აქვთ მარაგების დიდი ხვედრითი წონა და უფლადი სახსრების მცირე ხვედრითი წონა; საცალო გაჭრობის ორგანიზაციებში მაღალია უფლადი სახსრების წილი და ასევე მაღალია გასაყიდი საქონლის მოცულობაც);
- დებიტორებთან ანგარიშეორების პირობები: დებიტორული დავალიანების შემოსვლა დროის მოკლე შუალედებში, საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) შესყიდვის შედეგად, იწვევს დიდ წილს მყიდველების ვალების საბრუნავი აქტივების შემადგენლობაში, და პირიქით;
- მარაგების მდგომარეობა: ორგანიზაციას შეიძლება პქონდეს მარაგების ზედმეტი ან ნაკლები რაოდენობა იმასთან შედარებით, რაც აუცილებელია უწევები საქმიანობისთვის;

- დებიტორული დავალიანების მდგომარეობა: მის შემადგენლობაში ვადაგასული და უიმედო ვალების არსებობა ან არარსებობა.
- ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის დაკარგვის ძირითადი მიზეზებია:
- პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის დაქვემდება;
- პროდუქციის თვითღირებულების გაზრდა;
- გეგმით გათვალისწინებული მოგების თანხის არასრულად მიუღებლობა
- ორგანიზაციის საბრუნავი სახსრების არარაციონალური გამოყენება;
- საბრუნავი აქტივების ფორმირებისთვის საქუთარი წყაროების არასაკმარისობა;
- კონტრაგენტების გადახდისუნარობა;
- დაბეგბრის მაღალი დონე.

### 13.3. გაკოტრების ალბათობის დიაგნოსტიკის მეთოდები

**გაკოტრება** – ესაა სასამართლოს მიერ აღიარებული ან მოვალის მიერ გამოცხადებული სამეურნეო სუბიექტის უუნარობა, სახსრების უქონლობის გამო, სრული მოცულობით დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნა ფულადი ვალდებულებების შესრულების შესახებ, შეასრულოს სავალდებულო გადასახდელების გადახდის ვალდებულება, ასევე, დააფინანსოს მიმდინარე ძირითადი საქმიანობა.

გაკოტრების ძირითადი ნიშანია – საწარმოს უუნარობა უზრუნველყოს კრედიტორების მოთხოვნების შესრულება გადახდების დაწყების ვადიდან 3 თვის მანძილზე. ამ ვადის გასვლისთანავე კრედიტორებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს, რათა მან გაკოტრებულად ცნოს მოვალე საწარმო.

გაკოტრების ალბათობის დიაგნოსტირებისთვის გამოიყენება რამდენიმე მეთოდი, რომლებიც ეფუძნება:

- 1) კრიტერიუმების და ნიშნების ფართო სისტემის ანალიზს;
- 2) შეზღუდული წრის მაჩვენებლებს;
- 3) ინტეგრალურ მაჩვენებლებს, რომლებიც გამოთვლილია:

- სკორინგული მოდელების;
- მრავალგანზომილებიანი რეიტინგული ანალიზის;

• მულტიპლიკატორულ-დისკრიმინანტული ანალიზის საშუალებით.

პირველი მეთოდის გამოყენების დროს, გაპოტრების ნიშნები, თანახმად იმ რეკომენდაციისა, რომელსაც იძლევა აუდიტორული პრაქტიკის განზოგადების პრაქტიკა, უნდა დაიყოს 2 ჯგუფად.

1.მაჩვენებლები, რომლებიც ადასტურებენ მოსალოდნელ ფინანსურ სიძნელეებს და გაპოტრების ალბათობას უახლოეს მომავალში:

- განმეორებადი მნიშვნელოვანი დანაკარგები ძირითად საქმიანობაში, რომელიც გამოიხატება წარმოების ქრონიკულ დაცემაში, გაყიდვების მოცულობის შეკვეცასა და ქრონიკულ ზარალიანობაში;

- ქრონიკულად ვაღაგადაცილებული კრედიტორული და დებიტორული დავალიანებების არსებობა;

- ლიკვიდურობის კოეფიციენტების მცირე მნიშვნელობები და მათი შემცირების ტენდენციები;

- სასესხო კაპიტალის წილის გადიდება, საშიშ საზღვრებამდე, მის საერთო რაოდენობაში (თანხაში);

- საკუთარი საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი;

- კაპიტალის ბრუნვის სანგრძლივობის სისტემატური ზრდა;

- ნედლეულის და მზა პროდუქციის ზენორმატიული მარაგების არსებობა;

- ახალი ფინანსური რესურსების წყაროების გამოყენება არამომგებიანი პირობებით;

- არახელსაყრელი ცვლილებები შეკვეთების პაპეტში;

- საწარმოო პოტენციალის დაჭვითება და ა.შ.

2.მაჩვენებლები, რომელთა არახელსაყრელი მნიშვნელობები არ იძლევა საფუძველს, რომ მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა შევაფასოთ, როგორც კრიტიკული, თუმცა, მიგვანიშნებენ მომავალში მის მკვეთრ გაუარესებაზე, თუ არ იქნება მიღებული მოქმედი დონისძიებები:

- საწარმოს მეტისმეტი დამოკიდებულება ერთ რომელიმე კონკრეტულ პროექტზე, მაგ., როგორიცაა: მოწყობილობის, აქტივების სახის, ნედლეულის ან გასაღების ბაზრის პროექტები;

- მთავარი კონტრაგენტების დაკარგვა;

- ტექნიკისა და ტექნოლოგიის განახლების აუცილებლობის შეუფასებლობა;
- მართვის აპარატის გამოცდილი თანამშრომლების გაშვება (დაკარგვა);
- იძულებითი მოცდენები, არარიტეტული მუშაობა;
- არაეფექტური გრძელვადიანი ხელშეკრულობები;
- არასაპარისი კაპიტალური დაბანდებები და ა.შ.

შესაძლო გაკოტრების ინდიკატორების ამ სისტემის ღირსებად შეიძლება ჩავთვალოთ სისტემური და კომპლექსური მიღებომა, ხოლო ნაკლად – მრავალკრიტერიუმიანი ამოცანის პირობებში, გადაწყვეტილებების მიღების სირთულის მაღალი ხარისხი, გამოთვლილი მაჩვენებლების ინფორმაციული ხასიათი, პროგნოზული გადაწყვეტილების სუბიექტურობა.

საწარმოს გაკოტრების დიაგნოსტიკის მეორე მეთოდი – შეზღუდული წრის მაჩვენებლების გამოყენება, რომლებიც ქმნიან ბალანსის სტრუქტურის შესაფახებადი კრიტერიუმების სისტემას სშირად გამოიყენება საწარმოს გაკოტრების რეჟიმში მოსაქცევად.

ორგანიზაციის გაკოტრების ალბათობის ანალიზის დროს შეიძლება სარგებლობა ინტეგრირებული მაჩვენებლით, რომელიც ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის ანალიზის საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილია, როგორც ალტმანის Z – ანგარიში, იგი გამოითვლება ფორმულით:

$$Z_{\text{ანგარიში}} = 1.2K_1 + 1.4K_2 + 3.3K_3 + 0.6K_4 + K_5,$$

სადაც  $K_1$  - საბრუნავი კაპიტალის წილი ორგანიზაციის აქტივებში;  $K_2$  - გაუნაწილებელი მოგების წილი ორგანიზაციის აქტივებში (აქტივების რენტაბულობა);  $K_3$  – რეალიზაციიდან მიღებული მოგების შეფარდება ორგანიზაციის აქტივებთან;  $K_4$  – ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების საბაზო დირექტორების შეფარდება ორგანიზაციის პასივებთან;  $K_5$  – გაყიდვების მოცულობის შეფარდება აქტივებთან.

„Z-ანგარიშის“ მნიშვნელობის მიხედვით ხდება საწარმოს გაკოტრების ალბათობის შეფასება განსაზღვრული სკალის მიხედვით, რომელიც მოცემულია 3-ე ცხრილში.

ეს მოდელი მისაღებია საქართველოს პირობებში, მხოლოდ საქციო საზოგადოებისათვის, რომელთა აქციები თავისუფლად იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ე.ი. გააჩნიათ საბაზრო დირექტულება.

არსებობს ალტმანის სხვა მოდელიც, რომლის გამოყენება შესაძლებელია არა მარტო დია ტიპის საქციო საზოგადოების შემთხვევაში. მასში ასევე ჩართულია ხუთი მაჩვენებელი, მაგრამ სხვა კონსტანტებით (მუდმივებით):

$$Z_{\text{ანგარიში}} = 0.717K_1 + 0.847K_2 + 3.107K_3 + 0.42K_4 + K_5,$$

სადაც  $K_1$  - საკუთარი საბრუნავი კაპიტალის შეფარდება, ორგანიზაციის აქტივების სიდიდესთან;  $K_2$  - სუფთა მოგების შეფარდება ორგანიზაციის აქტივების სიდიდესთან, ე.ი. ეკონომიკური რენტაბელობა;  $K_3$  - პროცენტების და გადასახადების გადახდამდე მოგების შეფარდება, ორგანიზაციის აქტივების სიდიდესთან;  $K_4$  - საკუთარი კაპიტალის სიდიდის შეფარდება ორგანიზაციის სახესხო კაპიტალის სიდიდესთან;  $K_5$  - პროდუქციის გაყიდვით მიღებული ამონაგების შეფარდება ორგანიზაციის აქტივების სიდიდესთან, ე.ი. რესურსების გაცემა.

თუ მაჩვენებლის სიდიდე  $Z < 1.23$ , მაშინ გაპოტრების ალბათობა ძალიან მაღალია, ხოლო თუ  $Z > 1.23$ , მაშინ ორგანიზაციის გაკოტრება არ ემუქრება უახლოეს მომავალში.

საქართველოში გაკოტრების საკითხის გადაწყვეტა რეგულირდება კანონით “გადახდისუფნარობის საქმის წარმოების შესახებ”, რომლის თანახმად გაკოტრების საქმის განხილვა ხორციელდება სასამარტლოში კერძო საჩივრის საფუძველზე.

**ორგანიზაციის გაკოტრების ალბათობის განსაზღვრა  
ალტმანის  $Z$  – ანგარიშის მიხედვით (ერთ წელიშვიდში)**

$Z$ – ანგარიშის მიხედვიდნება $Z \leq 1.8$	გაკოტრების დადგომის ალბათობა ძალიან მაღალი
--	---

1.8< Z≤2.7	მაღალი
2.7< Z≤2.9	შესაძლო
Z>2.9	ძალიან დაბალი

გაკოტრების საქმის წარმოება იწყება მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად სასამართლოს მიერ გაკოტრების შესახებ გამოტრილი განჩინების გამოქვეყნებიდან.

გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას.

გაკოტრების პროცესში საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობას ახორციელებს გაკოტრების მმართველი. მას ნიშნავენ კრედიტორები გაკოტრების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში. კრედიტორთა გადაწყვეტილებას განჩინებით ამტკიცებს სასამართლო. გაკოტრების მმართველი შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

გაკოტრების მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები. პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია საბანკო გარანტის ან/და პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება.

სამეურვეო ქონება იყიდება მხოლოდ აუქციონის გზით. გაკოტრების მმართველმა აუქციონის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვანავე უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია აუქციონის ჩატარებისა და მისი თარიღის თაობაზე. ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს გაკოტრების მმართველი.

პირველი აუქციონი ტარდება გაკოტრების მმართველის დანიშნიდან 30-ე დღეს მთლიანად სამეურვეო ქონების ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით გაყიდვის მიზნით. მისი საწყისი ფასი კანონის მე-40 მუხლით განსაზღვრული ყველა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების ჯამზე ნაკლები არ უნდა იყოს. ოუპირველ აუქციონზე სამეურვეო ქონება ვერ გაიყიდა, მაშინ პირველი აუქციონიდან 30-ე დღეს ჩატარდება მეორე აუქციონი.

მეორე აუქციონზე კრედიტორთა გადაწყვეტილებით გასაყიდად გამოიტანება მთლიანად სამეურვეო ქონება ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით გაყიდვის მიზნით. მისი საწყისი ფასი კანონით განსაზღვრული პირველი, მეორე, მესამე და

მეოთხე რიგის კრედიტორთა მოთხოვნების ჯამის ტოლი უნდა იყოს.

მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონების გაუყიდველობის შემთხვევაში უზრუნველყოფილ და ახალ კრედიტორთა შეთანხმებით შესაძლებელია მოხდეს უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილება მათვის უზრუნველყოფის საგნების საკუთრებაში გადაცემით.

აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს აუქციონის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს გაკოტრების მმართველი.

კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა ასეთია:

- ა) პირველი რიგი – საპროცესო ხარჯები;
- ბ) მეორე რიგი – გადახდისუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის თარიღიდან მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება;
- გ) მესამე რიგი – მეურვის დანიშვნასთან და მის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და ანაზღაურება;
- დ) მეოთხე რიგი – ყველა უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მათ შორის, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;
- ე) მეხუთე რიგი – საგადასახადო დაგალიანებები;
- ვ) მექვესე რიგი – ყველა დანარჩენი აღიარებული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა;
- ზ) მეშვიდე რიგი – დაგვიანებით წარდგენილი კრედიტორთა მოთხოვნები.

ყველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ კრედიტორთა შეთანხმებით (ერთხმად) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ გასანაწილებელი თანხა საგმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.

გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა ინფორმაციის შესაბამისად სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების შესახებ.

სამეურვეო ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა შეინახება სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე და განაწილდება გაკოტრების პროცესის დასრულებიდან არა უადრეს 3 თვისა.

### საკონტროლო კითხები:

1. რა არის ბალანსის ლიკვიდურობა?;
2. ჩამოთვალეთ აქტივები მათი ლიკვიდურობის დონის შესაბამისად;
3. ჩამოთვალეთ პასივები მათი გადახდის სისტრაფის მიხედვით;
4. როგორია პირობა აბსოლუტურად ლიკვიდური ბალანსის დროს?;
5. დაახასიათეთ გადახდის უნარიანობის მაჩვენებლები;
6. რა არის გადახდის უნარიანობის დაკარგვის ძირითადი მიზეზი?
7. რა არის გაკოტრება და როგორ განისაზღვრება მისი ალბათობა?;
8. როგორია გაკოტრების პროცედურა გადახდის უუნარობის შემთხვევაში?

## 14. ორგანიზაციის სამიანი აძლიშვილის ანალიზი

საბაზო ორგანიზაციის პირობებში ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობა განპირობებულია მისი აქტივობით.

ორგანიზაციის საქმიანი აქტივობის მთავარ ხარისხობრივ და ორგანიზაციის კრიტერიუმებს შეადგენს: რა მაჩვენებლები ახასიათებენ

- პროდუქციის გასაღების ბაზების სიფართოვე;
- ორგანიზაციის რეპუტაცია;
- სამუშაო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების გეგმის ხარისხი და მათი ზრდის მოცულები ტემპების უზრუნველყოფა;
- რესურსების გამოყენების დონე (კაპიტალის გამოყენების დონე);
- ეკონომიკური ზრდის მდგრადარენტაბილურობა.

ორგანიზაციის საქმიანობა შეიძლება დახასიათდეს განსხვავებული მაჩვენებლებით, რომელთა შორის ძირითადებია: რეალიზაციის (სამუშაოები, მომსახურება) მოცულობა, მოგება, საწარმოს აქტივების სიდიდე (აგანსირებული კაპიტალის).

მითითებული მაჩვენებლების დინამიკის შეფასებისას, აუცილებელია მათი ცვლის ტემპების შედარება. ოპტიმალურია შემდეგი თანაფარდობა

$$T_m^b > T_m^r > T_k^a > 100\%$$

სადაც  $T_m^b, T_m^r, T_k^a$  - წარმოადგენერ საბაზო მოგების, რეალიზაციის მოცულობის, აქტივები (კაპიტალის) ცვლილების ტემპებს პროცენტებში.

მოცულები თანაფარდობა მიუთითებს შემდეგ გარემოებაზე:

ჯერ-ერთი, მოგება იზრდება უფრო მაღალი ტემპებით, ვიდრე პროდუქციის გაყიდვის მოცულობა, რაც მიუთითებს წარმოების და ბრუნვის ხარჯების შედარებით (შეფარდებით) შემცირებაზე;

მეორეს მხრივ, გაყიდვების მოცულობა იზრდება უფრო მაღალი ტემპებით, ვიდრე ორგანიზაციის აქტივები (კაპიტალი), ე.ი. ორგანიზაციის რესურსები გამოიყენება უფრო ეფექტურად;

მესამე, ორგანიზაციის ეკონომიკური პოტენციალი გაიზარდა წინა პერიოდთან შედარებით.

განხილული თანაფარდობას მსოფლიო პრაქტიკაში უწოდებენ „ორგანიზაციის ეკონომიკური ოქროს წეს“. თუმცა, თუ

ორგანიზაციის საქმიანობა მოითხოვს სახსრების (კაპიტალის) მნიშვნელოვან დაბანდებას, რომლებიც შეიძლება ანაზღაურდეს და მოგებაც მოიტანოს სანგრძლივ (მეტ-ნაკლებად) პერსპექტივაში, მაშინ მოსალოდნელია გადახრები ამ წესიდან. მაშინ ეს გადახრები არ უნდა შეფასდეს ნეგატიურად. ასეთი გადახრების წარმოქმნის მიზეზებს მიეცუთვნება: კაპიტალის გამოყენება წარმოების ახალი ტექნოლოგიების ათვისების, გადამუშავების, პროდუქციის შენახვის, მოქმედი ორგანიზაციების მოდერნიზაციის და რეკონსტრუქციის სფეროებში.

მსოფლიო პრაქტიკაში სააქციო ორგანიზაციების საქმიანი აქტივობა ხასიათდება ეკონომიკური განვითარების ან ზრდის მდგრამარეობის ხარისხით. ეკონომიკური განვითარების მდგრადობა მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზაციას არ ემუქრება გაკოტრება. ხოლო, არამდგრადი განვითარების დროს, მოსალოდნელია გაკოტრება. ამიტომ, ორგანიზაციის ხელმძღვანელთა წინაშე დგას ამოცანა – უზრუნველყონ ორგანიზაციის ეკონომიკური განვითარების მდგრადი ტემპები.

როგორია ზრდის მდგრადი ტემპების შენარჩუნების მეთოდები?

როგორც ცნობილია, ორგანიზაციის საქმიანობის მოცულობის გადიდება (პროდუქციის გამოშვება და გაეყიდვა) დამოკიდებულია მისი ქონების ზრდაზე, ე.ი. აქტივებზე. ამისათვის საჭიროა დამატებითი ფინანსური რესურსები. ამ რესურსების შემოსელი შესაძლებელია მოხდეს შიდა და გარე ფინანსური წყაროებიდან. დაფინანსების შიდა წყაროებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება მოგება, რომელიც მიმართულია წარმოების განვითარებაზე (რეინვესტირებული მოგება) და დარიცხული ამორტიზაცია. ისინი აგსტენ ორგანიზაციის საკუთარ კაპიტალს. საკუთარი კაპიტალის გაზრდა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს გარედან, აქციების ემისიის გზით. თუმცა, მათი გამოშვება და რეალიზაცია საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დამოუკიდებლობას მართვის გადაწყვეტილებების მიღების დროს (ფინანსური სტრატეგიის, დივიდენდების პოლიტიკის და სხვა განხორციელებაში). გარდა ამისა, ფინანსური რესურსების დამატებითი შემოსვლა შესაძლებელია განხორციელდეს ისეთი წყაროებიდან, როგორიცაა – საბანკო კრედიტები, სესხები, კრედიტორების სახსრები. ამასთან, სასესხო სახსრების ზრდა უნდა შეიზღუდოს ოპტიმალური ზღვრული მნიშვნელობით, რადგან სასესხო კაპიტალის წილის გაზრდით მკაცრდება დაკრედიტების

პირობები, ორგანიზაციას უწნდება დამატებითი ხარჯები, იზრდება ორგანიზაციის გაკოტრების ალბათობა.

აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის ეპონომიკური განვითარების ტემპები, პირველ რიგში, განისაზღვრება რეინვესტირებული საკუთარი ფულადი საშუალებების ზრდის ტემპებით. ეს უკანასკნელი (ზრდის ტემპი) დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელებიც ასახავენ მიმდინარე (რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობა, საბუთარი სახსრების ბრუნვადობა) და ფინანსური (დივიდენდების პოლიტიკა, ფინანსური სტრატეგია, კაპიტალის სტრუქტურის ამორჩევა) საქმიანობის ეფექტურობას.

სასწავლო-ანალიტიკურ პრაქტიკაში, ორგანიზაციის საკუთარი სახსრების რეინვესტირების ხარჯზე, ძირითადი საქმიანობის გაფართოების საკითხში, ორგანიზაციის შესაძლებლობებს განსაზღვრავენ ზრდის მდგრადობის კოეფიციენტის ( $K_z$ ) საშუალებით, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$K_z = (P_s - D_a) / K_s = P_{wg} / K_s$$

სადაც  $P_s$  - წმინდა მოგება, რომელიც რჩება ორგანიზაციის განკარგულებაში;  $D_a$  - აქციონერებისთვის გადასახდელი დივიდენდები;  $P_{wg}$  - წარმოების განვითარებაზე მიმართული მოგება (რეინვესტირებული მოგება);  $K_s$  - საკუთარი კაპიტალი (კაპიტალი და რეზერვები).

**ეპონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტი** გვიჩვენებს, თუ როგორია ორგანიზაციის ეპონომიკური პოტენციალის საშუალო ზრდის ტემპი.

იმის შესაფასებლად, თუ რა გავლენას ახდენს ეფექტური ფინანსურ-სამუშარენეო საქმიანობა ორგანიზაციის მდგრადი განვითარების ხარისხზე, ჩვეულებრივ იყენებენ შემდეგ ფაქტორულ მოდელს:

$$K_{ef} = \frac{P_s}{P_s} \cdot \frac{P_s}{B_r} \cdot \frac{B_r}{K_z} \cdot \frac{K_z}{K_s}$$

$$\begin{array}{cccc} 1 & 11 & 111 & IV \\ \text{ფაქტორი} & \text{ფაქტორი} & \text{ფაქტორი} & \text{ფაქტორი} \end{array}$$

1 - (პირველი) ფაქტორი - გამოხატავს ორგანიზაციის დივიდენდების პოლიტიკას, რომლის მიზანია აირჩიოს

ეკონომიკურად მიზანშეწონილი თანაფარდობა გადასახდელ დივიდენდებსა და მოგებას შორის, რომელიც რეინვესტირდება წარმოების განვითარებაში;

2 - (მეორე) ფაქტორი - გამოხატავს რეალიზებული პროდუქციის (სამუშაოები, მომსახურება) რენტაბელობას;

3 - (მესამე) ფაქტორი - ახასიათებს რესურსგაცემას ან ფონდგაცემას;

4 - (მეოთხე) ფაქტორი - ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი, ახასიათებს თანაფარდობას სასესხო და საკუთარი სახსრების წყაროებს შორის.

მოდელი ასახავს საწარმოს, როგორც საწარმო (მეორე და მესამე ფაქტორები), ისე ფინანსური (პირველი და მეოთხე ფაქტორი) საქმიანობის ზემოქმედებას მდგრადი ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტზე.

მოყვანილი ფაქტორული მოდელი შეიძლება გაფართოვდეს მასში ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვნენებლების დამატებით, როგორიცაა: ორგანიზაციის უზრუნველყოფა საკუთარი საბრუნავი სახსრებით ( $K_{sss}$ ), მიმდინარე აქტივების ლიკვიდურობა ( $A_l$ ), საბრუნავი სახსრების ბრუნვადობა, ორგანიზაციის მოკლევადიანი ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შეფარდება ( $V_m$ ). ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციანტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით (ფაქტორული მოდელის გაფართოების შემდეგ):

$$K_{ef} = \frac{P_s}{P_s} \cdot \frac{P_s}{B_r} \cdot \frac{B_r}{K_{sss}} \cdot \frac{K_{sss}}{A_l} \cdot \frac{A_l}{V_m} \cdot \frac{V_m}{B_r} \cdot \frac{B_r}{K_s}$$

1            2            3            4            5            6            7  
ფაქტორი ფაქტორი ფაქტორი ფაქტორი ფაქტორი ფაქტორი ფაქტორი

1 - პირველი ფაქტორი - წარმოებაში რეინვესტირებული მოგების ნაწილი, განისაზღვრება განვითარებაზე მიმართული მოგების შეფარდებით სუფთა მოგების თანხასთან;

2 - მეორე ფაქტორი - რეალიზებული პროდუქციის (სამუშაო, მომსახურება) რენტაბელობა, განისაზღვრება სუფთა მოგების შეფარდებით პროდუქციის რეალიზაციით მიღებულ ამონაგებთან;

3 - მესამე ფაქტორი - საკუთარი საბრუნავი სახსრების ბრუნვადობა, განისაზღვრება პროდუქციის (სამუშაოები,

- მომსახურება) რეალიზაციით მიღებული ამონაგების შეფარდებით საკუთარი საბრუნავი სახსრების ჯამზე;
- 4 – მეოთხე ფაქტორი – საქუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფილობა, განისაზღვრება საქუთარი საბრუნავი სახსრების შეფარდებით მიმდინარე აქტივების (საბრუნავი სახსრების) თანხასთან;
- 5 – მეხუთე ფაქტორი – მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, განისაზღვრება მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებების თანხაზე;
- 6 – მეექვე ფაქტორი – მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილი ორგანიზაციის კაპიტალში, განისაზღვრება მიმდინარე ვალდებულებების შეფარდებით ბალანსის ვალუტასთან (შედეგთან);
- 7 – მეშვიდე ფაქტორი – ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი, განისაზღვრება ბალანსის ვალუტის (შედეგის) შეფარდებით ორგანიზაციის საქუთარ სახსრებთან.
- ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტის დინამიკის ფაქტორულ ანალიზს ახორციელებენ ბუღალტრული ბალანსის მონაცემების საფუძველზე.
- ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტის მრავალფაქტორული მოდელის გამოყენება აღრიცხვა-ანალიზის პრაქტიკაში, გვეხმარება, მოვახდინოთ ორგანიზაციის განვითარების ტემპების პროგნოზირება, ამასთან, გავითვალისწინოთ გაკოტრების რისკებიც.

### **საკონტროლო კითხვები:**

1. ჩამოთვალეთ ორგანიზაციის საქმიანი აქტივობის კრიტერიუმები;
2. როგორია “ორგანიზაციი ეკონომიკის ოქროს წესი?”;
3. როგორ განისაზღვრება ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტი და მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენა?

## ՖԱՏԵՇՐՈ ՀԱՑԱԼՈՒՑՈ

ուշա ՝ըգոնոմիցյրո անալունո, մուս Ռունո մարտզուս ևուբյանու“

### 1. Եցոնոմիցյրո անալունո ֆարմագցենս:

- ա) դամոյցուղցելեց մյունոյրյօնած;
- ի) „մյունոյրյօնած“ մյունոյրյօնած նախուն;
- չ) եպցուալոյր մյունոյրյօնած;
- ք) „սածյալութրո ալրուցեցու“ մյունոյրյօնած նախուն.

### 2. Եցոնոմիցյրո անալունո ֆարմագցենս:

- ա) մարտզուս;
- ի) սածյալութրո ալրուցեցուս;
- չ) ունանսյրո մյունոյրյօնած;
- ք) դագցեմուս;

յրու-յրու ոյսյեկցուս.

### 3. մարտզուս էրուցեսուս Շնոնարհունաճ գամռմջոնարյ գամռյոյցյն յգոնոմիցյրո անալունուս ևաեցեծ:

- ա) մմարտզուղունուս ևա ևագարյո ունանսյրուս;
- ի) սրյալս ևա մյուրիյցունուս;
- չ) ոյսյեկցույր-լուրյեցյալյենունուս, մյուրիյցունուս, ոյակիորյալս, մարյոնալոյրուս, սածալոնսուս ևա յորյելացույրուս;
- ք) յըրսկյեկիոյուլս (Քոնաբիարյ), ոպյրաբոյուլս ևա մոմցոնարյուս (րյերուսկյեկիոյուլս).

### 4. մոյուտուցու մմարտզուղունունու գաճաճյացըթունուցյօնած մուղյօնուս յըրաձյենուս տանմումցյըշունուա:

- ա) անալունոյրո յինընցուղյունուց;
- ի) գաճաճյացըթունուցյօնած մուղյօնուս այլիս;
- չ) ոնցորմացույլս յինընցուղյունուց;
- ք) վարմուցյօնած յայումիւրունուս նրունու րյենըրյունուս գամռուցյնա.

### 5. մարտզուս ևյօյէլյենուս (մուսարցելուցյօնած) մուեցուտ գամռյոյցյն յգոնոմիցյր անալունուս:

- ա) յոմէլյենոյրուս, լուրցուղուս ևա տյմաճյուրուս;
- ի) մարտզուս ևա գարյեշյ ունանսյրուս;
- չ) Ծյենոյցյր-յգոնոմիցյրուս, սուցուալյուր-յգոնոմիցյրուս, սագարյուր-յգոնոմիցյրուս, յգոլուցույրուս ևա մարկյեթունցյալս;
- ք) յըրուուցյալս ևա յրույշյըրաճ արաձյարուուցյալս.

**6. საწარმოს საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის შესწავლის ძირითადი მიღებობებია:**

- ა) საწარმოს მართვის სისტემის შეფასება;
- ბ) საწარმოს საქმიანობის კომპლექსური შესწავლა;
- გ) წარმოების „სუსტი ადგილების“ განსაზღვრა;
- დ) საბუღალტო აღრიცხვის მონაცემების სისტემატიზაცია.

**7. ეკონომიკური ანალიზი პირველ რიგში ხელს უწყობს:**

- ა) გეგმების დასაბუთებას და მართვის გადაწყვეტილებების მიღებას;
- ბ) წარმოების ეფექტურობის ზრდის რეზერვების გამოვლენას;
- გ) საწარმოს საქმიანობის შედეგების შეფასებას.
- დ) გადახდისუნარიანობის გაზრდას.

**8. მართვის სისტემაში ეკონომიკური ანალიზი მიეკუთვნება:**

- ა) სამართავ სისტემას;
- ბ) მმართველ სისტემას;
- გ) მართვის ფუნქციებს;
- დ) მართვის კატეგორიებს.

**9. კომერციული თავისებურებები საქმიანობის საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ანალიზის მდგრადარეობს:**

- ა) ჩატარების მიზნებისა და ვადების ცვლილებაში;
- ბ) მისი ამოცანების და ფუნქციების შეცვლაში;
- გ) საწყისი ინფორმაციის წინააღმდეგობრიობაში;
- დ) საშუალო დონის მენეჯერების მონაწილეობაში.

**10. ეკონომიკური ანალიზი, როგორც მეცნიერება, მიეკუთვნება შემდეგი ეკონომიკური მეცნიერებების ჯგუფს:**

- ა) აბსტრაქტულებს;
- ბ) გამოყენებითს;
- გ) დარგობრივებს;
- დ) სპეციალურს.

**თემა „ეკონომიკური ანალიზის საგანი, ამოცანები, შინაარსი და სახეები“**

**1. იმისათვის, რომ ეკონომიკური მეცნიერება ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ მეცნიერებად, საჭიროა შესრულდეს შემდეგი პირობები:**

- ა) უნდა არსებობდეს კვლევის დამოუკიდებელი საგანი და მეთოდი, კადრების შემსწავლელი ობიექტები, უნდა მოხდეს ცოდნის სისტემის დაგროვება, ე.ი. მისი სისტემატიზაცია;
- ბ) უნდა არსებობდეს კვლევის დამოუკიდებელი საგანი, ანალიზის უნივერსალური მეთოდები, ანალიზის სუბიექტები, შესწავლის ობიექტები, ეკონომიკის მოთხოვნილება აღნიშნულ მეცნიერებაზე;
- გ) უნდა არსებობდეს კვლევის საგანი, კვლევის უნივერსალური მეთოდები, შესწავლის სუბიექტები, ანალიზის ობიექტების კავშირი, კადრების მომზადების სისტემები;
- დ) უნდა არსებობდეს კვლევის დამოუკიდებელი საგანი, მეთოდების ერთობლიობა, ობიექტები (განსაკუთრებით კი ეკონომიკის).

**2. ეკონომიკური ანალიზის საგანი შეისწავლის:**

- ა) ეკონომიკური მოვლენების და პროცესების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მაკროეკონომიკურ დონეზე;
- ბ) სამეურნეო პროცესებს საწარმოს დონეზე, მათ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტურობას, სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ შედეგებს;
- გ) სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მოვლენებს დარგის დონეზე;
- დ) საწარმოს ფუნქციონირების გარე გარემოს.

**3. ყველაზე უფრო სრულად პასუხობს ანალიზის არსეს, თუ რა განსხვავებაა ეკონომიკურ ანალიზსა და საბუღალტრო აღრიცხვას შორის შემდეგი კითხება:**

- ა) რა იყო (რა მოხდა) საწარმოს ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობაში საანგარიშო პერიოდში?
- ბ) რა მივიღეთ?
- გ) როგორ მოხდა ყველაფერი?
- დ) როგორ ხდება ყველაფერი და რა იქნება?

**4. სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის მიზანია:**

- ა) საწარმოს საბუღდალტრო აღრიცხვის სისტემის ფუნქციონირების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა;
- ბ) საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, გადაცემა და შენახვა;
- გ) მისაღები მართვის გადაწყვეტილებების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა;
- დ) აუდიტორული საქმიანობის საინფორმაციო-ანალიზური უზრუნველყოფა.

## **5. სამეცნიერო საქმიანობის ექონომიკური ანალიზის ფუნქციებს (ამოცანებს) არ მიეცუთვნება:**

- ა) რეზერვების მოძიება საწარმოს ფუნქციონირების ეფექტურობის ზრდის მიზნით;
- ბ) ფასების სტრატეგიის შემუშავება ახალ საქონელზე;
- გ) სამეცნიერო საქმიანობის შედეგებზე შიდა და გარე ფაქტორების გავლენის შესწავლა;
- დ) მიღებული მართვის გადაწყვეტილებების შესრულების მიხედვით საწარმოს საქმიანობის შედეგების შეფასება.

## **6. ექონომიკური ანალიზის შინაარსი – ესაა:**

- ა) „ეპონომიკური ანალიზის საგანის“ – ცნების სინონიმი;
- ბ) ექონომიკური ანალიზის „ობიექტის“ ცნების სინონიმი;
- გ) ექონომიკური ანალიზის ცნებების – „საგანი“, „ობიექტი“ და მეთოდი“ – ერთობლიობა.

## **7. ექონომიკური ანალიზის შინაარსი განისაზღვრება:**

- ა) მიზნით;
- ბ) ამოცანებით და მიზნით;
- გ) ნორმატივებით;
- დ) მაკონტროლებელი ორგანიზაციების შემოწმების აქტებით.

## **8. ექონომიკური ანალიზის ობიექტების შესწავლისადმი სისტემური მიღება ნიშნავს, რომ:**

- ა) კვლევის დროს გადადიან საერთო ფაქტორებიდან კერძოზე;
- ბ) ოთორეული ექონომიკური მოვლენა განიხილება, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული მრავალი ელემენტებისგან შემდგარი სისტემა;
- გ) კვლევის დროს კერძოდან გადადიან საერთოზე;
- დ) კვლევის დროს ავლენენ ობიექტებს შორის რაოდენობრივ კავშირებს.

**9. በດიይქტების შესწავლის მეთოდების მიხედვით გამოყოფენ ეკონომიკურ ანალიზს:**

- ა) ფუნქციურ-ლირებულებითს, შედარებითს, ფაქტორულს, მარჯინალურს, ბალანსურს და კორელაციურს;
- ბ) მართვის და გარე ფინანსურს;
- გ) სრულს და შერჩევითს;
- დ) პერსპექტიულს (წინასწარი), ოპერატიულს და მიმდინარეს (რეტროსპექტული).

**10. სივრცითი ნიშნის მიხედვით გამოყოფენ ეკონომიკურ ანალიზს:**

- ა) სრულს და შერჩევითს;
- ბ) კომპლექსურს, ლოკალურს და თემატურს;
- გ) შიდასამეურნეოს და სამეურნეობათაშორისს;
- დ) ტექნიკურ-ეკონომიკურს, სოციალურ-ეკონომიკურს, საგარეო ეკონომიკურს, ეკოლოგიურს და მარკეტინგულს.

**11. პროგრამის შინაარსის (შესასწავლო საკითხების) მიხედვით ეკონომიკური ანალიზი შეიძლება იყოს:**

- ა) სრული და შერჩევითი;
- ბ) მთლიანი და თემატური;
- გ) კომპლექსური და თემატური;
- დ) შერჩევითი და თემატური.

**12. ჩატარების დროის მიხედვით ეკონომიკური ანალიზი იყოფა:**

- ა) მიმდინარედ და პერსპექტიულად;
- ბ) სრულად და თემატურად;
- გ) კომპლექსურად და თემატურად;
- დ) მარტივად და როულად.

**13. საბუღალტრო ოპერატიული და სტატისტიკური აღრიცხვა და ანგარიშგება მიეკუთვნება:**

- ა) სააღრიცხვო;
- ბ) არასააღრიცხვო;
- გ) პირველად;
- დ) კომპლექსურ
- ანალიზის წყაროს.

**14. დაადგინეთ აღნიშნული მახასიათებლების შესაბამისობა ეპონომიკური ანალიზის სახეების მიხედვით:**

ეპონომიკური ანალიზის სახე	მახასიათებელი
1. სოციალურ-ეკონომიკური	ა) შიდა სამურნეო და გარე ეკონომიკური ინფორმაციის შესწავლა მიღებული მართვის გადაწყვეტილებების დასაბუთების მიზნით; ბ) საწარმოს ფუნქციონირების გარე გარემოს, პროდუქციის გასაღების ბაზრის, მისი კონკურენტუარიანობის, პროდუქციაზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების, ფასების პოლიტიკის შესწავლა.
2. მარკეტინგული	გ) სოციალური და ეკონომიკური პროცესების ურთიერობების, მათი ერთმანეთზე და სამურნეო საქმიანობის ეპონომიკურ შედეგებზე გავლენის შესწავლა; დ) სამურნეო საქმიანობის ერთანი თვისებების შესწავლა, ამ საქმიანობის სხვადასხვა მხარეებსა და ასპექტებს შორის ყოველმხრივი კავშირების და დამოკიდებულებების გამოვლენა.

**15. ყველაზე უფრო არსებითად უნდა ჩაითვალოს ეპონომიკური ანალიზის კაგშირი ისეთ მომიჯნავე მეცნიერებასთან, როგორიცაა:**

- ა) მენეჯმენტი;
  - ბ) სტატისტიკა;
  - გ) საბუღალტრო აღრიცხვა;
  - დ) ეკონომიკური თეორია.
- თემა „ეკონომიკური ანალიზის მეთოდი და მეთოდიკა“

**1. მიუთითეთ საწარმოში ანალიზური მუშაობის რეალიზაციის ეტაპების თანმიმდევრობა:**

- ა) ფაქტიური მაჩვენებლების შედარება გეგმიურთან, წინა წლების მონაცემებთან და ანალოგიური საწარმოების მაჩვენებლებთან;
- ბ) ძირითადი მაჩვენებლების ფაქტორული ანალიზის ჩატარება;
- გ) საწყისი ინფორმაციის მიერანა შესაღარებელ სახემდე;
- დ) წარმოების ეფექტურობის ამაღლების რეზერვების გამოვლენა.

- 2. ეგონომიკური ანალიზის მეთოდის ცნებაში იგულისხმება:**
- დინამიკაში გაშლილი ანალიზური მეთოდი;
  - მრავლობითი კორელაციის მეთოდი;
  - სამეცნიერო პროცესების შესწავლისადმი დიალექტიკური მიღობის მეთოდი;
  - აბსტრაქტული მეთოდი.
- 3. ეგონომიკური ანალიზის მეთოდის ფუძემდებელ პრინციპებს ვერ ასახავს დიალექტიკის ჩამოთვლილი ნიშნები:**
- ანალიზისა და სინთეზის ერთობა;
  - ეკონომიკური მოვლენების შესწავლა მათ ურთიერთკავშირში;
  - ეკონომიკური მოვლენების შესწავლა განვითარებასა და დინამიკაში;
  - დაპირისპირებულთა ერთიანობა და ბრძოლა.
- 4. ანალიზის ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებს მიეკუთვნება:**
- ოპერაციის კვლევის მეთოდი;
  - ტრენდული ანალიზი;
  - კოეფიციენტური ანალიზი;
  - პორიზონტალური ანალიზი.
- 5. ანალიზის მეთოდს, რომელიც გულისხმობს ერთგვაროვანი ობიექტების შედარებას, მათ შორის მსგავსების ან განსხვავებების მოსანახად, უწოდებენ:**
- გრაფიკულს;
  - ფაქტორულს;
  - შერჩევითი და სრული დაკვირვების მეთოდს;
  - შედარების მეთოდს.
- 6. ანალიზის ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებს მიეკუთვნება:**
- ვარიაციული ალრიცხვა;
  - ტრენდული ანალიზი;
  - ფაქტორული ანალიზი;
  - ვერტიკალური ანალიზი.
- 7. თავისი შინაარსით ეგონომიკური ანალიზის მაჩვენებლების კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგი სახით:**
- საერთო და სპეციფიკურები;
  - განმაზოგადოებლები, კერძო და დამხმარეები;

- გ) რაოდენობრივები, სტრუქტურულები და ხარისხიანები;  
დ) სტრუქტურული, კრიტერიუმები.

**8. მიზეზ-შედეგობრივი კავშირების კვლევისას, მაჩვენებლები იყოფა:**

- ა) განმაზოგადოებლად და სპეციფიკურად;  
ბ) განმაზოგადოებლად, კერძოდ და დამხმარეებად;  
გ) ფაქტორულად და შედეგიანებად;  
დ) მარტივად და სრულყოფილად.

**9. სამეურნეო საქმიანობის შესწავლის დამამთავრებელ სტადიას წარმოადგენს:**

- ა) ანალიზის შედეგების განზოგადება;  
ბ) ორგანიზაციულ-ტექნიკური რეკომენდაციების შემუშავება;  
გ) ანგარიშის შედგენა;  
დ) ანალიზის შედეგების გაცნობა შრომითი კოლექტივისთვის.

**10. საგნების და მოვლენების შემცნების მეთოდს, რომელიც ეფუძნება მთელის შემადგენელ ნაწილებად დაშლას და შემდეგ ამ ნაწილების შესწავლას მათი ურთიერთკაგშირის, ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთგანპირობებულობის პირობებში, ეწოდება:**

- ა) სინთეზი;  
ბ) დედუქცია;  
გ) ლოგიკა;  
დ) ანალიზი.

**11. ანალიზური კვლევის ეტაპებია:**

- ა) საწარმოს საქმიანობის შესწავლა, შედეგიან მაჩვენებლებზე ფაქტორების გავლენის შეფასება;  
ბ) ანალიზური ინფორმაციის შეგროვება, კონკრეტური მაჩვენებლების ანგარიში, ფაქტორული და შედეგიანი მაჩვენებლების ურთიერთკაგშირის შესწავლა;  
გ) კვლევის პროგრამის მომზადება, ანალიზური ინფორმაციის შეგროვება, ეკონომიკური მაჩვენებლების ანგარიში, ფაქტორთა გავლენის განზოგადება;  
დ) საბუღალტრო და სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, მათი დახარისხება, შედეგების განზოგადოება.

**12. ანალიზის მაჩვენებელთა სისტემის აგების დროს განმსაზღვრელი ფაქტორებია:**

- ა) ანალიზის მიზანი, კვლევის სიღრმე, დასკვნების სინთეზის ხარისხი, საინფორმაციო ბაზა;
- ბ) დეტალიზაციის ხარისხი, საინფორმაციო ბაზა;
- გ) ანალიზის მიზანი, კვლევის მეთოდოლოგია, დეტალიზაციის ხარისხი, საინფორმაციო ბაზა;
- დ) მიზანი, მეთოდები და ანალიზის საინფორმაციო ბაზა.

**13. ამა თუ იმ ეპონომიკური მოვლენების შემადგენელი ელემენტების გამოყოფას, შესასწავლ ობიექტში უფრო მნიშვნელოვანი და მთავარი საკითხის დასადგენად, ეწოდება:**

- ა) სისტემატიზაცია;
- ბ) განხოგადება;
- გ) დეტალიზაცია;
- დ) გამარტივება.

**14. როდესაც სარგებლობენ ინდუქციის მეთოდით, მაშინ ეპონომიკური პროცესების კვლევა იწყება:**

- ა) ანალიზის მთავარი ობიექტების განსაზღვრით;
- ბ) ცალკეული სამეცნიერო ფაქტის შეფასებით;
- გ) ოპტიმალური გადაწყვეტილებების მონახვით;
- დ) საბუღალტრო აღრიცხვის რევიზიის ჩატარებით.

**15. საკვლევი მაჩვენებლების ურთიერთკავშირის შესწავლის მიზნით ახდენენ შედარებას:**

- ა) გეგმიური მაჩვენებლებისას ფაქტიურთან;
- ბ) ფაქტიური მაჩვენებლებისას ხორმატიულთან;
- გ) პარალელურ და დინამიკურ მწერივებად (რიგებად).
- დ) ფაქტიური მაჩვენებლებისას სხვა საწარმოს გეგმიურ მაჩვენებლებთან.

**თემა „დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზის წესი“**

**1. ფაქტორული ანალიზი წარმოადგენს:**

- ა) ეპონომიკური ამოცანების გადაწყვეტის ოპტიმალური გარიანტის მონახვის წესს;

- ბ) ეკონომიკური და ეკოლოგიური პროცესების  
ურთიერთკავშირის კვლევის წესს;  
გ) წარმოების ეფექტურობის გაზრდისთვის საჭირო რეზერვების  
გამოვლენის მეთოდს;  
ღ) მეთოდს, რომლის დანიშნულებაა გამოავლინოს ფაქტორების  
გავლენა შედეგიანი მაჩვენებლების დონესა და ნამატებები.

## **2. ფაქტორული ანალიზის ყველაზე უფრო უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს:**

- ა) ჯაჭვური შენაცვლების (ჩასმის) მეთოდი;  
ბ) ინდექსთა მეთოდი;  
გ) შედარებითი სხვაობების მეთოდი; (პირობითი სხვაობების  
მეთოდი);  
ღ) ინტეგრალური მეთოდი.

## **3. ფაქტორული მოდელი $Y = (X_1 - X_2) \cdot X_3$ მიეკუთვნება**

- ა) ადიტიური მოდელების;  
ბ) მულტიპლიკაციური მოდელების;  
გ) ჯერადი მოდელების;  
ღ) ადიტიურ-მულტიპლიკაციური მოდელების რიცხვს.

## **4. მათემატიკური განტოლება**

$$Y = \sum_{i=1}^n X_i = X_1 + X_2 + X_3 + \dots + X_n, \quad \text{რომელიც} \quad \text{გამოხატავს}$$

შედეგობრივი მაჩვენებლის ურთიერთკავშირს რამდენიმე  
ფაქტორულ მაჩვენებლთან, მიეკუთვნება:

- ა) ფაქტორული მოდელების ტანს;  
ბ) სინოეზურ მოდელებს;  
გ) მატრიცულ მოდელებს;  
ღ) არაწრფივ მოდელებს.

## **5. ჯერადი დეტერმინირებული ფაქტორული მოდელების კლასის მიმართ არ გამოიყენება მათი გარდაქმნის (მოდელირების) წესი:**

- ა) ფაქტორული სისტემის გაგრძელება;  
ბ) ფაქტორული სისტემის გაფართოება;  
გ) ფაქტორული სისტემის შემცირება (შეკვეცა);  
ღ) ფაქტორული სისტემის გაორება (ორად გაყოფა).

6. მათემატიკური განტოლება  $y = \frac{a+b}{c}$ , რომელიც გამოხატავს

შედეგობრივი (რეზულტატური) მაჩვენებლის ურთიერთკავშირს რამდენიმე ფაქტორულ მაჩვენებელთან, მიეკუთვნება:

- ა) ფაქტორული მოდელების ტიპს;
- ბ) ანალიზური მოდელების ტიპს;
- გ) დინამიური მოდელების ტიპს;
- დ) სტატიური მოდელების ტიპს.

7. ანალიზის მეთოდს, რომლის დროსაც გამორიცხულია რიგი ფაქტორების მოქმედება რეზულტატურ მაჩვენებელზე და გამოიწევა ერთ-ერთი მათგანი, უწოდებენ:

- ა) დინამიკის მწკრივებს;
- ბ) ელიმინირებას;
- გ) დეტალიზაციას;
- დ) საბალანსო შეთანხმებას (კავშირს).

8. მათემატიკური განტოლება  $y=(a+b)\cdot c$ , რომელიც გამოხატავს რეზულტატური მაჩვენებლის ურთიერთკავშირს რამდენიმე ფაქტორულ მაჩვენებელთან, მიეკუთვნება ფაქტორული მოდელების

- ა) ადიგიურ;
- ბ) მულტიპლიკაციურ;
- გ) ჯერადულ;
- დ) შერეულ (კომბინირებულ).

ტიპს

9. ფაქტორული მოდელის გაფართოების მოდელი ვარაუდობს:

- ა) ფაქტორების დაშლას შესაკრებლებად;
- ბ) ფაქტორების გამრავლებას ერთსადაიმავე რიცხვზე;
- გ) ფაქტორების გამრავლებას და გაყოფას სხვადასხვა რიცხვებზე;
- დ) ფაქტორების გამრავლებას და გაყოფას ერთსადაიმავე რიცხვზე.

10. ელიმინირება გამოიყენება მეთოდური ხერხის დროს:

- ა) წილობრივი მონაწილეობისას;
- ბ) ბალანსურის;

- გ) შედარების;  
დ) ჯაჭვური შენაცვლების.

**11. ჯაჭვური შენაცვლებების წესის დროს იყენებენ:**

- ა) გამოსაანგარიშებელ ფორმულაში შემავალი კერძო მაჩვენებლების საანგარიშო სიდიდის თანმიმდევრულ შეცვლას მათი ბაზისური მნიშვნელობით და იმ გავლენის შეფასებას, რაც მოახდინა ჩატარებულმა შეცვლამ რეზულტატური მაჩვენებლის სიდიდეზე;
- ბ) გამოსაანგარიშებელ ფორმულაში შემავალი კერძო მაჩვენებლების საანგარიშო სიდიდის შერჩევით შეცვლას მათი ბაზისური მნიშვნელობით და იმ გავლენის შეფასებას, რაც მოახდინა ჩატარებულმა შეცვლამ რეზულტატური მაჩვენებლის სიდიდეზე;
- გ) გამოსათვლელ ფორმულაში შემავალი კერძო მაჩვენებლების საბაზისო სიდიდის თანმიმდევრულ შეცვლას მათი საანგარიშო მნიშვნელობით, და იმ გავლენის შეფასებას, რაც მოახდინა ჩატარებულმა შეცვლამ რეზულტატური მაჩვენებლის სიდიდეზე;
- დ) გამოსათვლელ ფორმულაში შემავალი კერძო მაჩვენებლების დამოკიდებულ თავისუფალ შეცვლას და ბაზისური მაჩვენებლების შეცვლას ფაქტიური მაჩვენებლებით.

**12. ინტეგრალური ხერხის გამოყენება საშუალებას იძლევა თავი აგარიდოთ ჯაჭვური შეცვლების (ჩასმების) მეთოდის შემდეგი ტიპის ხარვეზებს:**

- ა) საბაზისო ფაქტორული მნიშვნელობების ფაქტიურით მკვეთრ შეცვლას;
- ბ) გამოსათვლების შრომატევადობას;
- გ) მაჩვენებლების ზრდის ტემპების დამატებით ანგარიშს;
- დ) ანალიზური მოდელების შედგენას.

**თემა „შრომითი რესურსების ანალიზი“**

- 1. სამუშაო დროის გამოყენებას ახასიათებს შემდეგი მაჩვენებელი:**
- ა) საშუალო საათობრივი გამომუშავება;
- ბ) კადრების დენადობის კოეფიციენტი;
- გ) სამუშაო დღის ხანგრძლივობა;

დ) პერსონალის მიღების ბრუნვა.

**2. შრომითი რუსების გამოყენება და შრომის ანაზღაურების ფონდი ითვლება ეფექტურად, თუ:**

- ა) შრომის ანაზღაურების ზრდის საშუალო ინდექსი წინ უსწრებს ერთი მუშაკის წლიური გამომუშავების ზრდის ინდექსს;
- ბ) ერთი მუშაკის წლიური გამომუშავების ზრდის ინდექსი წინ უსწრებს შრომის ანაზღაურების საშუალო ზრდის ინდექსს;
- გ) შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპები წინ უსწრებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს;
- დ) შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპები უდრის შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს.

**3. საწარმოს შრომითი რესურსების ხარისხობრივი შემადგენლობის ანალიზისთვის არ გამოიყენება პერსონალის დაჯგუფება შემდეგი ნიშნის მიხედვით:**

- ა) ასაკის;
- ბ) განათლების;
- გ) მუშაობის სტაჟის და კვალიფიკაციის;
- დ) დაკავებული თანამდებობების.

**4. პერსონალის სამსახურიდან წასვლის ბრუნვის კოეფიციენტი იანგარიშება, როგორც**

- ა) სამსახურში მიღებული პერსონალის;
- ბ) განთავისუფლებული მუშაკების;
- გ) საკუთარი სურვილით და შრომის დისციპლინის დარღვევის გამო განთავისუფლებული მუშაკების;
- დ) მოელი წელი მომუშავე მუშაკების.

**რაოდენობის შეფარდება პერსონალის საშუალო სიის მონაცემთან.**

**5. პერსონალის სამსახურიდან წასვლის ბრუნვის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც განთავისუფლებული მუშაკების რაოდენობის შეფარდება შემდეგ მონაცემთან:**

- ა) წლის დასაწყისისთვის პერსონალის რაოდენობასთან;
- ბ) წლის ბოლოსთვის პერსონალის რაოდენობასთან;
- გ) პერსონალის საშუალო სიით მაჩვენებელთან;
- დ) პერსონალის საშუალო ოვის მაჩვენებელთან.

**6. ხელფასის ფონდის ფაქტიური სიდიდის შეფარდებითი (ფარდობითი) გადახრა გეგმიურიდან გამოითვლება შემდეგი ფორმულით:**

- ა) ხელფასის ფაქტიურ სიდიდეს (ხფს) – ხელფასის გეგმიური სიდიდე (ხგს);
- ბ) ხელფასის ფაქტიურ სიდიდეს (ხფს) – ხელფასის გეგმიური სიდიდე X ამონაგების ზრდის ტემპის კოეფიციენტზე+ხელფასის გეგმიური მუდმივი ნაწილი;
- გ) ხელფასის ფაქტიურ სიდიდეს (ხფს); – ხელფასის გეგმიური სიდიდე (ხგს) X ამონაგების ზრდის ტემპების კოეფიციენტზე;
- დ) გეგმიური ხელფასის სიდიდე X ამონაგების ზრდის ტემპის კოეფიციენტზე – ხელფასის ფაქტიური სიდიდე (ხფს).

**7. პროდუქციის საშუალო წლიური გამომუშავება (ღირებულებით ერთეულში) საშუალო სიითი მონაცემის მიხედვით, ერთ მუშაკზე გათვალით, განისაზღვრება, როგორც:**

- ა) პროდუქციის ღირებულების შეფარდება საწარმოს მუშების საშუალო სიით რაოდენობასთან;
- ბ) საწარმოს მუშების საშუალო სიითი რაოდენობა გაყოფილი პროდუქციის ღირებულებასთან;
- გ) ნამრავლი, პერსონალის მთლიან რაოდენობაში საწარმოს მუშების ხვედრითი წონისა მათ საშუალო წლიურ გამომუშავებზე;
- დ) ნამრავლი, ფონდაღჭურვის დონისა მუშაკების საშუალო სიით რაოდენობაზე.

**8. სამუშაო ძალის გადაადგილების დასახასიათებლად იუნგბენ შემდეგ ძოგვიციენტს:**

- ა) მუშაკების მიღების ბრუნვის;
- ბ) მათი წასვლის ბრუნვის;
- გ) კადრების დენადობის;
- დ) განახლების.

**9. შრომითი რესურსების და შრომის ანაზღაურების ფონდის გამოყენება ეფექტურია, თუ:**

- ა) შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპები წინ უსწრებენ მისი შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპებს;
- ბ) შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპები წინ უსწრებენ მისი ანაზღაურების ტემპებს;
- გ) საშუალო ხელფასის ზრდის ინდექსი წინ უსწრებს ერთი მუშაკის წლიური გამომუშავების ზრდის ინდექსს;

დ) საშუალო ხელფასის ზრდის ინდექსი უდრის ერთი მუშაკის წლიური გამომუშავების ზრდის ინდექსს.

#### **10. კადრების დენადობის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც:**

- ა) სამსახურში მიღებული პერსონალის;
- ბ) დათხოვნილი მუშაკების;
- გ) საკუთარი ნებით დათხოვნილი და შრომის დისციპლინის დარღვევის გამო განთავისუფლებული მუშაკების;
- დ) წლის განმავლობაში მომუშავე მუშაკების.

რაოდენობის შეფარდება საშუალო სიით რაოდენობასთან

**11. დაადგინეთ შესაბამისობა შრომის ნაყოფიერების შეფასების მაჩვენებლებსა და სახელფასო ფონდის ეფექტურ გამოყენებას შორის:**

<b>შეფასება</b>	<b>მაჩვენებლები</b>
1. შრომის ნაყოფიერების	<p>ა) ერთი მომუშავის მიერ საათში საშუალოდ გამომუშავებული პროდუქცია, ხელფასის წილი პროდუქციის თვითღირებულებაში, გარკვეული სახის სამუშაოების ერთეულის შესრულებაზე დახარჯული დრო;</p>
2. სახელფასო ფონდის გამოყენების ეფექტურობის	<p>ბ) ამნაგები ხელფასის ერთ მანეთზე, მოგება ხელფასის ერთ მანეთზე, ხელფასის წილი ამნაგების ერთ მანეთზე, ხელფასის წილი პროდუქციის თვითღირებულებაში;</p> <p>გ) პროდუქციის შრომატევადობა, ხელფასის წილი ამნაგების ერთ მანეთზე, ხელფასის წილი პროდუქციის თვითღირებულებაში, გარკვეული სახის სამუშაოების ერთეულის შესრულებაზე დახარჯული დრო;</p> <p>დ) ერთი მუშაკის მიერ პროდუქციის საშუალო წლიური და საშუალო სათობრივი გამომუშავება, ლირებულების სახით გამოხატული პროდუქციის გამომუშავება საშუალო სიით მოცემულ ერთ მუშაკზე, პროდუქციის შრომატევადობა.</p>

**12. პერსონალის მიღების ბრუნვის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც სამსახურში მიღებული მუშაკების რაოდენობის შეფარდება:**

- ა) წლის დასაწყისისთვის პერსონალის რაოდენობასთან;
- ბ) წლის ბოლოსთვის პერსონალის რაოდენობასთან;
- გ) პერსონალის საშუალო სიით რაოდენობასთან;
- დ) მუშაკების საშუალო წლიურ რაოდენობასთან.

13. საანგარიშო პერიოდში საწარმოს პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 12-ით და შეადგინა 98 ადამიანი. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 5400 ათასი ლარიდან 5600 ათას ლარამდე. პროდუქციის ნამატი შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად, უდრის:

- ა) 19 600; ბ) 2400; გ) 17 200. დ) 20000

ათას ლარს.

14. ძირითადი წარმოების ერთი მუშაკის შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 2%-ით, ხოლო ხელფასი დარიცხვებით – 4%-ით, რაც ადასტურებს:

- ა) სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირებას;
- ბ) შრომისნაყოფიერების და ხელფასის ზრდის ტემპების არარაციონალურ თანაფარდობას;
- გ) პროდუქციის შრომატევადობას და შრომის ფონდალჭურვას;
- დ) გამომუშავების გაზრდას.

თემა „ძირითადი საწარმოო ფონდების შემადგენლობის, მოძრაობისა და გამოყენების ეფექტურობის ანალიზი“

## 1. ძირითადი სახსრების ფონდუკუგება არის:

- ა) წლიური გაყიდვების მოცულობის დირებულების შეფარდება ძირითადი სახსრების საშუალო წლიურ დირებულებასთან;
- ბ) ძირითადი სახსრების საშუალო წლიური დირებულების შეფარდება პროდუქციის წლიური გაყიდვების მოცულობის დირებულებასთან;
- გ) პროდუქციის წლიური გაყიდვების მოცულობის დირებულების შეფარდება წმინდა მოგების სიდიდესთან;
- დ) პროდუქციის წლიური გაყიდვების მოცულობის შეფარდება ფონდტევადობასთან.

**2. თუ ფონდადჭურვის ტემპები აღემატება ფონდუკუგების ზრდის ტემპებს, მაშინ საწარმოში სჭარბობს განვითარების შემდეგი მიმართულება:**

- ა) ექსტენსიური;
- ბ) ინტენსიური;
- გ) შერეული;
- დ) კომბინირებული.

**3. ძირითადი სახსრების ხარჯების დონე პროდუქციის ერთგულზე განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:**

- ა) ფონდადჭურვის;
- ბ) ფონდტევადობის;
- გ) ფონდუკუგების;
- დ) ფონდუზრუნველყოფის.

**4. თუ ფონდადჭურვის ზრდის ტემპები აღემატება ფონდუკუგების ზრდის ტემპებს, მაშინ საწარმოში ჭარბობს**

- ა) ექსტენსიური;
  - ბ) ინტენსიური;
  - გ) შერეული;
  - დ) კომბინირებული.
- განვითარების მიმართულება.**

**5. ძირითადი ფონდების გამოყენება ითვლება ეფექტურად, თუ:**

- ა) პროდუქციის შეფარდებითი ნაზრდი აღემატება ძირითადი ფონდების დირებულების შეფარდებით ნაზრდს;
- ბ) ძირითადი ფონდების დირებულების შეფარდებითი ნაზრდი აღემატება მოგების შეფარდებით ნაზრდს;
- გ) ამორტიზებული ანარიცხვების შეფარდებითი ნაზრდი აღემატება პროდუქციის თვითდირებულების შეფარდებით ნაზრდს;
- დ) პროდუქციის შეფარდებითი ნაზრდი აღემატება გაყიდვებით მიღებული მოგების შეფარდებით ნაზრდს.

**6. საწარმოს ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიურ ნაწილებს მიეკუთვნება:**

- ა) საწარმოო შენობები;
- ბ) ნაგებობები და გადასაცემი მოწყობილობები;
- გ) მანქანები და ხელსაწყოები;
- დ) მიწის ნაკვეთები.

**7. ძირითადი სახსრების ამორიცხვის კოფიციენტი გამოითვლება, როგორც:**

- ა) საანგარიშო პერიოდში ამორიცხული ძირითადი სახსრების ღირებულების შეფარდება პერიოდის ბოლოსთვის ძირითადი სახსრების ღირებულებასთან;
- ბ) საანგარიშო პერიოდში ამორიცხული ძირითადი სახსრების ღირებულების შეფარდება პერიოდის დასაწყისისთვის ძირითადი სახსრების ღირებულებასთან;
- გ) პერიოდის ბოლოსთვის ძირითადი სახსრების ღირებულების შეფარდება საანგარიშო პერიოდში ამორიცხული ძირითადი სახსრების ღირებულებასთან;
- დ) პერიოდის დასაწყისისთვის ძირითადი სახსრების ღირებულების შეფარდება საანგარიშო პერიოდში ამორიცხული ძირითადი სახსრების ღირებულებასთან.

**8. ძირითადი საწარმო სახსრების მოძრაობის ანალიზის ჩასატარებლად იყენებენ შემდეგ კოფიციენტებს:**

- ა) ვარგისიანობის და ცვეთის;
- ბ) ფონდაღჭურვის და ენერგოაღჭურვის;
- გ) განახლების და ამორიცხვის;
- დ) ფონდუკუგების და ფონდტევადობის.

**9. პროდუქციის ფონდტევადობა განისაზღვრება:**

- ა) ძირითადი სახსრების საშუალოწლიური ღირებულების შეფარდებით პროდუქციის გაყიდვით მიღებულ ამონაგებობან;
- ბ) ძირითადი სახსრების საშუალოწლიური ღირებულების შეფარდებით პერსონალის საშუალო სიით რაოდენობასთან;
- გ) პროდუქციის გაყიდვებით მიღებული ამონაგების შეფარდებით ძირითადი სახსრების საშუალოწლიურ ღირებულებასთან;
- დ) საწარმოს ენერგეტიკული სიმძლავრის შეფარდებით პერსონალის საშუალო სიით რაოდენობასთან.

**10. წარმოების განვითარების ექსტენსიურ ფაქტორებს მიეკუთვნება:**

- ა) ფონდუკების და ძირითადი სახსრების სიდიდეების ზრდა;
- ბ) შრომის ნაყოფიერების და მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდა;
- გ) პროდუქციის ფონდტევადობის და შრომატევადობის ზრდა;
- დ) პროდუქციის მასალების და მასალატევადობის ზრდა.

## **11. ცვეთის ქოგიციენტი გამოითვლება, როგორც:**

- ა) ძირითადი სახსრების დარიცხული ცვეთის შეფარდება მათ საწყის ღირებულებასთან;
- ბ) ძირითადი სახსრების სანაშთო ღირებულების შეფარდება მათ საწყის ღირებულებასთან;
- გ) ძირითადი სახსრების დარიცხული ცვეთის ღირებულების შეფარდება მათ ღირებულებასთან პერიოდის ბოლოსთვის;
- დ) ძირითადი სახსრების დარიცხული ცვეთის ღირებულების შეფარდება პერიოდის დასაწყისისთვის მათ ღირებულებასთან.

## **12. შრომის ფონდადჭურვა განისაზღვრება:**

- ა) ძირითადი სახსრების საშუალოწლიური ღირებულების შეფარდებით პროდუქციის გაყიდვით მიღებულ ამონაგებთან;
- ბ) ძირითადი სახსრების საშუალოწლიური ღირებულების შეფარდებით პერსონალის საშუალო სიით რაოდენობასთან;
- გ) საწარმოს ენერგეტიკული სიმძლავრის შეფარდებით პერსონალის საშუალო სიით რაოდენობასთან;
- დ) საწარმოს ენერგეტიკული სიმძლავრის შეფარდებით პროდუქციის გაყიდვით მიღებულ ამონაგებთან.

13. განსაზღვრეთ, როგორ შეიცვალა პროდუქციის ფონდტევადობა საანგარიშო წელიწადში შემდგენ მონაცემების საფუძველზე, ოუ საანგარიშო წლისთვის გაყიდვებით მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა – 7500 ათასი ლარი, წინა წელს – 6500 ათასი ლარი; საანგარიშო წლისთვის ძირითადი ფონდების საშუალოწლიურმა ღირებულებამ შეადგინა – 6300 ათასი ლარი, წინა წელს – 5900 ათასი ლარი:

- ა) გაიზარდა 0.09;
- ბ) შემცირდა 0.07;
- გ) გაიზარდა 0.16;
- დ) არ შეიცვალა.

14. განსაზღვრეთ ძირითადი ფონდების შეფარდებითი ეკონომია (გადახარჯვა) შემდეგი მონაცემების მიხედვით: ძირითადი სახსრების საშუალოწლიური ღირებულება საანგარიშო წელიწადში იყო 8263 ათასი ლარი, წინა წელს – 8053 ათასი ლარი, პროდუქციის ღირებულება საანგარიშო წლისთვის – 11953 ათასი ლარი, წინა წელს – 11074 ათასი ლარი:

- ა) გადახარჯვა 210 ათასი ლარი;

- ბ) ეკონომია 429 ათასი ლარი;
- გ) ეკონომია 656 ათასი ლარი;
- დ) ეკონომია 210 ათასი ლარი.

თემა „მატერიალური რესურსების გამოყენების ანალიზი“

1. მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენება არ წარმოადგენს რისკის ფაქტორს:
  - ა) პროდუქციის თვითღირებულებისთვის;
  - ბ) გაყიდვებით მიღებული მოგებისთვის;
  - გ) აქტივების რენტაბელობისთვის;
  - დ) გაყიდვების რენტაბელობისთვის.
2. განსაზღვრეთ მატერიალუპუგების ზრდის ტემპი შემდეგი მონაცემების საფუძველზე: საანგარიშო წლისთვის პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები შეადგენდა 4932 ათას ლარი, წინა წელს – 4099 ათას ლარი; საანგარიშო წლისთვის შრომის საგნების ხარჯებმა შეადგინა – 2340 ათასი ლარი, წინა წელს – 2200 ათასი ლარი:
  - ა) 120.32%;
  - ბ) 114.15%;
  - გ) 106.36%;
  - დ) 14.15%.
3. პროდუქციის მატერიალტევადობა განისაზღვრება, როგორც: **(მასალატევადობა)**
  - ა) მატერიალური ხარჯების ჯამის შეფარდება პროდუქციის ღირებულებასთან;
  - ბ) პროდუქციის ღირებულების შეფარდება მატერიალური ხარჯების ჯამთან;
  - გ) მატერიალური ხარჯების ჯამის შეფარდება პროდუქციის მთლიან თვითღირებულებასთან;
  - დ) პროდუქციის მთლიანი თვითღირებულების შეფარდება მატერიალური ხარჯების ჯამთან.
4. მიუთითეთ კერძო ანალიტიკური ამოცანების გადაწყვეტის თანამიმდევრობა მატერიალური რესურსების გამოყენების ანალიზის დროს:

- ა) მატერიალურ რესურსებზე ოპტიმალური მოთხოვნების დასაბუთება;
- ბ) მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენების შეფასება;
- გ) მატერიალური რესურსების ხარჯების ნორმების დასაბუთებულობის ანალიზი;
- დ) მატერიალური დანახარჯების სიდიდეზე მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენების გაფლენის შეფასება.

5. მატერიალური დახარჯების კოეფიციენტის მნიშვნელობა... მოწმობს, პროდუქციის წარმოების დორს მატერიალური რესურსების ეკონომიას დადგენილ ნორმებთან შედარებით:
- ა) მეტია 0-ზე;
- ბ) მეტია 1-ზე;
- გ) ნაკლებია 0-ზე;
- დ) ნაკლებია 1-ზე.

6. განსაზღვრულ მატერიალური რესურსების გამოყენებაში ექსტენსიური (მასალების დანახარჯების სიდიდეები) და ინტენსიური (მასალაშეგების) ფაქტორების გაფლენა პროდუქციის ნაზრდზე შემდეგი მონაცემების საფუძველზე. საანგარიშო წელიწადში პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგები შეადგენდა 4932 ათას ლარი, წინა წელიწადში – 4099 ათას ლარი, შრომის საგნების ხარჯები საანგარიშო წელს შეადგენდა 2340 ათას ლარი, ბაზისურ წელს – 2200 ათას ლარი:
- ა) ექსტენსიური ფაქტორის გაფლენა – ამონაგების შემცირება 104 ათასი ლარით, ინტენსიური ფაქტორის გაფლენა – გადიდება 937 ათასი ლარით;
- ბ) ექსტენსიური ფაქტორის გაფლენა – ამონაგების შემცირება 19 ათასი ლარით, ინტენსიური ფაქტორის გაფლენა – 852 ათასი ლარით გადიდება;
- გ) ექსტენსიური ფაქტორის გაფლენა – ამონაგების გაზრდა 222 ათასი ლარით, ინტენსიური ფაქტორის გაფლენა – 611 ათასი ლარით გაზრდა;
- დ) ექსტენსიური ფაქტორის გაფლენა – ამონაგების გაზრდა 315 ათასი ლარით, ინტენსიური ფაქტორის გაფლენა – 518 ათასი ლარით გაზრდა.

7. მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტურობის განზოგადებულ მაჩვენებლებს არ მიეუთვენება:
- ა) პროდუქციის მასალატვადობა;

- ბ) მასალაუკუგება;
- გ) თვითღირებულებაში მატერიალური ხარჯების ხვედრითი წონა;
- დ) მატერიალური დანახარჯების აბსოლუტური სიდიდე.

**8. მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტურობის განზოგადოებული მაჩვენებლებია:**

- ა) მასალაუკუგება;
- ბ) პროდუქციის მასალატევადობა;
- გ) მოგება მატერიალური ხარჯების ერთ მანეთზე;
- დ) მატერიალური ხარჯების ხვედრითი წონა თვითღირებულებაში.

**9. პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე დახარჯული მატერიალური რესურსების დონე განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლით:**

- ა) მასალაუკუგებით;
- ბ) მასალატევადობით;
- გ) ფონდტევადობით;
- დ) ფონდაღჭურვით.

10. საანგარიშო და წინა წლის მონაცემების მიხედვით, მასალაუკუგებამ შეადგინა 24 და 20 ათასი ლარი. მატერიალური ხარჯები შეადგენდა 12600 ათას ლარი და 12800 ათას მან. გამოშეგებული პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა – 30240 ათასი ლარი და 25600 ათასი ლარი. მასალატევადობის შემცირების ხარჯზე პროდუქციის გამოშვების გადიდების რეზერვები განისაზღვრება, როგორც

- ა) 10 240; ბ) 5120; გ) 5040; დ) 5080.

ათასი ლარი:

**11. ნედლეულისა და მასალების ეფექტური გამოყენების შებრუნებული მაჩვენებლებია:**

- ა) მატერიალური ხარჯები, მატერიალური ხარჯების წილი პროდუქციის თვითღირებულებაში;
- ბ) ძირითადი მასალების ხარჯი, ძირითად მასალებზე ხარჯების წილი მატერიალური ხარჯების საერთო რაოდენობაში;
- გ) პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის ხარჯი, მატერიალური ხარჯები მთლიანი პროდუქციის გამოშვებაზე;
- დ) ენერგო ხარჯები პროდუქციის ერთეულზე, მატერიალური ხარჯები მთლიანი პროდუქციის გამოშვებაზე.

**12. მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენების მაჩვენებლები:**

- ა) მასალატევადობის, მასალაუკუგების და მოგების გაზრდა 1 ლარის მატერიალურ ხარჯებზე;
- ბ) მასალატევადობის გაზრდა, მასალაუკუგების და მოგების შემცირება 1 ლარის მატერიალურ ხარჯებზე;
- გ) მასალატევადობის შემცირება, მასალაუკუგების და მოგების გაზრდა 1 ლარის მატერიალურ ხარჯებზე;
- დ) მასალატევადობის, მასალაუკუგების და მოგების შემცირება 1 ლარის მატერიალურ ხარჯებზე.

**13. მასალატევადობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები:**

- ა) პროდუქციის (სამუშაოები, მომსახურება) რეალიზაციის მოცულობა და ოვითდირებულება;
- ბ) პროდუქციის (სამუშაოები, მომსახურება) რეალიზაციის მოცულობა და მოგება;
- გ) მატერიალური და შრომითი ხარჯების ჯამი;
- დ) პროდუქციის (სამუშაოები, მომსახურება) რეალიზაციის მოცულობა და მის წარმოებაზე გაწეული მატერიალური ხარჯების ჯამი.

**14. მატერიალური რესურსების მარაგების ეფექტური მართვა არ გულისხმობს:**

- ა) მასალების მარაგების სტრუქტურის და სიდიდის ოპტიმიზაციას;
- ბ) ხარჯების მინიმიზაციას მასალების მარაგების მომსახურების სფეროში;
- გ) მასალების მოძრაობის კონტროლის ეფექტურობის უზრუნველყოფას;
- დ) მასალების ბრუნვადობის კოეფიციენტის მინიმიზაციას.

**თემა „პროდუქციის თვითდირებულების ანალიზი“**

1. ჩვეულებრივი სახის საქმიანობის დროს ხარჯების ფორმირებისას ხარჯების ელემენტებს არ მიეკუთვნება:
  - ა) ნედლეული და მასალები;
  - ბ) შრომის ანაზღაურების ხარჯები;
  - გ) ამორციზაცია;
  - დ) სხვა ხარჯები.
2. ძირითადი განმაზოგადოებელი მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების ოვითლირებულების ანალიზის დროს:
  - ა) ხარჯების ხარჯთადრიცხვა, მომსახურების ოვითლირებულების კალკულაცია;
  - ბ) პირობითად – ცვლადი და პირობითად – მუდმივი ხარჯები;
  - გ) ხარჯების საერთო ჯამი, ხარჯების 1 ლარის მოცულობის მომსახურების განსახორციელებლად მომსახურების ერთეულის ოვითლირებულება;
  - დ) პირდაპირი მატერიალური ხარჯები, პირდაპირი შრომითი ხარჯები, ირიბი ხარჯები.
3. ძირითადი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ხარჯების ანაზღაურებას გამოითვლება როგორც:
  - ა) მოგების შეფარდება მიღებული ამონაგების ჯამთან (თანხასთან);
  - ბ) მოგების შეფარდება ხარჯების თანხასთან;
  - გ) მოგების შეფარდება გაერთიანებული კაპიტალის საშუალოწლიურ დირებულებასთან;
  - დ) მოგების შეფარდება კაპიტალის ცალკეული შესაკრებლების საშუალოწლიურ დირებულებასთან.
4. პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) ოვითლირებულების სტრუქტურაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:
  - ა) მომსახურების რეალიზაციის მოცულობის ცვლილება;
  - ბ) საწარმოს დარგის სპეციფიკა, გეოგრაფიული და ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ტექნიკურ-ორგანიზაციული დონე;
  - გ) ცვალებადი ხარჯების დონე პროდუქციის ერთეულზე და მუდმივი ხარჯების რაოდენობა (ჯამი) მთლიანი პროდუქციის (სამუშაოები, მომსახურება) გამოშვებაზე;
  - დ) ცვალებადი ხარჯების დონე ერთეულ მომსახურებასა და მთლიანი მომსახურებისთვის საჭირო მუდმივი ხარჯების ჯამზე.

**5. პროდუქციის თვითღირებულების გადიდების ობიექტური მიზეზია:**

- ა) წარმოების პროცესების ავტომატიზაციისა და შექანიზაციის დონე;
- ბ) მოსახმარ მატერიალურ რესურსებზე ფასების ინფლაციური ზრდა;
- გ) შრომის ორგანიზაციის დონე;
- დ) წარმოების ტექნოლოგიური განვითარების დონე.

**6. წარმოების მოცულობის ზრდის დროს, პირობითად – მუდმივი ხარჯები ერთეული პროდუქციის თვითღირებულებაში:**

- ა) იზრდება წარმოების მოცულობის ზრდის პროპორციულად;
- ბ) შეადგენს მუდმივ სიდიდეს;
- გ) მცირდება წარმოების მოცულობის შემცირების პროპორციულად;
- დ) მცირდება წარმოების მოცულობის ზრდის პროპორციულად.

**7. ცალკეული სახეების მიხედვით ერთეული პროდუქციის თვითღირებულების დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზის დროს მხედველობაში არ მიიღება:**

- ა) პროდუქციის წარმოების მოცულობა;
- ბ) პროდუქციის სტრუქტურა (ასორტიმენტი);
- გ) ცვლადი ხარჯების ხვედრითი წონა პროდუქციის ერთეულზე;
- დ) მუდმივი ხარჯების დონე (სიდიდე).

**8. განვსაზღვროთ პროდუქციის თვითღირებულების ფარდობითი გადახრა, საანგარიშო წლისთვის, ბაზისური წლის დონის მიმართ, თუ ბაზისური წლისთვის პროდუქციის თვითღირებულება შეადგენდა 111.7 მილ. ლარს, საანგარიშო წელიწადში – 124.3 მილ. ლარს; ბაზისური წლის პროდუქცია შეადგენდა 149.8 მილ. ლარს, საანგარიშო წლისთვის – 160.2 მილ. ლარს:**

- ა) 12.6 მლნ. ლარი;
- ბ) 19.8 მლნ. ლარი;
- გ) 4.9 მლნ. ლარი;
- დ) 12.6 მლნ. ლარი.

**9. პროდუქციის სრული, ან კომერციული თვითღირებულება, განსხვავდება საწარმოო თვითღირებულების სიდიდისგან შემდეგი სიდიდეებით:**

- ა) საამორტიზაციო ანარიცხებით;

- ბ) მომავალი პერიოდების ხარჯებით;
- გ) პროდუქციის რეალიზაციის ხარჯებით;
- დ) სხვა ხარჯებით.

10. საწარმოს მიხედვით არსებობს შემდეგი მონაცემები: წარმოების მოცულობა – 1200 ნაკეთობა, ხელისუფლის მოცულობა – 15 ათასი ლარი, მუდმივი ხარჯები – 1400 ათასი ლარი. განვსაზღვროთ, თუ როგორ შეიცვლება ერთეული ნაკეთობის წარმოების თვითდირებულება წარმოების მოცულობის 15%-ით ზრდის დროს:
- ა) შემცირდება 153 ლარით;
  - ბ) შემცირდება 225 ლარით
  - გ) დარჩება იგივე დონეზე;
  - დ) იზრდება 225 ლარით.

11. მთლიანობაში რეალიზებული პროდუქციის თვითდირებულების მიხედვით აბსოლუტური გადახრა (საანგარიშო წლისთვის) ბაზისური წლის მაჩვენებლიდან განისაზღვრება, როგორც:
- ა) საანგარიშო პერიოდში სხვაობა პროდუქციის თვითდირებულებასა და ბაზისური წლის პროდუქციის თვითდირებულებას შორის, რომელიც კორექტირებულია პროდუქციის ზრდის ტემპის გათვალისწინებით საანგარიშო პერიოდში;
  - ბ) სხვაობა საანგარიშო და ბაზისურ წლებში რეალიზებული პროდუქციის თვითდირებულებებს შორის;
  - გ) სხვაობა საანგარიშო წლისთვის პროდუქციის თვითდირებულებასა და ბაზისური წლის პროდუქციის თვითდირებულებას შორის, რომელიც კორექტირებულია საანგარიშო წლის ინფლაციის ინდექსის მიხედვით;
  - დ) სხვაობა საანგარიშო წლისთვის რეალიზებული პროდუქციის თვითდირებულებასა და ბაზისური წლისთვის გაყიდვებიდან მიღებულ ამონაგებს შორის.

12. მოცემულია საწარმოს შემდეგი მონაცემები: წარმოების მოცულობა შეადგენს – 1200 ნაკეთობას, ხელისუფლის მოცულობა – 15 ათას ლარს, მუდმივი ხარჯები – 1400 ათას ლარს.

განსაზღვრეთ, როგორ შეიცვლება ერთეული ნაკეთობის წარმოების თვითღირებულება წარმოების მოცულობის 15%-ით გაზრდის შემთხვევაში:

- შემცირდება 6%-ით;
- შემცირდება 15%-ით;
- დარჩება იმავე დონეზე;
- შემცირდება 6.4%-ით.

13. განვსაზღვროთ საანგარიშო წლისთვის პროდუქციის თვითღირებულების აბსოლუტური გადახრა ბაზისური წლისთვის შეადგენს – 111.7 მლნ. ლარს, საანგარიშო წლისთვის – 124.3 მლნ. ლარს.; ბაზისური წლის პროდუქცია შეადგენს 149.8 მლნ. ლარს, ხოლო საანგარიშო წლისთვის – 160.2 მლნ. ლარს:
- 12.6 მლნ. ლარი;
  - 19.8 მლნ. ლარი;
  - 4.9 მლნ. ლარი;
  - 12.6 მლნ. ლარი.

14. დაამყარეთ შესაბამისობა ხარჯების აღნიშნულ სახეებსა და მათი კლასიფიკაციის კრიტერიუმებს შორის:

კლასიფიკაციის კრიტერიუმები	ხარჯების სახე
1. ხარჯების ელექტრობი	<ol style="list-style-type: none"> <li>პირდაპირი და ირიბი ხარჯები;</li> <li>მატერიალური ხარჯები, შრომის ანაზღაურების ხარჯები, ანარიცხები სოციალური საჭიროებისათვის, ამორტიზაცია, სხვა ხარჯები;</li> </ol>
2. პროდუქციის სახეებს შორის განაწილების წესი	<ol style="list-style-type: none"> <li>ნედლეული და მასალები, შესასყიდი ნაკეთობები, უცხო საწარმოების და ორგანიზაციების საწარმოო ხასიათის ნახევარფაბრიგატები და მომსახურება, ტექნილოგიური მიზნებისთვის სათბობი და ენერგია, საწარმოს მუშების ხელფასი, ანარიცხები სოციალური საჭიროებისთვის, საერთო სამეცნიერო ხარჯები;</li> <li>ერთ ელექტრინი და კომპლექსური ხარჯები.</li> </ol>

15. პროდუქციის წარმოების ხარჯების და მისი ცვლილებების სტრუქტურის ანალიზი, საანგარიშო წლისთვის, ცალქეული ელექტრების მიხედვით, საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ:

- ა) ყოველი მუხლის ცვლილების გავლენა აბსოლუტური ეკონომიის ჯამზე ან თვითდირებულების გადიდებაზე;
- ბ) ყოველი მუხლის ცვლილების გავლენა შედარებითი ეკონომიის ჯამზე ან თვითდირებულების გადიდებაზე;
- გ) წარმოების მასალატევადობა, შრომატევადობა, ფონდტევადობა, მათი გავლენა თვითდირებულებაზე;
- დ) წარმოების მასალატევადობა, შრომატევადობა, ფონდტევადობა, მათი გავლენა სახსრების ბრუნვადობაზე.

**თემა „გაყიდვების მოცულობის, წარმოების ხარჯების, მოგების (ზარალის) რეალიზაციასთან ურთიერთკავშირის ანალიზი“**

1. რეალიზაციის კრიტიკული მოცულობის მაჩვენებელს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, როცა:
  - ა) გაზრდილია მოთხოვნა საწარმოს პროდუქციაზე;
  - ბ) შემცირებულია მოთხოვნა საწარმოს პროდუქციაზე;
  - გ) უცვლელია მოთხოვნის პირობები;
  - დ) გაზრდილია პროდუქციის წარმოების მოცულობა.
2. ცნება – უზარალო წარმოება ნიშნავს, რომ:
  - ა) საწარმო მუშაობს მოგებით;
  - ბ) საწარმო მუშაობს წაგებით;
  - გ) გაყიდვების მოცემული მოცულობის დროს საწარმო პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები თანხით მთლიანად ფარავს რეალიზებულ პროდუქციაზე გაწეულ ყველა ხარჯებს, ხოლო მოგება ტოლია ნულის;
  - დ) გაყიდვების მოცემული მოცულობის დროს საწარმო უზრუნველყოფს პროდუქციის რენტაბელობას, რაც საკმარისია გაფართოებული პლავწარმოებისთვის.

3. საწარმოს უზარალო გაყიდვების მოცულობის განსაზღვრა გრაფიკულად გულისხმობს წრფების გადაკვეთის წერტილების მოძებნას:

- ა) მუდმივი და ცვლადი ხარჯების;
- ბ) ცვლადი ხარჯების და ამონაგების;
- გ) მუდმივი ხარჯების და ამონაგების;
- დ) ერთობლივი ხარჯების (სრული თვითდირებულების) და ამონაგების.

4. დაამყარეთ აღნიშნული მახასიათებლების შესაბამისობა ხარჯების სახეების მიხედვით, რომლებიც გამოირჩევა პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვების მოცულობის დინამიკასთან ურთიერთქავშირის პრინციპის მიხედვით:

<b>ხარჯების სახე</b>	<b>მახასიათებლები</b>
1. პირობითად მუდმივები	<ul style="list-style-type: none"> <li>ა) ხარჯების ჯამი იზრდება წარმოების მოცულობების ზრდით, ხოლო ხარჯების დონე ერთეულ პროდუქციაზე გაანგარიშებით არ იცვლება წარმოების მოცულობების შეცვლით;</li> <li>ბ) ხარჯების ჯამი და დონე ერთეულ პროდუქციაზე გაანგარიშებით არ იცვლება წარმოების მოცულობების შეცვლით.</li> </ul>
